ავტორის სტილი დაცულია


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი


დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

„სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“


**ნაზი ფარსადანიშვილი**


# სტიგმის აღქმის და სოციალური იდენტობის კვლევა საქართველოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობაში

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია


სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანასტასია ქიტიაშვილი

ფსიქოლოგიის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი


თბილისი

2020 წელი

კვლევის ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების ფარგლებში

**2017 წ.** - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, IG/39/5/16, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების კვლევა საქართველოში“, სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირება ჟენევის უნივერსიტეტში, შვეიცარია.

**2018 წ.** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის მასტიგმატიზებელი გამოცდილებებისა და სოციალური იდენტობის კვლევა საქართველოში“, სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსი, პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი.

# სარჩევი

აბსტრაქტი ........ VII

Abstract........ X

შესავალი........ 1

თავი I........ 7

1.1. სოციალური სტიგმა: ზოგადი მიმოხილვა........ 7

1.2. სტიგმის აღქმის თეორიული მოდელი ........ 9

თავი II........ 18

2.1. სოციალური იდენტობის თეორია ........ 18

2.2. ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები........ 21

თავი III........ 27

3.1. პიროვნული და კოლექტიური თვითშეფასება........ 27

3.2. ეკონომიკური სისტემის გამართლება (Economic System Justification) ........ 28

3.3. საკვლევ კონსტრუქტებს შორის ურთიერთმიმართებების შეჯამება........ 33

თავი IV ........ 39

4.1 კვლევის მიზნები და ჰიპოთეზები ........ 39

თავი V........ 44

5.1. კვლევის მეთოდოლოგია: პირველი ნაწილი - თვისებრივი კვლევა........ 44

5.1.1. მეთოდის აღწერა და კვლევის მიზნებთან მიმართებით დასაბუთება ........ 44

5.1.2. კვლევის პროცედურა ........ 46

5.1.3. კვლევის მონაწილეები ........ 47

5.1.4. მონაცემების დამუშავების მეთოდი........ 48

5.2. კვლევის მეთოდოლოგია - მეორე ნაწილი........ 50

5.2.1. კვლევის მეთოდი და პროცედურა........ 50

5.2.2. ექსპერტული შეფასება ........ 50

5.2.3. საპილოტე კვლევის მონაწილეები ........ 52

5.2.4. საპილოტე კვლევის პროცედურა ........ 52

5.2.5. კვლევის ინსტრუმენტები ........ 53

5.3.კვლევის მეთოდოლოგია - მესამე ნაწილი........ 62

5.3.1. კვლევის სუბიექტები........ 62

5.3.2. კვლევის ინსტრუმენტები და პროცედურა ........ 65

თავი VI - შედეგების აღწერა........ 67

6.1. სტიგმის აღქმის მოდელი: თვისებრივი კვლევის, სკალის ექსპერტული შეფასებისა და ფსიქომეტრული ანალიზის შედეგების აღწერა ........ 67

6.1.1.თვისებრივი კვლევის შედეგები ........ 67
6.1.2. ექსპერტული შეფასების შედეგები ........ 71
6.1.3. სკალის ფაქტორული სტრუქტურა და შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები.. 72
6.1.4. სტიგმის აღქმის მოდელი: სკალის შინაგანი შეთანხმებულობისა და აღწერითი სტატისტიკის მაჩვენებლები ........ 76
6.2. ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები: თვისებრივი კვლევის, სკალის ექსპერტული შეფასებისა და ფსიქომეტრული ანალიზის შედეგების აღწერა ........ 77
6.2.1. თვისებრივი კვლევის შედეგები ........ 77
6.2.2. ექსპერტული შეფასების შედეგები ........ 84
6.2.3. სკალის ფაქტორული სტრუქტურა და შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები.. 84
6.2.4. სკალის შინაგანი შეთანხმებულობის და აღწერითი სტატისტიკის მაჩვენებლები .... 88
6.3. კოლექტიური თვითშეფასების სკალის მაჩვენებლები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა მაგალითზე ........ 90
6.4. ეკონომიკური სისტემის გამართლების სკალის მაჩვენებლები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა მაგალითზე ........ 91
6.5. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის საზომი სკალების მაჩვენებლები ........ 92
6.6. ჯგუფთაშორისი განსხვავებები ........ 93
6.6.1. სქესთაშორისი განსხვავებები ........ 93
6.6.2. ასაკობრივი განსხვავებები ........ 95
6.6.3. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსხვავებები ........ 95
6.6.4. სოციალურად დაუცველის სტატუსის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული განსხვავებები ........ 96
6.6.5. სხვებთან მიმართებით აღქმული ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით განსხვავებები ........ 97
6.7. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებასა და ეკონომიკური სისტემის გამართლებას შორის არსებული ურთიერთმიმართებები ........ 98
6.7.1. სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებას შორის არსებული კორელაციური კავშირები ........ 98
6.7.2. ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან მიმართებით გამოვლენილი კორელაციური კავშირები ........ 101
6.7.3. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციასთან მიმართებით გამოვლენილი კორელაციური კავშირები ........ 101
6.8. იერარქიული მრავლობითი რეგრესიული ანალიზი ........ 102

6.8.1. იერარქიული მრავლობითი რეგრესია: სტიგმის ინტერნალიზების ვარიაბელობის ფაქტორები ........ 102

6.8.2. იერარქიული მრავლობითი რეგრესია: ნეგატიური მოპყრობის აღქმის ვარიაბელობის ფაქტორები ........ 103

6.9. მედიაციური ანალიზი: ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიაზე მოქმედი ფაქტორები ........ 104

6.10. საკუთარი თავის, სოციალურად დაუცველის სტატუსისა და მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ჯგუფის შეფასებები ........ 105

6.11. პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატით მიღებული შეფასებების მიმართება ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებსა და სტიგმის აღქმასთან ........ 106

თავი VII - შედეგების ანალიზი ........ 108

7.1. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები ........ 108

7.2. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებულ სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებსა და მათთან დაკავშირებულ ცვლადებს შორის კავშირების ანალიზი ........ 117

7.3. სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის ანალიზი სხვა ცვლადებთან მიმართებით ........ 125

7.4. ეკონომიკური სისტემის გამართლების ანალიზი კვლევის კონტექსტში ........ 126

თავი VIII ........ 130

8.1. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ........ 130

8.2. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნები ........ 135

8.3. კვლევის შეზღუდვები და რეკომენდაციები სამომავლო კვლევებისათვის ........ 137

ბიბლიოგრაფია ........ 140

დანართები ........ 151

**ცხრილების ჩამონათვალი**

**ცხრილი №1**. რესპონდენტების განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით . . .63

**ცხრილი №2**. რესპონდენტების განათლების სტატუსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .63

**ცხრილი №3**. რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 64

**ცხრილი №4**. რესპონდენტების ეკონომიკური მდგომარეობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . .64

**ცხრილი №5**. ძირითადი საზომი ინსტრუმენტები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 65

**ცხრილი №6**. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის სკალა: პირველადი კომპონენტების ანალიზი (PCA) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .73

**ცხრილი №7**. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სკალა: პირველადი კომპონენტების ანალიზი (PCA) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 85

**ცხრილი №8**. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების ფაქტორების შინაგანი შეთანხმებულობა, საშუალო და სტანდარტული გადახრა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .89

**ცხრილი N9**. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის სტრატეგიების/ფაქტორებს შორის კორელაციები . . . . . . . 89

**ცხრილი №10**. ბიპოლარული ზედსართავი სახელების მიხედვით შეფასების საშუალო (M) და სტანდარტული გადახრის (SD) მაჩვენებლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .92

**ცხრილი №11**. სქესთაშორისი განსხვავებები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .94

**ცხრილი №12**. სტატუსის ხანგრძლივობის მიხედვით გამოვლენილი განსხვავებები საკვლევი კონსტრუქტების მიხედვით. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 97

**ცხრილი №13**. სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის სტრატეგიებს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებას შორის კავშირები . . . . . . . . . . . . .100

**ცხრილი №14**. პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატით მიღებული შეფასებების მიმართება ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებსა და სტიგმის აღქმასთან. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .107

## ილუსტრაციების ჩამონათვალი

**ილუსტრაცია №1**. სტიგმის ინტერნალიზების მოდელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .12

**ილუსტრაცია №2.** სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის მოდელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .16

**ილუსტრაცია №3.** ძირითადი კონსტრუქტების კვლევის ლოგიკური ჩარჩო. . . . . . . . . 38

**ილუსტრაცია №4**. ორ-ფაქტორიანი სტიგმის აღქმის მოდელი (CFA) . . . . . . . . . . . . . . .76

**ილუსტრაცია №5**. სოც.დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის სტრატეგიების სამ-ფაქტორიანი მოდელი . . . . . . . . . . . . . . .88

**ილუსტრაცია №6**. მედიაციური ანალიზი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .104

# აბსტრაქტი

სადოქტორო კვლევის შესწავლის ძირითად საგანს წარმოადგენს სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს (რომელიც აღწერილია ტაჯფელისა და ტერნერის სოციალური იდენტობის თეორიაში (1981)) შორის ურთიერთკავშირის შესწავლა საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობაში. დამატებით, კვლევაში, შეისწავლება ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების წვლილი სტიგმის აღქმის ვარიაბელობაში; ასევე, ეკონომიკური სისტემის გამართლებისა და სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის მიმართება კვლევის მთავარ კონსტრუქტებთან. საკვლევ ამოცანებზე პასუხის გასაცემად ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეები.

კვლევის შედეგად ადაპტირდა სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სკალები; ასევე, პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატზე დაყრდნობით შეიქმნა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის საზომი სკალა; ადაპტირდა კოლექტიური თვითშეფასებისა (Crocker & Luhtanen, 1992) და ეკონომიკური სისტემის გამართლების საზომი (Jost, J. T., & Thompson, E. P. 2000) სკალების ქართული ვერსიები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეები აღიქვამენ მათ მიმართ არსებულ სტიგმას. სტიგმის აღქმაში გამოიყო ორი განზომილება - ნეგატიური მოპყრობის აღქმა და სტიგმის ინტერნალიზება. ასევე, იდენტიფიცირდა ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა სოციალური კრეატულობა, ინდივიდუალური მობილობა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის გაზრდა. სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების აღნიშნული ქვე-სკალებისაგან შემდგარი თეორიული მოდელების სტატისტიკური შემოწმების შედეგად მორგების მისაღები მაჩვენებლები გამოვლინდა. ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებიდან, სოციალური კრეატულობის სტრატეგია თვითდაცვით როლს

ასრულებს სტიგმის აღქმის მოქმედებაში. თუმცა, შიდა ჯგუფური შეჭიდულობა სტიგმის აღქმის დაძლევის მიმართულებით ადაპტურ ფუნქციას არ უნდა ასრულებდეს. ამასთანავე, ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების, სოციალური კრეატულობისა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის ცვლადებისაგან შემდგარი იერარქიული რეგრესიული მოდელების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სტიგმის ინტერნალიზების ვარიაციაში პრედიქტორულ ღირებულებას ინარჩუნებს მხოლოდ ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ცვლადები, ნეგატიური მოპყრობის აღქმაში კი - კოლექტიური თვითშეფასება და შიდა ჯგუფური შეჭიდულობა. რაც შეეხება ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიას, სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციას პრედიქტორული ღირებულება აქვს ინდივიდუალური მობილობის ცვლადისათვის, თუმცა, მათ შორის კავშირი გაშუალებულია ინდივიდუალური თვითშეფასებით. ეკონომიკური სისტემის გამართლება დადებითად უკავშირდება ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სამივე სტრატეგიას. ამასთანავე, გენდერული ნიშნით განსხვავებული სურათები იხატება სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების გამოყენების მიმართულებით. სტრატეგიებისათვის მიმართვასა და სტიგმის ინტერნალიზებაზე ზეგავლენას ახდენს სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონის ხანგრძლივობაც.

კვლევის სიახლეს წარმოადგენს სტერეოტიპებისადმი თანხმობის ამსახველი დებულებების სიღარიბესთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის სკალაში მოქცევა; ასევე, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის ზრდის, როგორც ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიად განხილვა. კვლევის მოცემული შედეგები კონსტრუქტების შემდგომ შესწავლაში ახალ საინტერესო მიმართულებებს აჩენს. სადოქტორო ნაშრომი პირველი მცდელობაა იმისა, რომ გაანალიზდეს ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების როლი სტიგმის აღქმასთან მიმართებით. კვლევის შედეგად იკვეთება იმ დამატებითი ცვლადების შესწავლის მნიშვნელობაც, რაც სტიგმის აღქმაზე მოქმედი ცვლადების თეორიული მოდელის ასაგებად იქნება მნიშვნელოვანი.

სადოქტორო კვლევა საქართველოში სიღარიბის პრობლემის ფსიქოლოგიის მეცნიერების პერსპექტივიდან სიღრმისეული შესწავლის მიმართულებით

გადადგმული პირველი ნაბიჯია. შედეგებზე დაყრდნობით, ასევე, შემუშავდა ის პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელიც სიღარიბის პრობლემის დაძლევისა და მასში მცხოვრები ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, სოციალური პოლიტიკის დონეზე, ინტერვენციების გატარებისათვის შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალურად დაუცველის სტატუსი, სტიგმის აღქმა, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები, ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასება, ეკონომიკური სისტემის გამართლება.

# Abstract

The main subject of the Doctoral research is the study of the relationship between the perceived stigma and the negative social identity management strategies (described in Tajfel and Turner's social identity theory (1981)) in the Georgian Population with Social Vulnerability Status. The paper also includes results about the contribution of individual and collective self-esteem in the variability of perceived stigma; the main constructs of the research are also discussed in the relationship with economic system justification and the social identification with a group of people with Social Vulnerability Status. The qualitative and quantitative research was conducted with the participation of socially vulnerable citizens in order to answer the research objectives.

As a result of the research, there were adapted the scales of measuring perceived stigma and negative social identity management strategies, which are related to Social Vulnerability Status; the scale measuring the social identification with a group of people with Social Vulnerability Status was also created based on the principles of identity instrument construction by Peter Weinreich (Weinreich, 1980); the Georgian versions of the collective self-esteem (Crocker & Luhtanen, 1992) and economic system justification (Jost, J. T., & Thompson, E. P. 2000) scales were adapted. The study revealed that socially vulnerable citizens perceive the stigma towards them. There were two dimensions to the perceived stigma - the experienced stigma and the internalized stigma. The negative social identity management strategies, such as social creativity, individual/social mobility, and enhancement in-group cohesiveness were also identified. As the result of statistical examination of theoretical models consisting of these sub-scales of perceived stigma and negative social identity management strategies revealed the acceptable indicators. Social creativity strategy has the self-protective role against perceived stigma. However, enhancement in-group cohesiveness should not have the adaptive function of overcoming the perceived stigma. In addition, the results of hierarchical multiple regression analysis consisting with predictors such as individual self-esteem, collective self-esteem, social creativity and in-group cohesiveness revealed that only the individual and collective self-esteem variables keep predictive value in the variation of

internalized stigma, while collective self-esteem and enhancement in-group cohesiveness - in the experienced stigma. As a result of mediation analysis, social identification with the socially vulnerable group has the predictive value for the individual mobility strategy, however, the relationship between them is mediated by individual self-esteem. The economic system justification, together with the strategy of enhancement in-group cohesiveness, is positively related to the strategies of social creativity and individual mobility. The economic system justification is positively related with all of three negative social identity management strategies. In addition, the gender-differentiated images are created in terms of using the perceived stigma and negative social identity management strategies. The duration of having the socially vulnerable status has the influence on the addressing strategies and internalized stigma.

A novelty of the study is the inclusion of the items on agreement with stereotypes in the perceived stigma scale related to poverty. Also, one of the interesting results is considering the enhancement in-group cohesiveness as a negative social identity management strategy.

The doctoral dissertation is the first attempt to analyze the role of negative social identity management strategies in relation to perceived stigma. The study also highlights the importance of studying the additional variables that will be valuable in building a theoretical model of the variables influencing on perceived stigma.

Doctoral research is the first step towards in-depth study of the poverty problem in Georgia from the perspective of the Psychology. Based on the results, the practical recommendations were also developed that could be important for interventions at the level of social policy to solve the poverty problem and improve the people's lives.

**Key words:** Socially vulnerability, Perceived stigma, negative Social Identity Management Strategies, Individual and Collective self-esteem, Economic system justification.

# შესავალი

საქართველო სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. ქვეყნის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, ქვეყანაში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მყოფი მოსახლეობის წილი 19.5%-ს შეადგენს. რაც შეეხება ფარდობით სიღარიბეს, მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 20.1%-ია[1]. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის ივნისის მონაცემებით კი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 310 126 ოჯახი, რომელთაგან 136 824 ოჯახი სიღატაკის შემცირებისა და პრევენციის მიზნით, ფულადი სახის გასაცემლის სახით საარსებო შემწეობას იღებს[2].

უმეტეს შემთხვევაში, სიღარიბის ზღვრისა და კეთილდღეობის მინიმალური სტანდარტების განსაზღვრისას აქცენტი კეთდება მატერიალურ განზომილებებზე. თუმცა, სიღარიბის განსაზღვრებისადმი სხვადასხვა მიდგომა არსებობს მისი ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე. 1995 წელს, კოპენჰაგენში ჩატარებული სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის ფარგლებში, მიიღეს და დაამტკიცეს სიღარიბის მრავალგანზომილებიანი განსაზღვრება. ამ უკანასკნელის მიხედვით, სიღარიბე აღიწერება სხვადასხვა სახის ერთმანეთთან დაკავშირებული დეპრივაციის ტერმინებში და აქცენტი კეთდება სიღარიბესთან დაკავშირებულ სტიგმაზე, დისკრიმინაციაზე, დაუცველობასა და სოციალურ ექსკლუზიაზე (United Nations, 1995).

სიღარიბის ამგვარი მრავალასპექტიანი გაგება ასახავს ამარტეა სენის მიერ განვითარებული „შესაძლებლობების/უნარიანობის მიდგომის“ (Capability approach) იდეას. მისი მიხედვით, სიღარიბისას ადამიანი განიცდის იმ „შესაძლებლობების“ სიმწირეს, რაც მისი განვითარებისათვის, დამოუკიდებელ ინდივიდად ფორმირებისათვისაა აუცილებელი. ამაში იგულისხმება არა მხოლოდ გარე/ექსტერნალური რესურსების სიმწირე, არამედ პიროვნულისაც, ადამიანური და

---

[1] აღნიშნული მონაცემები აღებულია ბმულიდან https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

[2] მონაცემები აღებულია ბმულიდან http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610

სოციალური კაპიტალის დეფიციტიც. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, სიღარიბისაგან თავის არიდების ან მისგან თავის დაღწევისათვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური, ადამიანური, პოლიტიკური, სოციო-კულტურული და დამცავი შესაძლებლობების ქონა (Amartya Sen, 2001).

სიღარიბისადმი კეთილდღეობის მიდგომის მიხედვით, სიღარიბისას ადამიანის სუბიექტური კეთილდღეობა შემცირებულია. სიღარიბე განიხილება ფიზიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური ან თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო რესურსებისა და პირობების სიმწირედ. სიღარიბე უნდა განვიხილოთ როგორც პროცესი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული უთანასწორობასთან, დაუცველობასთან, მოწყვლადობასთან, დისკრიმინაციასა და გარიყულობასთან. სიღარიბისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა კი ხაზს უსვამს ადამიანის ბაზისური მოთხოვნილებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შეზღუდვას (Narayan & Petesch eds., 2007).

ზოგადად, სიღარიბის ანალიზისას, ნაკლებად კეთდება აქცენტი მის სოციალურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებზე, რადგან მათი გაზომვა რთულია. ემპირიულად მათი შესწავლის სირთულის მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანია სიღარიბის არამატერიალური განზომილებების კვლევა და შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში, უგულებელყოფილი რჩება სიღარიბის განსაზღვრებებსა და აღწერებში გამოყოფილი ისეთი ფენომენები, როგორებიცაა სტიგმა, სოციალური ექსკლუზია და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები. სიღარიბის შესწავლისადმი ასეთ ცალმხრივ მიდგომას კი შედეგად მოჰყვება მის წინააღმდეგ არაეფექტური ინტერვენციების შემუშავება, რომლებშიც მხოლოდ ღარიბი მოსახლეობის ფინანსური დახმარება იგულისხმება ხოლმე. ნათელია, რომ მხოლოდ მატერიალური სტანდარტის არსებობა საკმარისი პირობა არაა ადამიანების განვითარების ხელშესაწყობად და გათვალისწინებულ უნდა იქნას სხვა სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების როლიც.

აქედან გამომდინარე, სიღარიბის შესწავლა სცდება ეკონომიკისა და პოლიტიკის მეცნიერებების საზღვრებს და მნიშვნელოვანი ხდება ისეთი დარგების ჩართულობაც, როგორებიცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და ა.შ.

სიღარიბე ფსიქოლოგიის სფეროში შესწავლის ახალ საგანს არ წარმოადგენს. მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩატარებული ერთ-ერთი პირველი ფსიქოლოგიური კვლევის ავტორია ლუისი (Lewis, 1966). თავის ცნობილ ნაშრომში ის ხსნიდა, რომ სიღარიბე თავად ღარიბებისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და კონკრეტული ქცევითი პატერნების პროდუქტია, რომლებიც თაობიდან თაობას სოციალიზაციის პროცესის მეშვეობით გადაეცემა. სწორედ ასეთი ღირებულებები და ქცევებია დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის დეტერმინანტები.

ზოგადად, სიღარიბესთან დაკავშირებით ჩატარებული ფსიქოლოგიური კვლევები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა: სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების პიროვნული მახასიათებლების კვლევა, სიღარიბის კაუზალური ატრიბუციების დადგენა და მის ფსიქოლოგიურ შედეგებზე ფოკუსირება (Carr, 2012). მაგალითად, ბოლო დროს ჩატარებულ კვლევებში აქცენტი კეთდებოდა ღარიბების კოგნიტურ უნარებზე, ღარიბთა სუბიექტურ კეთილდღეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (მაგ., Diener & Biswas-Diener 2002; Kaplan et al. 2008; Lever et al. 2005; Mullainathan and Shafir 2013; Rojas 2008), მათ პიროვნულ მახასიათებლებსა თუ სიღარიბის ფატალისტურ-ინდივიდუალისტურ, ან სტრუქტურულ ატრიბუციებზე (Bullockand Waugh 2005; Cozzarelli et al. 2001; see also Furnham 2003).

თუმცა, სიღარიბის კვლევისადმი ეს სამი ტრადიციდული ფსიქოლოგიური მიდგომა გაკრიტიკებულია და მიჩნეულია როგორც სტატიკური, ინდივიდუალისტური და რედუქციონისტული (Carr, 2012; Hollander and Hovard 2000; Yongmie 2013; for a critical review, see Evans et al. 2005).

ჯერ კიდევ 1970 წელს, არტურ პირლი, თავის სტატიაში „ფსიქოლოგიის სიღარიბე“, ფსიქოლოგებს ადანაშაულებდა იმ გამოწვევების უგულებელყოფაში, რაც სიღარიბის პრობლემის კვლევას უკავშირდება. მოგვიანებით, იგივე პრობლემაზე წერდა დევიდ ჰარპერიც. მისი აზრით, ფსიქოლოგიის მეცნიერებას ჯერ სათანადო წვლილი არ შეუტანია სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შემუშავებაში, რის მთავარ მიზეზადაც, ის უმეტესად მხოლოდ ატრიბუციის თეორიების გამოყენებას ასახელებს. მისი აზრით, ფსიქოლოგიის დისციპლინაში, სიღარიბის შესასწავლად აუცილებელია უფრო ფართო სპექტრის თეორიული ჩარჩოების განვითარება (Harper, 2003).

იმავე გამოწვევებს უსვამენ ხაზს სიღარიბის პრობლემით დაინტერესებული სხვა ფსიქოლოგებიც და აღნიშნავენ, რომ ფსიქოლოგიური კვლევების უმეტესობაში სიღარიბე ინდივიდუალურ დონეზეა გაანალიზებული და არაა გათვალისწინებული ინტერაქციული, კონტექსტუალური და იერარქიული ასპექტები. მაგალითად, ღარიბებზე, როგორც ცალკეულ ინდივიდებზე ფოკუსირებისას, ხშირად ესმება ხოლმე ხაზი ისეთ პიროვნულ მახასიათებელს, როგორიცაა პასიურობა, რაც სიღარიბის მდგომარეობაში თავად ღარიბების დადანაშაულების წყარო ხდება. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ასეთი კვლევები ძირითადად აღწერითია და სიღარიბის საფუძვლად არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესების ახსნის სიმწირით გამოირჩევა (Akfirat, Polat &Yetim, 2016).

მოცემული სადოქტორო კვლევის მიზანია საქართველოში მცხოვრები დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსახლეობის მაგალითზე იმ ასპექტების შესწავლა, რომელთა შესახებაც ნაკლები ფსიქოლოგიური კვლევები არსებობს და რომელთა გაანალიზებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული ინტერვენციების დასაგეგმად.

საქართველოში აღნიშნულ ჯგუფს ცალსახად მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ადამიანები, რომლებიც საარსებო შემწეობის სახით ფულად სოციალურ დახმარებას იღებენ. აღნიშნული ჯგუფი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთ იწოდება. სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ოჯახის მიერ გაკეთებული მიმართვის საფუძველზე, საცხოვრებელ ადგილას ვიზიტს ახორციელებს სოციალური აგენტი და ავსებს „ოჯახის დეკლარაციას“. ამ უკანასკნელში ასახული ინფორმაციის შესაბამისი დამუშავების შემდეგ, ოჯახს მიენიჭება სარეინტენგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად ექნება ოჯახს ფულადი სოციალური დახმარების მიღების უფლება და რა ოდენობის იქნება ყოველთვიური თანხა. საარსებო შემწეობის ოდენობა, ოჯახის ყველა წევრზე, მერყეობს 30 ლარიდან 60 ლარის ჩათვლით.[3]

სადისერტაციო კვლევაში შესწავლილია სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმა. აღნიშნული კონსტრუქტის კვლევა მნიშვნელოვანია

[3] აღნიშნული მონაცემები აღებულია ბმულიდან http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=35&lang_id=GEO

იმდენად, რამდენადაც სიღარიბეში მცხოვრებ ჯგუფებში მის შესწავლას დიდი ისტორია არ აქვს. შესაბამისად, მოცემული ნაშრომი მეტ წვლილს შეიტანს როგორც სიღარიბის სტიგმის აღქმის, ასევე, ზოგადად, სტიგმის აღქმის ფენომენის შესწავლაში. ამასთანავე, მოცემული კონსტრუქტი მნიშვნელოვნად უკავშირდება სტიგამიტიზებული ჯგუფების ქცევით თავისებურებებს, რისი გაანალიზებაც უმნიშვნელოვანესია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემთხვევაში. სიღარიბეში ცხოვრებასთან დაკავშირებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებებზე მათი რეაგირებები საგულისხმო ზეგავლენას უნდა ახდენდეს სიღარიბისაგან თავის დაღწევის მცდელობებზე.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სტიგმის აღქმის კავშირი ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებთან, რომლებსაც დაბალი სტატუსის ჯგუფის წევრები მიმართავენ სტიგმისა და დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსიდან მომდინარე იმ უარყოფითი გავლენებისაგან თავის დასაღწევად, რომლებიც მათი პოზიტიური თვითხატისა და იდენტობისათვის საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კონსტრუქტის შესწავლა საქართველოში აქამდე ჯერ არ განხორციელებულა, რაც არა მხოლოდ დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფის, არამედ ქვეყანაში სხვა დაქვემდებარებული სტატუსის მქონე ჯგუფების კვლევის მიმართულებაშიც სიახლე იქნება. ამას გარდა, კვლევაში შეისწავლება მოცემული კონსტრუქტების კავშირები პიროვნული/ინდივიდუალური, კოლექტიური თვითშეფასების სახეებთან და ეკონომიკური სისტემის გამართლების მოტივაციასთან.

## სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება რვა თავისაგან.

პირველ თავში განხილულია სტიგმისა და სტიგმის აღქმის თეორიები და სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების მასტიგმატიზებელი გამოცდილებების შესახებ ჩატარებული კვლევები.

მეორე თავში მიმოხილულია სოციალური იდენტობის თეორია და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შესახებ არსებული ლიტერატურა.

მესამე თავშია განხილულია ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასება, ასევე, ეკონომიკური სისტემის გამართლების ცნება. ასევე, შეჯამებულია საკვლევ კონსტრუქტებს შორის შესაძლო ურთიერთმიმართებები.

კვლევითი ნაშრომის მეოთხე თავი ეხება კვლევის მიზნებისა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას.

მეხუთე თავში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. ამავდროულად, დასაბუთებულია შერჩეული მეთოდების კვლევის მიზნებთან შესაბამისობა.

ნაშრომის მეექვსე თავი მთლიანად ეძღვნება სადისერტაციო კვლევის შედეგების აღწერას.

მეშვიდე თავში ახსნილი და ინტერპრეტირებულია მიღებული შედეგები.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლო - მერვე თავი ეძღვნება კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულების გამოკვეთას. ამასთანავე, კვლევის ძირითადი შედეგების ლაკონურად შეჯამებას.

დასასრულს, განხილულია კვლევის შეზღუდვები და შესასწავლი საკითხის ირგვლივ სამომავლო კვლევების განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, კვლევა ჩატარდა სამ ნაწილად.

პირველი ნაწილის უმთავრესი მიზანი იყო სტიგმის აღქმისა და სოციალური იდენტობის თავისებურებების სიღრმისეული შესწავლა საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანებში. ამისათვის შეირჩა თვისებრივი მეთოდი. კვლევის მეორე ნაწილი მიზნად ისახავდა სკალების ადაპტირებას. კვლევის მესამე ნაწილში კი შესწავლილ იქნა საკვლევ კონსტრუქტებს შორის გამოვლენილი ურთიერთმიმართებები.

# თავი I

## 1.1. სოციალური სტიგმა: ზოგადი მიმოხილვა

სიღარიბეს თან ახლავს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ფსიქო-სოციალური სირთულეები. სიღარიბეში მცხოვრებნი ყოველდღიურად უამრავ პრობლემას აწყდებიან, მატერიალური სირთულეებიდან დაწყებული (ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება), სოციალური ურთიერთობებითა და ფსიქიკური პრობლემებით დამთავრებული. დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანებისათვის დამატებითი „ტვირთია" იმის ცოდნა, რომ საზოგადოება მათ სტიგმატიზაციას ახდენს მათივე ფინანსური მდგომარეობის გამო (Lott, 2002). ამიტომ, სტიგმა არის ის მნიშვნელოვანი ფენომენი, რომლის სიღარიბის კონტექსტში შესწავლაც, ჯერ კიდევ 1995 წელს, კოპენჰაგენში ჩატარებული სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტის ფარგლებშიც აქტიურად იქნა განხილული.

სიღარიბესთან დაკავშირებული სტიგმის თავისებურებების დახასიათებამდე, თავდაპირველად, ნაშრომში მოკლედ განვიხილავთ სტიგმის ზოგად დეფინიციებს და მის კავშირს სოციალურ იდენტობასთან.

სტიგმას განსაზღვრავენ როგორც დევიანტური, სოციალური ნორმებიდან გადახრილი მახასიათებლის ქონას, რომელიც მკვეთრად დისკრედიტებულია. ის ადამიანს სხვებისაგან განსხვავებულს და ნაკლებად სასურველს ხდის (Goffman, 1963). ამასთანავე, სტიგმატიზაციისას დამახასიათებელია სტიგმის სამიზნეების კატეგორიზაცია და მათ მიმართ სტერეოტიპული მსჯელობა (იხილეთ, Jones et al., 1984, for a review).

სტიგმის შესახებ არსებულ დეფინიციათა უმეტესობას შემდეგი ორი საერთო ელემენტი ახასიათებს: პირველ რიგში, მათში აღნიშნულია ის, რომ მასტიგმატიზებელი ნიშანი განსხვავდება იმისაგან, რაც საზოგადოებაში „ნორმად", „მიღებულად" ითვლება. მეორე, ჩვეულებრივ, სტიგმის განმსაზღვრელ ატრიბუტთან სხვა სტერეოტიპებიცაა დაკავშირებული. გოფმანი (1963) აღნიშნავს, რომ სტიგმის არსებობა გულისხმობს მადისკრედიტებელ ატრიბუტსა და სტერეოტიპებს შორის ურთიერთქმედების პროცესს. სტიგმა ნეგატიურ გავლენას ახდენს სამიზნის ხატზე.

მსგავს აზრს გამოთქვამს ჯოუნსიც, როდესაც აღნიშნავს, რომ სტიგმატიზიციისას იგულისხმება მასტიგმატიზებელ ნიშანთან ასოცირებული ნეგატიური შეფასებებისა და სტერეოტიპების არსებობა (Jones et al. 1984).

საზოგადოების წევრებს შორის ბევრი სახის განსხვავება არსებობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა მათგანი სტიგმის წყარო არ ხდება. სტიგმატიზაციის ობიექტი გახდება მხოლოდ ის მახასიათებლები, რომლებიც საზოგადოებაში დაწესებული სტანდარტების არაკონსისტენტურად აღიქმება. სტიგმატიზებული ადამიანები მეინსტრიმ საზოგადოებისაგან გარეთ აღმოჩნდებიან ხოლმე, რასაც თანახლავს სოციუმის „ჩვენ“ და „ისინი“ ჯგუფებად ფორმირება (Morone, 1997). საზოგადოება მათგან „განსხვავებულებს“ ცალკე ჯგუფში მოაქცევს და უგულებელყოფს ან ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მათთან რაიმე კავშირის/მსგავსების არსებობას. ამ პროცესის შედეგად კი კიდევ უფრო ადვილდება სტიგმატიზებული ჯგუფისათვის სხვადასხვა სახის ნეგატიური სტერეოტიპების მიწერა.

სტიგმატიზაცია ხდება სოციალური ინტერაქციებისას. ის შეიძლება ძალიან აშკარად იყოს გამოხატული ისეთ ქმედებებში, როგორებიცაა ურთიერთობისათვის თავის არიდება, სოციალური უარყოფა, დისკრედიტაცია, დეჰუმანიზაცია და დეპერსონალიზაცია (Dovidio et al., 2000; Herek, 1999). ამასთან ერთად, სტიგმამ შეიძლება იჩინოს თავი მსუბუქ და ძნელად შესამჩნევ ფორმებშიც. მაგალითად, არავერბალური კომუნიკაციის არხებით (Hebl, Tickle & Heatherton, 2000).

გოფმანი (1963) გამოყოფს სამი სახის სტიგმას: 1) სხეულის ნაკლოვანებებთან დაკავშირებულს; 2) ხასიათის მანკიერ თავისებურებებთან დაკავშირებულს; 3) ჯგუფურ სტიგმას. პირველი მათგანი გულისხმობს ფიზიკური ანომალიების, შეზღუდული შესაძლებლობების არსებობას. მეორე სახის სტიგმაში შედის ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლების ქონა, როგორებიცაა სუსტი ნებისყოფა, რიგიდული რწმენების ქონა, უპატიოსნება და ა.შ (Goffman 1963). ამ კატეგორიაში შედის ისეთი მასტიგმატიზებელი მდგომარეობები, როგორებიცაა დეპრესიის ქონა ან ალკოჰოლიზმი. ჯგუფური სტიგმა უკავშირდება გარკვეულ რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, კლასობრივ ან სხვა ჯგუფების წევრობასთან დაკავშირებული სტიგმის არსებობას. მასტიგმატიზებელი ნიშანი შეიძლება იყოს როგორც თვალსაჩინო, ისე

ფარული (ნაკლებად ხილვადი) (Goffman 1963). მეიჯორი და ო'ბრაიანი (Major and O'Brien) (2005) გოფმანის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, ასევე, აღნიშნავენ, რომ სტიგმა შეიძლება მომდინარეობდეს ადამიანის გარეგნობიდან, ქცევიდან, ან ჯგუფის წევრობიდან.

სოციალურ-ფსიქოლოგიური პერსპქეტივიდან, სტიგმატიზაციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფუნქცია. ერთ-ერთი მათგანია დომინანტობის შენარჩუნება; მეტი ძალაუფლების მქონე ადამიანები შეიძლება მიმართავდნენ სტიგმატიზაციას დაქვემდებარებულებთან მიმართებით ჯგუფთაშორისი უთანასწორობის შესანარჩუნებლად. სტიგმის მეორე ფუნქცია შეიძლება უკავშირდებოდეს სოციალური ნორმის განმტკიცებას. სტიგმატიზაციის შიში შეიძლება ხელს უწყობდეს პოტენციური დევიანტების შიდა ჯგუფური ნორმებისადმი თანხმობას. ევოლუციური პერსპექტივიდან კი, სტიგმატიზებულების სოციალური ექსკლუზია საზოგადოების წევრებს იცავდა დაავადებებისა და სხვა პათოლოგიების გავრცელებისაგან (Kurzban & Leary, 2001; Phelan et al., 2008).

## 1.2. სტიგმის აღქმის თეორიული მოდელი

ტრადიციულად, სტიგმა განისაზღვრებოდა უფრო მეტად მასტიგმატიზებლების პერსპექტივიდან, და არა თავად სტიგმატიზებულის აღქმებზე დაყრდნობით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მიერ სტიგმატიზებული ინდივიდები აუცილებლივ შეიძლება არ განიცდიდნენ სტიგმას ისე ინტენსიურად, როგორც ეს მოსალოდნელია. ბოლო დროს, უფრო აქტიურად შეისწავლება სტიგმის აღქმის ცნება. კვლევების მიხედვით დასტურდება, რომ საზოგადოების მიერ გამოხატული სტიგმის ინტენსივობის მიუხედავად, მარგინალიზებული ჯგუფის წევრები საკმაოდ მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდნენ სტიგმის აღქმის თავისებურებებში (Corrigan & Calabrese, 2005; Crandall, 1991). კვლევებში ხაზი ესმება აზრს იმის შესახებ, რომ თითოეულ ინდივიდს შეიძლება აღენიშნებოდეს სტიგმისადმი სენსიტიურობის სხვადახვა დონე (სტიგმისადმი სენსიტიურობა ნიშნავს, თუ რამდენად ახდენს სტიგმა გავლენას იდენტობაზე) (Major & O'Brien, 2005) (ფარსადანიშვილი & ქიტიაშვილი,

*აღქმული სტიგმის კონსტრუქტის შესწავლა საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მაგალითზე, იბეჭდება*).

სტიგმის აღქმისა და პიროვნებაზე მისი ზეგავლენის პროცესის გაანალიზება შესაძლებელია პრიორისა და რიიდერის (2011) მიერ შემუშავებულ მოდელში გამოყოფილი სტიგმის ტიპების გამოყენებით. სტიგმის პირველი სახე, რომელსაც ავტორები გამოყოფენ, არის საჯარო სტიგმა (public stigma), რომელიც გულისხმობს საზოგადოების მხრიდან გამოხატულ რეაქციებს მასტიგმატიზებელი მახასიათებლის მქონე ადამიანების მიმართ. ის აერთიანებს აღმქმელების კოგნიტურ, აფექტურ და ქცევით რეაქციებს. პრიორისა და რიიდერის მოდელში შემოთავაზებული სტიგმის მეორე სახეა თვით-სტიგმა (self-stigma). ეს უკანასკნელი უკვე ასახავს იმ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ეფექტებს, რომლებიც სტიგმას აქვს სამიზნეზე. აქ შედის სტიგმატიზაციის მსხვერპლის მიერ როგორც იმის გაცნობიერება, რომ მის მიმართ საზოგადოებას ნეგატიური დამოკიდებულებები აქვს, ასევე, სტიგმასთან დაკავშირებული ნეგატიური რწმენებისა და განცდების ინტერნალიზებაც. მესამე ტიპის სტიგმაა ასოციაციური კავშირის შედეგად განპირობებული სტიგმა, რომელშიც იგულისხმება იმ ადამიანების მიმართ რეაქციები, რომლებიც სტიგმატიზებულ პიროვნებასთან არიან დაკავშირებული (მაგ., სტიგმატიზებულის ოჯახი და მეგობრები). მოდელში განხილული სტიგმის ბოლო ტიპი კი არის სტრუქტურული სტიგმა, რომელიც ხასიათდება საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და იდეოლოგიურ სისტემებში მასტიგმატიზებელი სტატუსის ლეგიტიმაციითა და განმტკიცებით (Pryor & Reeder, 2011). მოცემული სახის სტიგმები ურთიერთდაკავშირებულია. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საჯარო სტიგმა დანარჩენი სამი ტიპის სტიგმის ამოსავალია.

სტიგმის აღქმის ფენომენის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია პრიორისა და რიიდერის მოდელში დახასიათებული სტიგმის მეორე ტიპი - თვით-სტიგმა. ავტორები თვით-სტიგმის დახასიათებისას ეყრდნობიან ჰერეკის მიერ გამოყოფილ სტიგმის სახეებს და აღნიშნავენ, რომ სტიგმა თვითობაზე სამი გზით შეიძლება ახდენდეს გავლენას: 1) მოქმედებაში გამოხატული სტიგმა (enacted stigma), რაც გულისხმობს სტიგმატიზებული ადამიანის მიმართ ნეგატიურ მოპყრობას; 2) განცდილი სტიგმა (felt stigma) - სტიგმატიზებული პირის მიერ სტიგმატიზაციის

გამოცდილების გაცნობიერება და მომავალში სტიგმატიზაციის მოლოდინი; 3) სტიგმის ინტერნალიზება - საზოგადოების მიერ გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულებების მიღება, მათი საკუთარი თვითობის/სელფის ნაწილად გადაქცევა და პიროვნული ღირებულების მინიჭება, რასაც თან ახლავს თვითღირებულების შემცირება და ფსიქოლოგიური დისტრესი (Herek, 2007; 2009).

სანამ უფრო დეტალურად განვიხილავთ სტიგმის აღქმისა და ინტერნალიზების პროცესს, უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამეცნიერო ლიტერატურაში, სტიგმის აღქმის შემადგენელი ერთი და იგივე ასპექტები სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიება ხოლმე, თუმცა, შინაარსობრივად ზუსტად ერთნაირადაა დახასიათებული ავტორების მიერ. პრიორისა და რიდერისაგან განსხვავებით, ჰერეკის, გილის, კოგანის და სხვების (Herek GM, Gillis JR, Cogan JC, Peilian Chi, Xiaoming Li, Junfeng Zhao, and Guoxiang Zhao) მიერ გამოყოფილი სტიგმის სახეებში, სტიგმის ინტერნალიზება თვით-სტიგმის სახელითაა (self-stigma) ცნობილი. ავტორების მიერ იდენტიფიცირებული დანარჩენი ორი ტიპის სტიგმა კი არის მოქმედებაში გამოხატული სტიგმა (enacted stigma) და აღქმული სტიგმა/სტიგმის აღქმა (perceived stigma). მოქმედებაში გამოხატული სტიგმა ისეა დახასიათებული, როგორც ჰერეკის კლასიფიკაციაში. სტიგმის აღქმა კი თავისი შინაარსით განცდილ (felt stigma) სტიგმას უტოლდება. კერძოდ, ავტორები მის ქვეშ გულისხმობენ სტიგმის სუბიექტურ გაცნობიერებას, რაც შეიძლება განაპირობებდეს ისეთი განცდების განვითარებას, როგორებიცაა სტიგმატიზაციის შიში, თვითგახსნასთან დაკავშირებული შფოთვა ან/და დისტერსი პირად ურთიერთობებში.

სტიგმის ინტრაპერსონალური ასპექტების ურთიერთგადამკვეთი ტერმინები გვხვდება სიღარიბის სტიგმის აღქმის შესახებ არსებულ კვლევებშიც. მაგალითად, სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართული პირების მონაწილეობით ჩატარებულ კვლევაში, შტუბერმა და შლეზინგერმა (2006) გამოყვეს სტიგმის ორი ფორმა: იდენტობის სტიგმა და მოპყრობასთან დაკავშირებული სტიგმა (treatment stigma). იდენტობის სტიგმას, შტუბერი და შლეზინგერი, განმარტავენ, როგორც ნეგატიური სტერეოტიპების ინტერნალიზებას. მოპყრობასთან დაკავშირებულ სტიგმაში კი იგულისხმება ნეგატიური მანერით მოპყრობის შიში (Stuber and Schlesinger, 2006). ჰერეკის მოდელში კი ნეგატიური სტერეოტიპების გაშინაგნება სტიგმის

ინტერნალიზების ნაწილადაა მიჩნეული, უარყოფითად მოქცევის შიში კი თვით-სტიგმის ცნების ნაწილადაა მოაზრებული, როდესაც საუბარია მომავალში სხვებისაგან მოსალოდნელ მასტიგმატიზებელ მოპყრობაზე.

ქრისტინა მიკელსონი და სტესი უილიამსი, თავიანთ კვლევებში, სიღარიბის სტიგმის აღქმას ორ განზომილებად ჰყოფენ: 1) სტიგმის ინტერნალიზება (internalized stigma), რაშიც გულისხმობენ სიღარიბესთან დაკავშირებული ისეთი ნეგატიური განცდების ქონას, როგორებიცაა სირცხვილი, შეცბუნება ან საკუთარი თავის განსხვავებულად აღქმა; 2) გამოცდილებაში არსებული სტიგმა (experienced stigma). ეს უკანასკნელი მოიცავს ინდივიდის ზოგად აღქმებს მის მიმართ განხორციელებულ მასტიგმატიზებელ მოქმედებებთან დაკავშირებით (Mickelson & Williams, 2008).

სტიგმის ინტრაპერსონალური ასპექტების სხვადასხვანაირი სახელდება და ურთიერთგადამკვეთი შინაარსები ხელის შემშლელი არაა სტიგმის ინტერნალიზების პროცესის აღსაწერად. პირიქით, ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი მეტად თვალსაჩინოს ხდის პიროვნების მიერ სტიგმის აღქმის იმ მახასიათებლებს, რომელთა გადმოცემასაც ისახავდნენ მიზნად ავტორები ზემოთ აღწერილი ტერმინების შემოტანით.

სტიგმის გაშინაგნების პროცესის აღსაწერად საფეხურეობრივ მოდელს წარმოადგენენ კორიგანი და რაო (Corrigan & Rao, 2013). ავტორების მიხედვით, თავდაპირველად, ინდივიდმა უნდა იცოდეს/გააცნობიეროს საჯარო სტიგმის არსებობა, შემდეგ დაეთანხმოს/აღიაროს/მიიღოს, დაუკავშიროს საკუთარ თავს და გაიშინაგნოს არსებული ნეგატიური დამოკიდებულებები. ამ ყველაფერს კი შედეგად მოჰყვება თვითღირებულების შემცირება და საზოგადოებისაგან გარიყვა. კორიგანის და რაოს (2013) მიერ აღწერილი ეს მოდელი „რატომ ვეცადო“ ეფექტის სახელითაა (“why try” effect) ცნობილი და მოდიფიცირებული იარლიყების თეორიას ეყრდნობა. იარლიყების თეორიის მიხედვით, ინდივიდებისათვის რაიმე სახელის დარქმევამ/იარლიყირებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მათ ქცევასა და განცდებზე. მოდიფიცირებული იარლიყების თეორია სტიგმას თავად სტიგმატიზებულთა პერსპექტივებიდან განიხილავს და აქცენტს მათ გამოცდილებებზე აკეთებს (Link at al, 1989). სახელწოდება „რატომ ვეცადო“ გამოხატავს ნეგატიური დამოკიდებულებების მიღებისა და გაშინაგნების იმ შედეგს, როდესაც პიროვნება იჯერებს მის მიმართ

გამოთქმულ მადისკრედიტებელ გამონათქვამებს და საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად კი აღარ იბრძვის, არამედ სრულიად პასიური ხდება.

ჯერ-ჯერობით შესწავლილი არაა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ განიცდის ზოგიერთი ადამიანი თვითსტიგმას, ზოგიერთი კი ნაკლებად, კერძოდ, რომელი ფაქტორები განაპირობებს სტიგმისადმი სენსიტიურობას, (Dunion and McCarthy, 2012). სხვადასხვა სახის სტიგმატიზებული ჯგუფის შესწავლისას, ბუნებრივია, გასნხვავებულია შედეგები იმასთან დაკავშირებით, თუ რა რაოდენობის ადამიანები ექცევიან სტიგმის ზეგავლენის ქვეშ და მათ თავიანთი სელფის ნაწილად ხდიან. მაგალითად, შოტლანდიაში ჩატარებული მცირე მასშტაბიანი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე კვლევის მონაწილეთა 60% განიცდიდა თვითსტიგმას (Singleton, 2011).

სტიგმის აღქმის პროცესი, დიაგრამის სახით, ნაყოფიერადაა შეჯამებული სტიგმის ინტერნალიზების ინსტრუმენტების ფსიქომეტრული მახასიათებლების შესასწავლ კვლევით ნაშრომში. სტატიაში წარმოდგენილი სტიგმის ინტერნალიზების მოდელი ეყრდნობა ლივინგსტონისა და ბოიდის მიერ, 2010 წელს შემუშავებულ თეორიულ ჩარჩოს (Stevelink, Wu, Voorend Voorend BSc & Brakel, 2012) (იხილეთ ილუსტრაცია № 1).

**ილუსტრაცია № 1. სტიგმის ინტერნალიზების მოდელი (Stevelink, Wu, Voorend Voorend BSc & Brakel, 2012).**




Stevelink, Wu, Voorend Voorend BSc & Brakel, 2012.

სადოქტორო კვლევაში, სოციალურად დაუცველის სტატუსის სტიგმის აღქმის განხილვისას, ვეყრდნობით ქრისტინა მიკელსონის სიღარიბის სტიგმის აღქმის ზემოთ ხსენებულ მოდელს. თუმცა, მიმოხილულ თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, შეგვაქვს გარკვეული ცვლილებებიც.

კერძოდ, სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის შემთხვევაში გამოვყოფთ ორ განზომილებას - **ნეგატიური მოპყრობის აღქმას** (experienced stigma) და **სტიგმის ინტერნალიზებას** (Internalized Stigma). [4]

ნეგატიური მოპყრობის აღქმაში ვგულისხმობთ იმ შინაარსებს, რაც, მიკელსონისა და სხვა ავტორების მიერ იგულისხმება - ნეგატიური მოპყრობისა და დისკრიმინაციის აღქმის შემთხვევები. ამ ცნებასთან მიმართებით სტიგმის აღქმის მკვლევრების ნაშრომებში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთიანი აზრი არსებობს, კერძოდ, გულისხმობენ მასტიგმატიზებელ სტატუსთან დკავშირებულ უარყოფით გამოცდილებებს. გამონაკლისია შტუბერი და შლეზინგერი (2006), რომლებიც მომავალში ნეგატიური მოპყრობის შიშს მოიაზრებენ მოპყრობასთან დაკავშირებულ სტიგმაში. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი, უფრო მეტად სტიგმის ინტერნალიზების განზომილებას მიეკუთვნება, რადგან ამ შემთხვევაში შიშის ინტერნალიზებას, მასთან დაკავშირებულ ნეგატიურ ემოციებსა და სტიგმის სელფის დონეზე განცდას აქვს ადგილი.

სტიგმის ინტერნალიზების განზომილებაში კი, ქრისტინა მიკელსონისაგან განსხვავებით, სიღარიბესთან ასოცირებული ნეგატიური ემოციების განცდასთან ერთად, განვიხილავთ სტერეოტიპებისადმი თანხმობის ასპექტსაც. როგორც ზემოთ ვნახეთ, სტიგმის ინტერნალიზებაში ნეგატიური დამოკიდებულების მიღების/გაზიარების შეტანის მომხრეა ჰერეკიც. ასევე, ბოლო დროის კვლევებშიც განიხილება სტერეოტიპებისადმი თანხმობა სტიგმის ინტერნალიზების ნაწილად (Szcześniak, Kobyłko, Wojciechowska, Kłapciński & Rymaszewska, 2018). ვფიქრობთ,

[4] მოცემული ტერმინების ქართული თარგმანი არ არსებობდა. შესაბამისად, წარმოადგენს დისერტანტისა და თემის ხელმძღვანელის ქართულად თარგმნილ ვერსიას. გათვალისწინებულ იქნა სკალების ექსპერტული შეფასებისას გამოთქმული მოსაზრებებიც.

სტიგმის ინტერნალიზება უკვე გულისხმობს მე-კონცეფციისა და იდენტობის დონეზე ცვლილებების პროცესს.

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სტიგმის აღქმისა და ინტერნალიზების პროცესი განვიხილოთ სოციალურად დაუცველის სტიგმის აღქმის მაგალითზე. თავდაპირველად, ბუნებრივია, საზოგადოებაში უნდა არსებობდეს სოციალურად დაუცველთა ჯგუფის მიმართ გამოხატული მასტიგმატიზებელი დამოკიდებულებები (საჯარო სტიგმა). საქართველოს შემთხვევაში, სოციალური დახმარების პროგრამებში ჩართული პირები სპეციალური სახელწოდებით - სოციალურად დაუცვლებით - არიან ხოლმე მოხსენიებული. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ჯგუფის წევრები სუბიექტურად განიცდიან მათ მიმართ არსებულ სტიგმას. ზოგიერთ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველთა მიმართ არსებული საჯარო სტიგმის მოქმედების შედეგად შეიძლება განვითარდეს სტიგმის აღქმის ფენომენი, რომელშიც იგულისხმება დისკრიმინაციისა და სხვა დამამცირებელი ქმედებების გამოცდილება, მათი განცობიერება, ნეგატიური ემოციების ქონა და ისეთი ტიპის ქცევითი რეაქციები, როგორებიცაა სტიგმის დამალვა ან საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებთან ინტერაქციისათვის თავის არიდება. სიღარიბის სტიგმის აღქმის ამ პროცესმა შეიძლება განაპირობოს მისი ინტერნალიზაცია, რაც უკვე გულისხმობს მასტიგმატიზებელი რწმენების მიღებას, დაჯერებას და საკუთარი იდენტობის ნაწილად ქცევას. შედეგად, მიიღება ტრანსფორმირებული იდენტობა - „მე სოციალურად დაუცველი ვარ“. ეს უკანასკნელი დატვირთული იქნება ისეთი შინაარსებით, როგორებიცაა, მაგალითად, სამუშაოს შოვნის უუნარობა, საზოგადოების უღირს წევრად ყოფნასთან დაკავშირებული თვით-აღქმები და სხვა სტერეოტიპები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვწერეთ, სტიგმის არსებობას, ყოველთვის თან ახლავს (იხილეთ დიაგრამა №1).

**ილუსტრაცია №2. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის მოდელი.**




ნათლად ჩანს, რომ სტიგმის აღქმისა და ინტერნალიზების შედეგად, მისი ფუნდამენტური კომპონენტი შეიძლება გახდეს იდენტობა. ხშირად სტიგმა აღიწერება, როგორც ვირტუალურ (სოციალურ) და აქტუალურ (პერსონალურ) იდენტობებს შორის განსვლა (Blaine, 2000; Goffman, 1963; Snow & Anderson, 1987). ამ შემთხვევაში ვირტუალური იდენტობა გულისხმობს საზოგადოების დამოკიდებულებებს სტიგმატიზებულ ადამიანთან დაკავშირებით; აქტუალური იდენტობა კი უკავშირდება საკუთარ თავთან მიმართებით ინდივიდის რწმენებსა და შეხედულებებს (Blaine, 2000).

ბლეინის მიხედვით, სტიგმატიზაციისას ვირტუალური იდენტობა უფრო ნეგატიური შინაარსებითაა დატვირთული, ვიდრე აქტუალური იდენტობა. ვირტუალურ და აქტუალურ იდენტობებს შორის განსვლა კი განაპირობებს სირთულეებს სოციალურ ურთიერთობებში და სხვა სახის ნეგატიურ განცდებს, რომლებსაც მართვა სჭირდებათ (Blaine, 2000). ხშირად ვკითხულობთ, რომ სტიგმატიზაცია გულისხმობს სოციალური იდენტობის შემადგენელი ისეთი მახასიათებლების არსებობას, რომლებიც საზოგადოებაში გაუფასურებულია. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა დავაზუსტოთ, რომ

სტიგმას სოციალურ იდენტობაზე ზეგავლენის მოხდენის ძალა მხოლოდ მისი აღქმისა და ინტერნალიზების შედეგად შეიძლება ჰქონდეს.

როგორც უკვე აღვნიშენთ, სიღარიბესთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის კვლევები ცოტაა. თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოში აქამდე ჩატარებულ ერთ კვლევაში, სტიგმის აღქმა იკვეთება სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების მაგალითზე. არასრულწლოვნები ინტერვიუებში საუბრობენ მათ მიმართ განხორციელებულ უსამართლო მოპყრობაზე, სირცხვილის და შიშის განცდებზე, რაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტიგმის ინტერნალიზაციაზე მიუთითებს (ქიტიაშვილი & ფარსადანიშვილი, 2018).

# თავი II

## 2.1. სოციალური იდენტობის თეორია

ჯგუფური სტიგმის არსებობისას, როდესაც სტიგმა გარკვეული ჯგუფის წევრობას ეხება და საუბარია აქტუალურ და ვირტუალურ იდენტობას შორის განსვლაზე, ეს უკანასკნელი, უკავშირდება ჯგუფის წევრობიდან მომდინარე სოციალურ იდენტობას. დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოქალაქეები ერთიანდებიან ერთ ფენად და საზოგადოების ცალკეულ ჯგუფს წარმოადგენენ. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეები, განიხილებიან, როგორც კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის - მოსახლეობის სოციალურად დაუცველთა კატეგორიის - წარმომადგენლები.

ტაჯფელისა და ტერნერის (1978) მიერ შემუშავებულ თეორიაში სოციალური იდენტობა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის წევრობასთან მჭიდრო კავშირში განიხილება. ასეთი მიდგომა მიზანშეწონილია შემდეგი მიზეზების გამო: პირველი, ჩვეულებრივ, ადამიანები დაბადებისას უკვე მიეკუთვნებიან იერარქიული სოციალური სტრუქტურის რომელიმე ჯგუფს, რომელიც ახდენს მათ კატეგორიზებას გენდერის, ეთნიკურობის, რელიგიის ან სოციალური კლასის მიხედვით (Ashmore et al. 2004). ხშირად ადამიანები თვითონ კი არ განსაზღვრავენ იმას, თუ საზოგადოების რომელ სოციო-ეკონომიკურ ერთეულს მიეკუთვნებიან, არამედ რეალურ სამყაროში არსებული ჯგუფებად დაყოფის პრინციპი (მაგალითად, „ღარიბები“ ან „მდიდრები“) სთავაზობს მათ თვითგანსაზღვრის მზა დეტერმინანტს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სოციალური კატეგორიები, როგორც სოციალური სტრუქტურის სტაბილური კომპონენტები, ინდივიდებს ჩამოყალიბებული სოციალური იდენტობებით უზრუნველყოფს (Akfirat, Polat & Yetim, 2016). ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ რომელიმე პიროვნება ან ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ავტომატურად აქცევს მათ საზოგადოების დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონეთა (ღარიბთა) ჯგუფში. ამას გარდა, სიღარიბესთან დაკავშირებული სტიგმაც მიემართება ღარიბებს, როგორც სოციო-ეკონომიკური იერარქიული სტრუქტურის გარკვეულ ჯგუფს.

სოციალური ფსიქოლოგიის დისციპლინაში, სოციალური იდენტობის თეორიის განვითარების შემდეგ (SIT, Tajfel 1978; Tajfel and Turner 1986), სულ უფრო და უფრო მეტი აქცენტი კეთდება გენდერული, რასობრივი, სოციო-ეკონომიკური თუ სხვა ტიპის სოციალური უთანასწორობების შესწავლაზე (Ellemers 1993; Schmittet al. 2003). მიუხედავად იმისა, რომ სოციალური იდენტობის თეორიულ ჭრილში ჩატარებულ კვლევათა უმეტესობაში სიღარიბე პირდაპირი შესწავლის საგანი არ ყოფილა, მათ მაინც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით სოციალური უთანასწორობის იერარქიულ, სოციალურ კლასებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაში. სოციალური იდენტობის თეორიაში ანალიზის ინდივიდუალური დონიდან ჯგუფურ დონეზე გადანაცვლება ხდება, რადგან თეორიის მიზანი სოციალურ კატეგორიებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმების შესწავლაა.

სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით, ჯგუფი გარდამტეხ როლს თამაშობს პიროვნების სელფის ფორმირებაში, მისი თვითგანსაზღვრის პროცესში. ჯგუფი განსაზღვრავს საზოგადოებაში ინდივიდის ადგილს, განსაზღვრავს მათს სოციალურ იდენტიფიკაციას. სოციალურ იდენტობას სწორედ ჯგუფის წევრობიდან მომდინარე მე-კონცეფცია და მასთან დაკავშირებული ღირებულებათა სისტემა და ემოციები ქმნის. მაშასადამე, სოციალური იდენტობა გულისხმობს ინდივიდის თვითხატის შემადგენელი იმ ასპექტების ერთობლიობას, რომლებიც გარკვეული სოციალური კატეგორიების წევრობასთანაა დაკავშირებული.

სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით, სპეციფიკური სოციალური ჯგუფის წევრობას თანახლავს დადებითი ან უარყოფითი შინაარსის კონოტაციები. მაშასადამე, სოციალური იდენტობაც შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური იმის მიხედვით, თუ როგორ ფასდება რეფერენტული სოციალური ჯგუფი. შეფასება ხდება სხვა ჯგუფებთან მიმართებით სოციალური შედარების პროცესის მეშვეობით, რომლის დროსაც დარდება სპეციფიკური მახასიათებლები. პოზიტიური სოციალური შედარებისას (გარე ჯგუფებთან მიმართებით შიდა ჯგუფური მახასიათებლების დადებითად შეფასებისას) იბადება მაღალი პრესტიჟულობის განცდა; საკუთარი ჯგუფი სხვა რელევანტურ გარე ჯგუფებთან შედარებით უფრო დადებითად აღიქმება და პოზიტიური სოციალური იდენტობა რეფერენტული ჯგუფის სასარგებლოდ

გაკეთებულ სოციალურ შედარებებს ეფუძნება; ნეგატიური სოციალური შედარებისას კი ჯგუფის წევრების თვითღირებულების განცდა მცირდება. სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით, ინდივიდები მიისწრაფვიან პოზიტიური თვითხატის შექმნისა და თვითშეფასების ამაღლებისაკენ. ამიტომ, ისინი სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით ცდილობენ ნეგატიური სოციალური იდენტობის ფორმირებისათვის წინააღმდეგობის გაწევას (Tajfel 1978; Tajfel and Turner 1986).

ჯგუფთაშორისი დიფერენციაციისა და სოციალური შედარების ზემოთ აღწერილი პროცესის მიმდინარეობისათვის აუცილებელია, რომ ინდივიდებმა ჯგუფის წევრობა თავიანთი მე-კონცეფციის ინტერნალიზებულ ასპექტად აქციონ, ჰქონდეთ ჯგუფთან კუთვნილების, მასთან იდენტიფიკაციის განცდა. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ჯგუფის წევრები თავიანთ თავს არ ადარებენ ნებიმისმიერ კოგნიტურად ხელმისაწვდომ გარე ჯგუფს. ეს უკანასკნელი შესადარებლად რელევანტურად უნდა აღიქმებოდეს. გარე ჯგუფთან შედარების პროცესზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მსგავსება, სიახლოვე და სიტუაციური სიცხადე. ამას გარდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკუთარი ჯგუფის განსხვავებულად, სხვებისაგან გამოყოფილად წარმოჩენის მოტივაციაც (Tajfel 1978; Tajfel and Turner 1986; Ellemers & Rijswijk, 1997).

სწორედ ასეთი ინტერჯგუფური შედარებების შედეგად ყალიბდება სტატუსობრივი იერარქია, რომელიც ასახავს ჯგუფის ფარდობით პოზიციას შედარების რომელიმე შეფასებით განზომილებაზე. რაც უფრო დაბალია ჯგუფის სტატუსი სხვა რელევანტურ ჯგუფებთან მიმართებით, მით უფრო რთულია პოზიტიური სოციალური იდენტობის ფორმირება (Tajfel 1978; Tajfel and Turner 1986; Akfirat, Polat & Yetim, 2016).

სიღარიბის კონტექსტში, დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ჯგუფებისათვის, ბუნებრივია, შედარების სამიზნეს წარმოადგენს საზოგადოების უფრო მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფები. ეს უკანასკნელნი კი პრივილეგირებული სტატუსითა და მდგომარეობით სარგებლობენ; ამიტომ, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეებისათვის, მათთან

სოციალური შედარება, ნეგატიური სოციალური იდენტობის განვითარების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს.

## 2.2. ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები

სოციალური იდენტობის თეორიაში, ასევე, დიდი ნაწილი ეთმობა იმის გაანალიზებას, თუ როგორ შეიძლება რეაგირებდნენ ადამიანები სოციალურ სტრუქტურაში ნაკლებად პრივილეგირებული სტატუსის ქონაზე და როგორ უმკლავდებიან ნეგატიური სოციალური იდენტობის ფორმირებასთან დაკავშირებულ ზიანს (დაბალი თვითშეფასება, დამცირებულად თავის გრძნობა და ა.შ).

საკმაოდ დიდი კვლევითი ინტერესი დაიმსახურა საკითხმა იმის შესახებ, თუ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის რომელი სტრატეგიები გამოიყენება დაბალი სტატუსის მქონე სოციალური ჯგუფის წევრების მიერ.

სოციალური იდენტობის თეორიის ფარგლებში, ძირითადად, სამი ტიპის სტრატეგიას გამოყოფენ ხოლმე: 1) ინდივიდუალური მობილობა; 2) სოციალური კრეატულობა; 3) სოციალური შეჯიბრი (Tajfel & Turner, 1979).

ინდივიდუალური მობილობა გულისხმობს დაბალი სტატუსის მქონე ჯგუფისაგან გამოყოფას (დისიდენტიფიკაციას) და მის დატოვებას (სულ მცირე, მასთან იდენტიფიკაციის შემცირებას). ის მთლიანად პიროვნულ დონეზე მოქმედი სტრატეგიაა, რომლის მიზანია ინდივიდუალური, და არა ჯგუფური კეთილდღეობის ამაღლება. მისგან განსხვავებით, სოციალური შეჯიბრი წარმოადგენს კოლექტიურ/ჯგუფურ სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს გარე ჯგუფთან პირდაპირ შეჯიბრს საკუთარი ჯგუფის სტატუსის ამაღლების მიზნით (Turner & Brown 1978; Tajfel 1978). აღნიშნული სტრატეგიის მიზანია პოზიტიური სოციალური იდენტობის მიღწევა და გამოიყენება ჯგუფის წევრების მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფთან იდენტიფიკაციის დონე მაღალია. რაც შეეხება სოციალური კრეატულობის სტრატეგიას, ის გულისხმობს სოციალური შედარების კონტექსტის შეცვლას. ამ დროს, პოზიტიური სოციალური იდენტობის განცდა მიიღწევა სოციალური ჯგუფის სტატუსის რეალური ცვლილების გარეშე. ამ სტრატეგიაში ფართო სპექტრის რეაქციები შედის, რომელთაგან ზოგიერთი მეტად

ინდივიდუალისტურია, სხვები კი ჯგუფური იდენტობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. მაგალითად, ინდივიდუალურ დონეზე მოქმედებს და მხოლოდ პიროვნული იდენტობის დადებითი შინაარსებით დატვირთვას ემსახურება ჯგუფის შიდა წევრებთან მიმართებით დაღმავალი სოციალური შედარების პრინციპი (ქალთა ჯგუფის შემთხვევაში მსჯელობა - „მე უფრო მეტ თანხას გამოვიმუშავებ, ვიდრე სხვა ქალები"). ჯგუფის სხვა წევრებისაგან განსხვავებით საკუთარ უპირატესობაზე ხაზგასმა ჯგუფური იდენტობის გაუმჯობესებისათვის სასარგებლო ვერ იქნება, თუმცა, პოზიტიური პიროვნული იდენტობის ფორმირებას ხელს შეუწყობს. ნეგატიური პიროვნული იდენტობის დაძლევის ასეთი სტრატეგიის გამოყენებისას პიროვნება საკუთარ თავს ჯგუფის სხვა წევრებისაგან განსხვავებულად აღიქვამს; ამავდროულად, შეიძლება მოტივირებული იყოს მათი დაკნინებისაკენაც (Turner & Brown 1978; Tajfel 1978; Branscombe, 1998).

სოციალური კრეატულობის ქუდის ქვეშ განხილული ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სტრატეგიაა სხვა ჯგუფებთან მიმართებით დაღმავალი სოციალური შედარება. ამ შემთხვევაში დაბალი სტატუსის ჯგუფები აღიარებენ მაღალი სტატუსის ჯგუფების უპირატესობას იმ შეფასებით განზომილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ სტატუსობრივ პრივილეგიას განაპირობებს. თუმცა, ამასთანავე, ისინი გამოძებნიან ალტერნატიულ განზომილებებს, რომელთა გამოყენებითაც საკუთარი ჯგუფის სასარგებლოდ აკეთებენ სოციალურ შედარებებს (Turner & Brown 1978; Tajfel, 1978). ასეთ ალტერნატიულ განზომილებებზე ფოკუსირების შედეგად დაბალი სტატუსის ჯგუფებს უყალიბდებათ რწმენა იმისა, რომ საკუთარ ჯგუფს, უფრო მაღალი სტატუსის ჯგუფთან შედარებით, გარკვეული დადებითი მახასიათებლები გააჩნია (მაშინაც კი, თუ ეს ალტერნატიული განზომილებები მაღალი სტატუსის ჯგუფისათვის შედარებით უმნიშვნელოდ აღიქმება). სხვა ჯგუფებთან მიმართებით დაღმავალი სოციალური შედარების სტრატეგია ცალსახად ჯგუფურ დონეზე მოქმედ სტრატეგიადაა განხილული ლიტერატურაში. სწორედ ჯგუფის პოზიტიური იდენტობის ფორმირებას უწყობს ხელს იმ შესადარებელ განზომილებებზე ხაზგასმა, რომელთა მიხედვითაც საკუთარი ჯგუფი უკეთესად მოქმედებს, ხოლო იმ მახასიათებლების მნიშვნელობის შემცირება, რომლებიც გარე ჯგუფის უპირატესობას

განაპირობებს. ბოლო დროს ჩატარებული კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ ამ სტრატეგიას მეტი ალბათობით ისინი მიმართავენ, რომელთა ჯგუფთან სოციალური იდენტიფიკაციის დონე მაღალია (Branscombe, 1998).

მაშასადამე, სოციალური იდენტობის თეორიის ფარგლებში აღწერილი ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის აღნიშნული სამი ძირითადი სტრატეგიის (ინდივიდუალური მობილობა, სოციალური შეჯიბრი და სოციალური კრეატულობა) გამოყენების ორი ფუნდამენტურად განსხვავებული მიზანი არსებობს: ინდივიდუალური ან კოლექტიური/ჯგუფური იდენტობის გაუმჯობესება (Hogg & Abrams, 1988).

ჯგუფთან მაღალი დონის იდენტიფიკაციის შემთხვევაში გამოიყენება ხოლმე დაძლევის ჯგუფური დონის სტრატეგიები, ხოლო დაბალი იდენტიფიკაციის შემთხვევაში გავრცელებულია ინდივიდუალისტური სტრატეგიებისათვის მიმართვა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ყოველთვის თვალსაჩინოდ ან/და თანმიმდევრულად არაა ხოლმე აღნიშნული ინდივიდუალური და ჯგუფური დონის რეაქციებს შორის განსხვავებები. ინდივიდუალური სტრატეგიების შემთხვევაში, ბუნდოვანების მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, ის, რომ ზოგიერთი რეაქცია უფრო პირდაპირი და ნათელია (მაგალითად, ინდივიდუალური/სოციალური მობილობა), სხვები კი ირიბი და ძნელად შესამჩნევი (მაგ., საკუთარი ჯგუფის ჰეტეროგენულად აღქმა და სელფის სხვა წევრებისაგან დეფერენცირება). ასევე, ზოგიერთი ჯგუფური დონის რეაქცია ცალსახაა (მაგალითად, სოციალური შეჯიბრი), მაშინ როცა სხვები შედარებით ნაკლებად აშკარაა (მაგალითად, საკუთარი ჯგუფის ტერმინებში სელფის დახასიათება, გაძლიერებული ჯგუფური იდენტიფიკაცია). უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთსა და იმავე მოქმედებას სრულიად განსხვავებული მიზნები შეიძლება ედოს საფუძვლად. მაგალითად, ჯგუფთან დაბალი იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზოგიერთი ინდივიდი შეიძლება დროებით შეეცადოს ჯგუფის სხვა წევრებთან დაახლოებას მანამ, სანამ ეს პერსონალური/ინდივიდუალური თვითშეფასების გასაუმჯობესებელ საუკეთესო გზად ისახება (Branscombe & Ellemers, 1998; Ellemers & Rijswijk, 1997).

ვანისა და ბრანსკომბეს (Wann and Branscombe) (1990)-ის მიხედვით, ჯგუფის წევრობით და მასთან იდენტიფიკაციით ისარგებლებენ როგორც დაბალი, ისე მაღალი იდენტიფიკაციის წევრები მაშინ, როდესაც ჯგუფი წარმატებულია. თუმცა, ჯგუფის წარუმატებლობისას, მასთან დაბალი იდენტიფიკაციის ადამიანები შეეცდებიან მისგან გამოყოფას, თუ ეს ნეგატიურად აისახება მათ თვითხატზე; მაღალი იდეტიფიკაციის მქონე წევრები კი მაინც არ შეეცდებიან ჯგუფისაგან გამოყოფას.

სოციალური იდენტობის თეორიამ (Tajfel 1978; Tajfel and Turner 1979; ასევე, იხ. Hogg, Terry, and White 1995) ბიძგი მისცა ჯგუფთაშორისი ურთიერთობების შესახებ კვლევათა ნაკადს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შედეგი, რომელიც კვლევებში ვლინდება, არის შიდა ჯგუფური ფავორიტიზმი - სხვა ჯგუფებთან შედარებით საკუთარი ჯგუფის წევრების უფრო დადებითად შეფასება. ამ ფენომენის ერთ-ერთი სავარაუდო ახსნის მიხედვით, ადამიანები განსაკუთრებით მაშინ მიმართავენ შიდა ჯგუფურ ფავორიტიზმს, როდესაც ნეგატიური სოციალური იდენტობის ჩამოყალიბების საფრთხის წინაშე დგანან. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევებში ცალსახა შედეგები არაა. ზოგიერთმა მკვლევარმა გამოავლინა ძლიერი შიდა ჯგუფური ფავორიტიზმი უფრო დაბალი სტატუსის ჯგუფების შემთხვევაში; სხვებმა კი პირიქით - მაღალი სტატუსის ჯგუფებში (Mullen, Brown, and Smith, 1992). ასე რომ, შიდა ჯგუფური ფავორიტიზმი შეიძლება განიხილებოდეს ნეგატიური სოციალური იდენტობის დაძლევის ერთ-ერთ სტრატეგიად. თუმცა, აუცილებელია იმის დადგენა, თუ ზუსტად რომელ გარემოებებში მიმართავენ დაბალი სოციალური სტატუსის ჯგუფის წევრები ამ მექანიზმს. მულენის (Mullen et al. (1992) მიხედვით, მაღალი სტატუსის ჯგუფების წევრები მეტი ალბათობით სწორედ სტატუსის განმსაზღვრელ/სტატუსის რელევანტურ განზომილებებთან მიმართებით ავლენენ შიდა ჯგუფურ ფავორიტიზმს, ხოლო დაბალი სტატუსის ჯგუფები ნაკლებად რელევანტურ განზომილებებთან მიმართებით წარმოაჩენენ თავიანთ ჯგუფს აღმატებულად. იგივე შედეგები მიიღეს კვლევაში ნაომი ელემერსმა და ვენდი ვან რიჯსვიჯკმა (Naomi Ellemers &Wendy Van Rijswijk, 1997). დაბალი სტატუსის ჯგუფები შიდა ჯგუფურ ფავორიტიზმს მიმართავენ მხოლოდ სტატუსის არარელევანტურ, ალტერნატიულ განზომილებებთან მიმართებით, მაღალი სტატუსის ჯგუფები კი

პირიქით, საკუთარ ჯგუფს უფრო დადებითად აფასებენ სტატუსის განმსაზღვრელ მახასიათებელთან დაკავშირებით, ალტერნატიულ განზომილებებზე შეფასებებისას კი ჯგუფთაშორის განსხვავებას არ ავლენენ (Ellemers & Rijswijk, 1997).

ვფიქრობთ, შიდა ჯგუფური ფავორიტიზმი შეიძლება განვიხილოთ სოციალური კრეატულობის სტრატეგიის ერთ-ერთ სახედ, როდესაც გარე ჯგუფებთან დაღმავალი სოციალური შედარება ხდება სხვა ალტერნატიული შეფასებითი განზომილებების გამოყენებით.

ნეგატიური სოციალური იდენტობის დაძლევის სტრატეგიების სიღარიბის კონტექსტში მიმოხილვისას საინტერესოა სერაფ აფრიკატის, ფილიზ ქომეზ პოლატისა და უნსალ იეტიმის (Serap Akfirat-, Filiz Comez Polat, Unsal Yetim) მიერ თურქეთში ჩატარებული კვლევა. კვლევაში მონაწილეობას იღებდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობა. ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები (N = 50) და გამოკითხვა (N = 170). კვლევის მიზანი იყო სოციალური იდენტობის თეორიაში (Tajfel & Turner, 1979) დახასიათებული იდენტობის მართვის სტრატეგიების გამოყენების თავისებურებების შესწავლა თურქეთში მცხოვრებ ღარიბ მოსახლეობაში. ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლევის მონაწილეები მიისწრაფოდნენ უფრო მაღალი სტატუსის მქონე ჯგუფებში გადანაცვლებისაკენ მაშინ, როდესაც არსებული სოციალური სტრუქტურა არასტაბილურად, ხოლო სხვა ჯგუფის საზღვრები გადალახვადად/შეღწევადად აღიქმებოდა. მეორე მხრივ, როდესაც სოციალური სტრუქტურა სტაბილურად/უცვლელად ფასდებოდა, უფრო აქტიურად გამოიყენებოდა ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის კრეატული სტრატეგიები. გამოკითხვის შედეგადაც იგივე მოდელი გამოვლინდა. სიღარიბეში მყოფნი მიმართავდნენ იდენტობის მართვის სტრატეგიებს იმის მიხედვით, თუ რამდენად შესაძლებლად მიიჩნეოდა მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონეთა ჯგუფში გადასვლა და რამდენად ლეგიტიმურად და სტაბილურად მიიჩნეოდა არსებული სოციალური წყობა.

საქართველოში სიღარიბეში მცხოვრები მოქალაქეების სოციალური იდენტობის შესახებ ფართომასშტაბიანი კვლევა აქამდე არ განხორციელებულა. თუმცა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვების შესახებ ჩატარებულ კვლევაში,

მათ ნარატივებში ვლინდება „ღარიბ"-თან დაკავშირებული მკვეთრად შემოსაზღვრული სოციალური იდენტობა. ისინი სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობას უფრო ნეგატიური ტერმინებით (მორცხვი, წარუმატებელი, უქონელი) აღწერენ და განასხვავებენ სხვა სოციო-ეკონომიკური კლასის წარმომადგენელი თანატოლებისაგან.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კვლევის ფარგლებში, სიღარიბეში ცხოვრებისაგან თავის დასაღწევად, ბავშვების უმეტესობა აქტიურ, ინიდივიდუალურ/სოციალურ მობილობაზე მიმართულ ქცევით სტრატეგიებს ასახელებდა (მაგალითად, ბევრი მუშაობა, სამსახურის ქონა) (ქიტიაშვილი & ფარსადანიშვილი, 2018).

აღსანიშნავია, რომ მათ იციან, თუ რა არის ზედა სოციო-ეკონომიკურ ჯგუფებში გადანაცვლებისათვის საჭირო აქტივობები. თუმცა, აქვე უნდა დავამატოთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ქცევების განსახორციელებლად საჭირო მზაობები მათ შემქნილი აქვთ კოგნიტურ, აფექტურ თუ ნებელობით დონეებზე. სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების პიროვნული რესურსებით გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თაობიდან თაობაზე გარდამავალი სოციალურად დაუცველის სტატუსის მანკიერი წრის შესაწყვეტად.

# თავი III

## 3.1. პიროვნული და კოლექტიური თვითშეფასება

სოციალური იდენტობის თეორიაში ნათლად ჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სპეციფიკური ჯგუფის წევრობას ადამიანის მე-კონცეფციისათვის (Tajfel & Turner, 1979; 1986). თეორიაში ერთმანეთისაგანაა გამოყოფილი პიროვნული (personal) და სოციალური იდენტობები. პიროვნულ იდენტობაში იგულისხმება ინდივიდისათვის დამახასიათებელი ისეთი სპეციფიკური მახასიათებლები, როგორებიცაა კომპეტენტურობა, ნიჭიერება, სოციალურობა და ა.შ. სოციალური იდენტობა კი, როგორც ზემოთაა განმარტებული, გარკვეულ ჯგუფთან მიკუთვნებულობის შედეგად ჩნდება. აღსანიშნავია, რომ ამერიკულ ლიტერატურაში, ტაჯფელისა და ტერნერის თეორიაში დახასიათებული სოციალური იდენტობის ცნება კოლექტიური იდენტობის ტერმინითაა ცნობილი. მაგალითად, ჩიკი და მისი კოლეგები (Cheek, 1989; Cheek, Underwood & Cutler, 1985) ერთმანეთისაგან განასხვავებენ კოლექტიურ და სოციალურ იდენტობას. მათი განმარტებით, კოლექტიური იდენტობა, ტაჯფელისა და ტერნერის სოციალური იდენტობის თეორიის მსგავსად, გარკვეული ჯგუფის წევრობიდან გამომდინარეობს; სოციალური იდენტობა კი ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და სოციალურ როლებთანაა დაკავშირებული.

იქიდან გამომდინარე, რომ გამოყოფილია მე-კონცეფციის ორი ასპექტი - პიროვნული და სოციალური იდენტობა - თვითშეფასებაც შეიძლება არსებობდეს ორ დონეზე - პერსონალურსა და სოციალურზე (Rohhal & Ender, 2013).

პიროვნული თვითშეფასება გულისხმობს, პერსონალურ დონეზე, მე-ს მიმართ არსებულ დამოკიდებულებებს. თვითშეფასების შესახებ არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიების მიხედვით, ადამიანები მიისწრაფვიან პოზიტიური შინაარსებით დატვირთული მე-კონცეფციის განვითარებისა თუ შენარჩუნებისაკენ (Greenwald, 1980; Jones, 1975; Taylor & Brown, 1988; Tesser & Campbell, 1985; Wills, 1981). თანამედროვე კვლევების მიხედვით, პიროვნების მიერ პოზიტიური იდენტობის ფორმირებისათვის დახარჯულ ძალისხმევასა და სტრატეგიებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნული/ინდივიდუალური (personal) თვითშეფასება. კერძოდ, მაღალი თვითშეფასების ადამიანები უფრო აქტიურად მიმართავენ მე-კონცეფციის,

თვითხატის ასამაღლებელ სტრატეგიებს. დაბალი თვითშეფასების მქონეები კი ხასიათდებიან საკუთარი თავის შესახებ არარეალისტურად დადებითი შეხედულებებითა და უსაფუძვლო ოპტიმიზმით (Alloy & Abramson, 1979; Crocker, Thompson, McGraw & Ingerman, 1987; Tennen & Herzberger, 1987). თუმცა, დაბალი თვითშეფასების მქონენი უფრო მიდრეკილი არიან თვითდაცვითი (self-protective) მექანიზმების გამოყენებისაკენ (Baumeister, Tice & Hutton, 1989).

ამასთანავე, არსებობს თვითშეფასების მეორე სახეც, კოლექტიური თვითშეფასება, რომელიც სოციალური იდენტობების შეფასებას უკავშირდება. ტერმინი კოლექტიური თვითშეფასება კოლექტიური იდენტობის ცნებიდან მომდინარეობს და აღნიშნავს იმას, თუ როგორ ფასდება, რა ღირებულება ენიჭება გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრად ყოფნას, კოლექტიურ მე-კონცეფციას (Luhtanen & Crocker, 1992).

სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით, ადამიანები მიისწრაფიან, არა მხოლოდ პოზიტიური პიროვნული იდენტობის, არამედ დადებითი კოლექტიური იდენტობის მიღწევისა და შენარჩუნებისათვისაც. ადამიანები შეიძლება სუბიექტურადაც მიაკუთვნებდნენ საკუთარ თავს რომელიმე ისეთ ჯგუფს, რომელთან იდენტიფიკაციაც მათი პიროვნული იდენტობის დადებითი ხატის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს (Rohhal & Ender, 2013, Porter & Washington, 1993; Tajfel & Turner, 1986; Andreopoulo & Houson, 2002).

საბოლოოდ, აღსანიშნავია, რომ კოლექტიური თვითშეფასება პერსონალური თვითშეფასების დამცავი ფაქტორი შეიძლება გახდეს ხოლმე.

სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით, პერსონალური/ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასებები ერთმანეთთან დაკავშირებულია, რადგან საერთო მე-კონცეფციიდან მომდინარეობენ (Tajfel & Turner, 1986).

## 3.2. ეკონომიკური სისტემის გამართლება (Economic System Justification)

სტერეოტიპებისა და ჯგუფთაშორისი ქცევის ბევრი ფორმა ვერ იხსნებოდა იმ თეორიების ფარგლებში, რომლებშიც ხაზი ესმებოდა ინდივიდუალური თვითშეფასების ასამაღლებლად ეგოზე ცენტრირებულ მოტივებს, ან ჯგუფური ქმედებების გამამართლებელ მოტივებს კოლექტიური თვითშეფასების გაზრდის

მიზნით. სოციალური იდენტობის, კოგნიტური დისონანსის თეორიებსა და სამართლიანობის მოტივების კვლევებზე დაყრდნობით, ჯოსტმა და ბანაჯიმ (1994) განავითარეს სისტემის გამართლების თეორია.

სოციალური სამართლიანობის შესახებ კვლევები, კერძოდ კი, დაბალი სტატუსის მქონე ჯგუფის წევრების მიერ გამოვლენილი "უსამართლობისადმი ტოლერანტობის" შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები ეწინააღმდეგებოდა ინდივიდებისა და ჯგუფების მიერ საკუთარი ინტერესებისა და იდენტობის დაცვის შესახებ სოციალური იდენტობის თეორიის მთავარ პოსტულატებს (მაგალითად, Martin, 1986;Tyler & McGraw, 1986). იგივე აზრია დაცული ლერნერის (1980) „სამართლიანი სამყაროს" შესახებ თეორიაში, რომლის მიხედვითაც ადამიანებს სურთ დაიჯერონ, რომ ცხოვრობენ სამართლიან გარემოში, რომელშიც ყველა იმას იღებს, რასაც იმსახურებს. ასეთი მსჯელობა დამაკმაყოფილებელია საზოგადოების იმ წევრების პირადი ინტერესების დასაცავად, რომლებსაც უპირატესი სტატუსი აქვთ. თუმცა, დაბალი სტატუსის მქონეთა შემთხვევაში, შეიძლება განვითარდეს თვითდადანაშაულებისა და ინფერიორობის ინტერნალიზაციის ტენდენციები (მაგ, Miller & Porter, 1983).

მაღალი სტატუსის მქონე საზოგადოების წევრებისათვის სტატუს-ქვოს რაციონალიზაცია ნიშნავს საკუთარი პოზიციის გამართლებასაც, რაც ხელს უწყობს შიდა ჯგუფური ფავორიტიზმის არსებობას. თუმცა, დაბალი სტატუსის ჯგუფების წევრების შემთხვევაში, სტატუს ქვოს რაციონალიზაციას შედეგად მოჰყვება უთანასწორობის ინტერნალიზაცია. ასე რომ, სისტემის, სოციალური წყობის გამართლება გულისხმობს საკუთარ არაუპირატეს სტატუსზე პასუხისმგებლობის აღებას და თვითდადანაშულებას.

აქედან გამომდინარე, ჯოსტისა და ბანაჯის მიერ შემუშავებული სისტემის გამართლების თეორიის ყველაზე პროვოკაციული ასპექტი ეხებოდა იმას, რომ დაბალი სტატუსის მქონე ჯგუფები შეიძლება მიდრეკილი იყვნენ სისტემის გამართლებისაკენ (ან, სულ მცირე, გარკვეულ გარემოებებში) პიროვნული ან ჯგუფური ინტერესების დათმობის ხარჯზეც კი.

სისტემის გამართლების თეორიის ძირითადი პოსტულატების მიხედვით, ზოგადად, ადამიანები მოტივირებული არიან (ხშირად არაცნობიერედაც კი), დაიცვან, გაამართლონ და განამტკიცონ არსებული სტატუს ქვო, სოციალური, ეკონომიკური და

პოლიტიკური ინსტიტუტები თუ წყობილება. მისი გამოხატვის ინტენსივობა შეიძლება იცვლებოდეს პიროვნული და სიტუაციური ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, სისტემის გამართლების მოტივაცია შეიძლება იზრდებოდეს, როდესაც სტატუს ქვო აღიქმება, როგორც გარდაუვალი და შეუცვლელი; ამას გარდა, მაშინ, როდესაც ადამიანების აღქმით, სტატუს ქვოს ცვლილება დამოკიდებულია სისტემაზე და თვითონ სიტუაციის გაკონტროლება არ შეუძლიათ (Jost & Toorn, 2012).

ჯოსტი და ბანაჯი (1994) ერთმანეთისაგან განასხვავებენ „გამართლების" სამი სახის ტენდენციას/მოტივს, რომლებიც, დაბალი სტატუსის ჯგუფის შემთხვევაში, ერთმანეთს შეიძლება მკვეთრად უპირისპირდებოდეს. პირველი მათგანია „ეგოს გამართლების" მოტივი; ის გულისხმობს პოზიტიური თვითხატის განვითარების სურვილს, რომელიც სუბიექტისათვის ლეგიტიმური და დამაკმაყოფილებელი იქნება. მეორე მოტივია „ჯგუფის გამართლების" მოტივი, რომელიც, ძირითადად, სოციალური იდენტობის თეორიას უკავშირდება; აღნიშნული ტენდენციის მიხედვით, ადამიანებს სურთ, რომ დაიცვან, გაამართლონ საკუთარი ჯგუფი და იზრუნონ მის დადებითად წარმოჩენაზე. მესამე მოტივი კი არის „სისტემის გამართლება" და აერთიანებს სოციალურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს იმასთან დაკავშირებით, რომ სტატუს ქვო აღქმული იყოს, როგორც ლეგიტიმური, სამართლიანი, ბუნებრივი, სასურველი და გარდაუვალიც კი (Jost & Kay, 2010).

მოცემული თეორიული ჩარჩოს მიხედვით, დაბალი სტატუსის მქონე ჯგუფის წევრები მაშინ იწყებენ სოციალური ცვლილებებისაკენ ქმედებებს, როდესაც ეგოსა და ჯგუფის გამართლების მოტივები უფრო ძლიერია, ვიდრე სისტემის გამართლებისაკენ მიდრეკილება (Jost & Toorn, 2012).

ჯოსტის, ჰუნიადის (Jost and Hunyady) (2002) და სხვა ავტორების მიერ, სისტემის გამართლების თეორიიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა სხვადასხვა ჰიპოთეზა, რომელთა მხარდამჭერი ემპირიული მასალაც უკვე მნიშვნელოვნად დაგროვდა. ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება იმას, თუ როგორ ახდენენ ადამიანები სტატუს ქვოს რაციონალიზაციას.

მაკგუირების თანახმად (McGuire & McGuire, 1991), ადამიანებს აქვთ მიდრეკილება, დაიჯერონ, რომ თავიანთი სურვილები ერგება ყველაზე უფრო მეტად ალბათურ

რეალობას; მაკგუირების ანალიზი გამოიყენეს ჯოსტმა, კეიმ და ჯიმენეზმა (2002) სისტემის გამართლების თეორიის შემდეგი პოსტულატის განსავითარებლად: ადამიანები, სტატუს ქვოს რაციონალიზაციისას, მეტად ალბათურ მოვლენებს უფრო სასურველად აფასებენ, ვიდრე არაალბათურს. აქედან გამომდინარე, როდესაც სოციალური ცვლილებები, მაგალითად, სიღარიბის შემთხვევაში, მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის ჯგუფში გადანაცვლება, ნაკლებად შესაძლებელად აღიქმება, ადამიანები არსებული რეალობით შეიძლება დაკმაყოფილდნენ.

სისტემის გამართლებისათვის გამოყენებული ერთ-ერთი სტრატეგია, რომელსაც ადამიანები მიმართავენ, არის სტერეოტიპული მსჯელობა. ადამიანები სტერეოტიპებს იყენებენ სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფებს შორის უთანასწორობის გასამართლებლად. კერძოდ, სპეციფიკური ჯგუფის მიმართ სტერეოტიპული მსჯელობის ხასიათი დამოკიდებულია ჯგუფის სტატუსის პრესტიჟულობაზე. ჯოსტისა (2001) და, ასევე, ჯოსტისა და ბურგესის (2000) კვლევაში დადასტურდა, რომ დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფის წევრები საკუთარი ჯგუფის მიმართ იყენებდნენ ნეგატიური შინაარსის სტერეოტიპებს, გარე, უფრო მაღალი სტატუსის მქონე ჯგუფს კი, პოზიტიურად აფასებდნენ. საპირისპირო ვლინდებოდა მაშინ, როდესაც საკუთარი ჯგუფის სტატუსი უფრო პრესტიჟული იყო. ადამიანები ამართლებენ არსებულ სისტემას და ადამიანებს შორის უთანასწორობებს და მსჯელობენ, რომ ყველა ისეთ შედეგებს იღებს, როგორსაც იმსახურებს (მაგ., Jackman, 1994; Lane, 1962;Major, 1994; Sidanius & Pratto, 1999; Tyler & McGraw, 1986). მაგალითად, დაბალი სოციოეკონომიმიკური კლასის წევრები აღიქმებიან ზარმაცებად, უპასუხისმგებლოებად, გაუნათლებლად; შედეგად, სწორედ ეს ადამიანები გამოდიან ხოლმე თავიანთ სიღარიბეში დამნაშავენი. იგივე ფუნქციას ასრულებს ინდივიდუალიზმთან, მერიტოკრატიასთან, სამართლიანი სამყაროს რწმენასა და პროტესტანტულ სამუშაო ეთიკასთან დაკავშირებული იდეოლოგიური ირწმენები (მაგ., Furnham, 1990; Kluegel &Smith, 1986; Lerner & Miller, 1978; Weiss, 1969). სისტემის გამართლების თეორია მთავარ აქცენტს სწორედ სტერეოტიპებისა და სხვა იდეოლოგიური სისტემების საშუალებით არსებული სოციალური სისტემის გამართლებაზე აკეთებს.

ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან დაკავშირებული ცნება ზუსტად იმავე შინაარსს გამოხატავს, რაც სისტემის გამართლების თეორიაშია ასახული. თუმცა, ეკონომიკური სისტემის გამართლებისას აქცენტი მხოლოდ საზოგადოებაში არსებულ ეკონომიკურ ინსტიტუტებსა და წყობას ეხება.

აღსანიშნავია, რომ უთანასწორობის ინტერნალიზაცია შეიძლება გამოხატული იყოს შიდა ჯგუფური/გარე ჯგუფური ფავორიტიზმისა და დათრგუნული უფლებამოსილების (depressed entitlement) სახით. მაგალითად, კვლევებით დადასტურებელია, რომ ქალებს ნამდვილად სწამთ იმის სამართლიანობის, რომ კაცებზე ნაკლებ ხელფასს იმსახურებენ (მაგ., Callahan-Levy & Messé, 1979; Major, 1994; Major, McFarlin, & Gagnon, 1984).

ჯოსტისა და ბანაჯის და სხვა მკვლევრების მიხედვით, სოციალური იდენტობის თეორიით ვერ იხსნება შემთხვევა იმასთან დაკავშირებით, როდესაც დაბალი სტატუსის მქონე ჯგუფის წევრებს ახასიათებთ გარე ჯგუფური ფავორიტიზმი. სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით, პირიქით, დაბალი სტატუსის ჯგუფები, ნეგატიური სოციალური იდენტობის დაძლევის მიზნით, გარე ჯგუფების ნეგატიურად შეფასებისაკენ არიან მიდრეკილი (Leach et al., 2003, p. 933).

ტაჯფელისა და ტერნერის მიხედვით, დაბალი სტატუსის ჯგუფის წევრები „იძულებული" არიან, რომ მიიღონ სტატუს ქვოს სტაბილურობა და ლეგიტიმურობა მანამ, სანამ ექნებათ შესაძლებლობა იმისა, რომ გამოიყენონ ნეგატიური სოციალური იდენტობის დაძლევის სტრატეგიებიდან ერთ-ერთი: ინდივიდუალური მობილობა, სოციალური კრეატულობა, სოციალური შეჯიბრი. სოციალური იდენტობის თეორიაში, დაბალი სტატუსის ჯგუფის წევრების ქცევით სტრატეგიასთან დაკავშირებით, ხაზი ესმება იმას, თუ როგორ „მოძრაობენ" ადამიანები „სოციალური სტაბილობიდან სოციალური ცვლილებებისაკენ" (Tajfel, 1981), „პასიური აღიარებიდან/მიღებიდან კოლექტიურ პროტესტამდე" (Wright, Taylor, & Moghaddam,1990).

თეორიაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს მინიჭებული სისტემის გამართლების მოტივების სიძლიერეს. თუმცა, გარე ჯგუფური ფავორიტიზმის ფენომენი არსებობს და მისი ახსნა სისტემის გამართლების თეორიული პერსპექტივიდან გამომდინარე

უკვე შესაძლებელი ხდება. გარე ჯგუფური ფავორიტიზმი სწორედ რომ ჯგუფებს შორის უთანასწორობის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

დაბალი სტატუსის ჯგუფებმა შეიძლება გაიშინაგნონ დაქვემდებარებული პოზიცია და გამოხატონ გარე ჯგუფური ფავორიტიზმი. თუმცა, ეს უკანაკსნელი შეიძლება მიემართებოდეს მხოლოდ სტატუსობრივი განსხვავების განმაპირობებელ განზომილებებს; სხვა მახასიათებლებთან დაკავშირებით კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს შიდა ჯგუფურ ფავორიტიზმს, რითაც ნეგატიური სოციალური იდენტობის კომპენსირების შესაძლებლობა იქნება. მაგალითად, სკევინგსტონი (Skevington) (1981) იკვლევდა დაბალი და მაღალი სტატუსის მქონე ექთნების ჯგუფთა შორის ურთიერთობებს. როგორც აღმოჩნდა, დაბალი სტატუსის ჯგუფის წევრები მაღალი სტატუსის მქონეთ უფრო განათლებულად, პასუხისმგებლიანად, ორგანიზებულად და თავდაჯერებულად აფასებდნენ. თუმცა, საკუთარი თავი უფრო მხიარულებად, ბედნიერებად, პრაქტიკულად მოაზროვნეებად მიაჩნდათ.

ბრაუნის (Brown, 1978) მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, სისტემის ლეგიტიმურად და სტაბილურად მიჩნევის შემთხვევაში, დაბალი სტატუსის ჯგუფები ავლენდნენ გარე ჯგუფურ ფავორიტიზმს. თუმცა, სტატუსობრივი იერარქიული სისტემის არალეგიტიმურად და არასტაბილურად აღქმისას, გარე ჯგუფური ფავორიტიზმი აღარ ვლინდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ სოციალური იდენტობის თეორია სოციო-ეკონომიკური ცვლილებისადმი ოპტიმისტურ ხედვას ატარებს (Reicher, 2004). თუმცა, ეკონომიკური სისტემის გამართლების პერსპექტივა, დაბალი სტატუსის ჯგუფის წარმომადგენლების მიერ აქტიური მცდელობების განხორციელებასთან დაკავშირებით ნაკლებ მოლოდინებს ტოვებს.

## 3.3. საკვლევ კონსტრუქტებს შორის ურთიერთმიმართებების შეჯამება

სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის კავშირის შესახებ კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. სტიგმის აღქმასთან მიმართებით არსებულ კვლევებში, უმეტესად, შესწავლილია მისი კავშირი სტრესის

დაძლევის სხვადასხვა სახესთან (Holubova, Prasko, Ociskova, Kantor, Vanek, Slepecky & Vrbova, 2019; Chien Ong, Ibrahim & Wahab, 2016).

მაგალითად, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სტიგმის ინტერნალიზების სკალის სტრესის დაძლევის სტრატეგიებთან კავშირის შემსწავლელი კვლევის მიხედვით, სტრესის პოზიტიური დაძლევის სტრატეგიები ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია თვით-სტიგმის ყველა განზომილებასთან. მოცემულ კვლევაში, სტრესის პოზიტიური დაძლევის სტრატეგიებში შეისწავლებოდა საკუთარი ბრალეულობის უარყოფა, განრიდება, მაკომპენსირებელი კმაყოფილება, სიტუაციის კონტროლი, რეაქციის კონტროლი, პოზიტიური თვით-განსწავლა (self-instruction). ინტერნალიზებული სტიგმის სკალაში კი შედიოდა ისეთი განზომილებები, როგორებიცაა გაუცხოება, სტერეოტიპების მიღება, დისკრიმინაციის აღქმა, სოციალური გარიყვა, სტიგმისადმი რეზისტენტობა. სტიგმის აღქმასთან დადებით კორელაციურ კავშირში აღმოჩნდა სტრესის ნეგატიური დაძლევის სტრატეგიები (გაქცევა, რუმინაცია, განრიდება, თვით-დადანაშაულება) (Holubova, Prasko, Ociskova, Kantor, Vanek, Slepecky & Vrbova, 2019).

ვფიქრობთ, ჩვენი კვლევის სპეციფიკისა და საკვლევი ჯგუფის გათვალისწინებით, უფრო საინტერესოა სტიგმის აღქმასთან მიმართებით ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შესწავლა.

სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობასთან მიმართებით ადგილი აქვს ჯგუფურ სტიგმას, რადგან ის მიემართება კონკრეტულ ჯგუფს, რომელიც საზოგადოების დაბალ სოციო-ეკონომიკურ ფენას წარმოადგენს. შესაბამისად, საკვლევ საკითხში შემოდის კონკრეტული ჯგუფის წევრობიდან მომდინარე სოციალური იდენტობა, რომელიც, თავის მხრივ სტიგმის აღქმის განუყოფელი ნაწილიცაა, როგორც სტიგმის ინტენალიზების შედეგად ტრანსფორმირებელი ნეგატიური თვით-ხატი.

სწორედ დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ჯგუფის მიერ უარყოფით სოციალურ იდენტობასთან დაძლევის სტრატეგიებია, უმთავრესად, განხილული ტაჯფელისა და ტერნერის სოციალური იდენტობის თეორიაში. შესაბამისად,

აღნიშნული თეორიული პერსპექტივისა და მასში აღწერილი ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შესწავლის გარეშე დაბალი ეკონომიკური სტატუსის ჯგუფების ქცევითი პატერნების კვლევა გამათლებულად არ მიგვაჩნია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საინტერესოა, სწორედ აღნიშნული, და არა სხვა სახის დაძლევის სტრატეგიების მიმართების შესწავლა სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმასთან. ვფიქრობთ, აღნიშნული სტრატეგიებისადმი მიმართვა ერთგვარ დამცავ როლს უნდა ასრულებდეს სტიგმის აღქმიდან მომდინარე ნეგატიური განცდების გამკლავების პროცესში.

რაც შეეხება ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ძირითად საკვლევ კონსრუქტებთან (სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებთან) ურთიერთმიმართების შესწავლას, ინდივიდუალური თვითშეფასება თუ განაპირობებს მეტად ინდივიდუალიზებული თვითხატის ასამაღლებელი ტექნიკების მიმართვას, კოლექტიური თვითშეფასება მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს ჯგუფური დონის, კოლექტიური იდენტობის გასაუმჯობებელი იმ სტრატეგიების გამოყენებაში, რომლებიც სოციალური იდენტობის თეორიაშია აღწერილი (Luhtanen & Crocker, 1992). ამასთანავე, ლოგიკურია, რომ პოზიტიური ან ნეგატიური კოლექტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ის, თუ როგორი შეფასებებით ხასიათდება რეფერენტული სოციალური ჯგუფი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების სახეები, თავის მხრივ, ნეგატიურად იქნება დაკავშირებული სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებულ სტიგმასთან, რადგან სტიგმის აღქმის პროცესი სელფის დონეზე მთელ რიგ ნეგატიურ ემოციებს უკავშირდება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, თვითშეფასების აღნიშნული სახეების შესაძლო კორელაციური კავშირების მიმართულებები ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებთან, სადაც ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასება სხვადასხვანაირად შეიძლება უკავშირდებოდეს დაძლევის სტრატეგიების გამოყენებას. ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შედეგად

თვითხატის გაუმჯობესება, ლოგიკურია, რომ ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებასაც უნდა უკავშირდებოდეს.

ყოველივე ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის კავშირის თავისებურებების უკეთ შესწავლის მიზნით, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური/კოლექტიური თვითშეფასების სახეების მათთან მიმართებით კვლევა.

სოციალური იდენტობის თეორიისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებიის მიმოხილვისას ახსნილია, თუ რა როლს თამაშობს ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხი ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებთან მიმართებით. კერძოდ, ჯგუფთან დაბალი და მაღალი იდენტიფიკაციის შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს ქცევის სტილი. აღნიშნული გარემოების შესწავლა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფის შემთხვევაშიც, მითუმეტეს, რომ ჩვენთვის უცნობია ჯგუფთან იდენტიფიკაციის სტიგმის აღქმასთან მიმართებით ჩატარებული კვლევების შესახებ.

მოცემული კვლევის კონტექსტში ეკონომიკური სისტემის გამართლებისაკენ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც, ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური სისტემის გამართლების ცვლადი შეიძლება დაკავშირებული იყოს სტიგმის ინტერნალიზაციასთანაც.

სტიგმასა და სისტემის გამართლებისაკენ მიდრეკილებას შორის კავშირი შესწავლილ იქნა ერთ-ერთ კვლევაში. ჩოინგმა და ჰარდინმა (2010) ჩაატარეს კვლევა ჰონგ-კონგში მცხოვრებ ფილიპინელ მუშებზე, რომლებიც სტიგმატიზებულ ჯგუფს წარმოადგენენ. ფასდებოდა აღნიშნულ ჯგუფთან მათი სოციალური იდენტიფიკაციის ხარისხი. ამას გარდა, ისინი ავსებდნენ სოციალური დომინანტობის ორიენტაციის საზომს, რითაც ფასდებოდა მათი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სამართლიანად აღიქვამდნენ არსებულ იერარქიულ წყობას. რესპონდენტები, ასევე,

გამოხატავდნენ თავიანთ აზრს, თუ რამდენად იმსახურებდნენ მეტი ოდენობის ანაზღაურებას. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სტიგმატიზებულ ჯგუფთან მაღალი იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რესპონდენტები თვლიდნენ, რომ არ იმსახურებდნენ მეტ გასამრჯელოს. მათ გაშინაგნებული ჰქონდათ სტერეოტიპი, რომ ფილიპინელ მუშებს არ შეუძლიათ სოციალური იერარქიის ზედა საფეხურებზე გადასვლა.

შესაბამისად, ეკონომიკური სისტემის გამართლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი პასიური დაძლევის სტრატეგია, რომელიც არსებულ დაქვემდებარებულ პოზიციასთან შეგუებას გულისხმობს.

აქედან გამომდინარე, საინტერესოა, ეკონომიკური სისტემის გამართლების კავშირის შესწავლა ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებთანაც. სავარაუდოდ, ინდივიდუალური მობილობის სტრატეგია ნეგატიურად უნდა იყოს დაკავშირებული ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან. გაცილებით უფრო რთულია სოციალური კრეატულობის სტრატეგიასთან მისი ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობა. როგორც ზემოთ ვნახეთ, სოციალურ კრეატულობაში მოაზრებული სტრატეგიები გულისხმობს პოზიტიური თვით-ხატის მიღწევას, თუმცა, ისინი მაინც პასიურ დონეზე მოქმედი სტრატეგიებია და უფრო მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ჯგუფებში გადანაცვლების მცდელობებს აუცილებლივ შეიძლება არ უკავშირდებოდეს. ამ თვალსაზრისით, ის დადებით კორელაციურ კავშირში შეიძლება იყოს სოციალური კრეატულობის სტრატეგიებთან. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სოციალური კრეატულობის სტრატეგია, როგორც პოზიტიური მე-კონცეფციის შენარჩუნებისა და მიღწევის მცდელობა, ერთგვარ დამცავ როლს შეიძლება თამაშობდეს სტიგმის აღქმის პროცესში, მაშინ ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან მისი კავშირის მიმართულება შეიძლება შეიცვალოს, ან საერთოდაც, გაქრეს.

საბოლოოდ, კვლევის ძირითადი საკვლევი კონსტრუქტების კვლევის ლოგიკური ჩარჩო გრაფიკულადაცაა წარმოდგენილი ილუსტრაციაზე № 2, სადაც ვხედავთ, რომ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებსა და სტიგმის აღქმას შორის ურთიერთმიმართების შესწავლის პროცესში, დამატებითი ცვლადების როლში

განვიხილავთ ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების სახეებსა და ეკონომიკური სისტემის გამართლებას.

**ილუსტაცია № 3 . ძირითადი კონსტრუქტების კვლევის ლოგიკური ჩარჩო**




ძირითად საკვლევ კონსტრუქტებს შორის ურთიერმიმართებების გრაფიკული შეჯამება

# თავი IV

## 4.1 კვლევის მიზნები და ჰიპოთეზები

კვლევა შედგება სამი ნაწილისაგან, რომელთაგან თითოეულის ფარგლებში განსაზღვრული იყო საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული კონკრეტული მიზნები.

### კვლევის პირველი და მეორე ნაწილის მიზნები

1) სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის საკვლევი ინსტრუმენტის შექმნა: სტიგმის აღქმის თეორიული კონსტრუქტის შესაბამისი თემების გამოვლენა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობაში და სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის საკვლევი ინსტრუმენტის შექმნისათვის საჭირო დებულებების განსაზღვრა;

2) სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების საკვლევი ინსტრუმენტის შექმნა: ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებული განზომილებების გამოვლენა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობაში და სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების საკვლევი ინსტრუმენტის შექმნისათვის საჭირო დებულებების განსაზღვრა;

3) სოციალურად დაუცველის ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის გასაზომი ინსტრუმენტის შექმნა: სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სოციალური იდენტობის თემების განსაზღვრა და სოციალურად დაუცველის ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის გასაზომი ინსტრუმენტისათვის სტატუსთან დაკავშირებული ბიპოლარული ზედსართავი სახელების განსაზღვრა;

4) კოლექტიური თვითშეფასების საზომი სკალის ქართული ვერსიის შექმნა;

5) ეკონომიკური სისტემის გამართლების მოტივაციის სკალის ქართული ვერსიის შექმნა;

6) საპილოტე კვლევის ჩატარება.

კვლევის მესამე ნაწილის მიზნები

1) სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის საკვლევი ინსტრუმენტის ფაქტორული სტრუქტურის ემპირიული შემოწმება;

2) სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების საკვლევი ინსტრუმენტის ფაქტორული სტრუქტურის ემპირიული შემოწმება;

3) სოციალურად დაუცველის სტატუსის ხანგრძლივობის მიხედვით სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების ჯგუფთაშორისი განსხვავებების კვლევა;

4) სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებულ სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის ურთიერთმიმართების კვლევა;

5) სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებულ სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებას შორის ურთიერთმიმართების შესწავლა;

6) სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებულ სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებსა და ეკონომიკური სისტემის გამართლებას შორის არსებული ურთიერთმიმართების კვლევა;

7) სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციას, სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის ურთიერთმიმართების შესწავლა.

**კვლევის ჰიპოთეზები**

კვლევის მესამე ნაწილთან მიმართებით, საკვლევ კონსტრუქტებს შორის წინა თავში განხილული ურთიერთმიმარებების საფუძველზე, კვლევის დასაწყისში, ჩამოყალიბდა რამდენიმე ჰიპოთეზა.

როგორც ზემოთ უკვე დახასიათდა, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების გამოყენება ემსახურება საკუთარი თავის შესახებ დადებითი შეხედულებების შექმნასა და შენარჩუნებას. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული სტრატეგიების გამოყენება წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს სტიგმის აღქმის სელფზე ნეგატიური შედეგების განვითარებასთან. შესაბამისად, პირველი ჰიპოთეზის ფორმულირება შემდეგია:

**ჰ1:** სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმა ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სამივე სტრატეგიასთან.

ამასთანავე, ნათელია, რომ სტიგმის აღქმის შედეგად განვითარებული ნეგატიური ემოციები დამთრგუნველად უნდა მოქმედებს პიროვნების თვითშეფასებაზე. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ქრისტინა მიკელსონისა და სტესი უილიამსის (2008) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც, რომლის მიხედვითაც, სიღარიბის სტიგმის ინტერნალიზებასა და დეპრესიას შორის კავშირი ნაწილობრივ იყო გაშუალებული თვითშეფასებისა და უარყოფის შიშის ცვლადებით (Mickelson & Williams, 2008). იქიდან გამომდინარე, რომ პიროვნული და კოლექტიური თვითშეფასება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცვლადებია, მეორე ჰიპოთეზა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

**ჰ2:** სტიგმის აღქმა ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების სახეებთან.

რაც შეეხება ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების სახეების ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებთან კავშირის შესწავლას, ვფიქრობთ, აქ ცვლადებს შორის კავშირები არაერთგვაროვანი იქნება. როგორც ზემოთ

აღინიშნა, ინდივიდუალური/სოციალური მობილობის სტრატეგია ცალსახად ინდივიდუალურ დონეზე მოქმედ სტრატეგიად ითვლება, რა დროსაც, ასევე, დაბალია ხოლმე ჯგუფთან იდენტიფიკაციაც. შესაბამისად, ვთვლით, რომ ინდივიდუალური თვითშეფასება მნიშვნელოვნად უნდა იყოს დაკავშირებული აღნიშნული სტრატეგიის გამოყენებასთან. თუმცა, ჯგუფური დონის სტრატეგიები უნდა უკავშირდებოდეს კოლექტიური თვითშეფასების სახეს. შესაბამისად ფორმულირდა კვლევის მესამე და მეოთხე ჰიპოთეზა.

**ჰ3:** ინდივიდუალური მობილობის სტრატეგია დადებით კორელაციურ კავშირშია ინდივიდუალურ თვითშეფასებასთან;

**ჰ4:** ჯგუფური დონის ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები დადებით კორელაციურ კავშირშია კოლექტიურ თვითშეფასებასთან.

ეკონომიკური სისტემის გამართლების ცვლადის დახასიათებისას აღვნიშნეთ, რომ ის რეალობის პასიურ მიღებასა და უმოქმედობას შეიძლება უკავშირდებოდეს. ასევე, სისტემის გამამართლებელი მსჯელობები შეიძლება სოციალური კრეატულობის სტრატეგიის ფარგლებში გამოყენებულ რეინტერპრეტაციებსაც უკავშირდებოდეს. აქედან გამომდინარე:

**ჰ5:** ინდივიდუალური მობილობის სტრატეგია ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან;

**ჰ6:** სოციალური კრეატულობის სტრატეგია დადებით კორელაციურ კავშირშია ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან.

საბოლოოდ, კვლევის ფარგლებში, ზემოთ აღწერილი კავშირები და ურთიერთმიმართებები გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც, მეტად ნათელი გახდეს სტიგმის აღქმის ვარიაბელობაზე მოქმედი ფაქტორები. ამ უკანასკნელში, უმთავრესად, განვიხილავთ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს. თუმცა, საგულისხმოა, სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების კავშირები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხთან და თვითშეფასების ორივე სახესთან.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის კავშირზე, დამატებით, გავლენას უნდა ახდენდეს აღნიშნული ცვლადებიც.

**ჰ7:** ნეგატიური სოციალურ იდენტობის მართვის სტრატეგიებსა და სტიგმის აღქმას შორის კავშირზე გავლენას ახდენს ინდივიდუალური/კოლექტიური თვითშეფასების, ეკონომიკური სისტემის გამართლებისა და სოციალურად დაუცველთა სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის ცვლადები.

# თავი V

## 5.1. კვლევის მეთოდოლოგია: პირველი ნაწილი - თვისებრივი კვლევა

### 5.1.1. მეთოდის აღწერა და კვლევის მიზნებთან მიმართებით დასაბუთება

პირველ ეტაპზე თვისებრივი კვლევის ჩატარება მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით.

სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ღარიბ მოსახლეობაზე საქართველოში აქამდე კვლევა არ ჩატარებულა. შესაბამისად, უცნობი იყო, განიცდიდა თუ არა საკვლევი პოპულაცია სტატუსთან დაკავშირებულ სტიგმას. ამასთანავე, გვაინტერესებდა, ხასაითდებოდა თუ არა სტიგმის აღქმა კვლევის მოცემულ კონტექსტშიც იმავე განზომილებებით/ასპექტებით, როგორც ეს სტიგმის აღქმის სხვა თეორიულ მოდელებსა და კვლევებშია წარმოდგენილი.

სტიგმის აღქმის მოდელში, ნეგატიური მოპყრობის აღქმისა და სტიგმის ინტერნალიზების განზომილებების გამოყოფას უკვე საკმაო ემპირიული საფუძველი აქვს (Pryor & Reeder, 2011; Herek, 2007; 2009; Jacoby, 1994; Scambler, 2004; Mickelson, 2001). თუმცა, თითოეულ მასტიგმატიზებელ ნიშანთან მიმართებით სტიგმის აღქმის ასპექტები/განზომილებები შინაარსობრივად შეიძლება განსხვავდებოდეს. ვგულისხმობთ იმას, რომ, მაგალითად, ჰომოსექსუალის მიერ აღქმული დისკრიმანაციის შემთხვევები და მიწერილი სტერეოტიპები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პიროვნების სტიგმის აღქმისაგან. მეტიც, ვფიქრობთ, ერთი და იმავე ტიპის სტიგმის შესწავლის დროსაც უნდა დავაყენოთ ფენომენის კროს-კულტურულად უნივერსალური გაგება ეჭქვეშ (განსაკუთრებით კი კონკრეტულ ჯგუფთან დაკავშირებული სტიგმის სახე - ჯგუფური სტიგმა), რადგან სოციალური რეპრეზენტაციებისაგან გენერირებულ კონსტრუქტს განვიხილავთ.

სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის საკვლევი ინსტრუმენტის შექმნის გამოცდილება აქამდე არ ყოფილა. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არსებობს სიღარიბის სტიგმის აღქმის სკალა, რომელიც ქრისტინა მიკელსონის მიერაა შემუშავებული (Perceived Stigma of Poverty, Mickelson, 2001).

მიკელსონთან დაკავშირების შემდეგ, მან გამოგვიგზავნა მის მიერ შექმნილი სკალა, რომელიც სიღარიბის სტიგმასთან დაკავშირებულ კვლევებში გამოიყენება ხოლმე. აღნიშნული ინსტრუმენტი შედგება რვა დებულებისაგან და იყოფა ორ ქვე-სკალად: გამოცდილებაში აღქმული და ინტერნალიზებული სტიგმის სახეებად. რვიდან ორი დებულების ქართული ვერსიის თარგმნა, კულტურული და ლინგვისტური თავისებურებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო. დარჩენილი ექვსი დებულების მეშვეობით კი ორ-განზომილებიანი კონსტრუქტის სრული ემპირიული სურათის ასახვა შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ, გადაწყდა, რომ სიღრმისეული ინტერვიუების მდიდარი მასალა სკალის ახალი დებულებებით გამდიდრებას დადებოდა საფუძვლად.

თვისებრივი კვლევის ჩატარების დასაბუთების მსგავსი ლოგიკური საფუძველი მიემართება სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შესწავლასაც. ჩვენს კვლევამდე უცნობი იყო, კვლევის სამიზნე ჯგუფი იყენებს თუ არა ტაჯფელისა და ტერნერის (1978) თეორიაში აღწერილ სტრატეგიებს და როგორია მათი კონცეპტუალური გამოვლინება მოცემულ კონტექსტში.

სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სკალაც არ არსებობდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სკალა სხვადასხვა სოციალური იდენტობისა და ჯგუფის შემთხვევაში განსხვავებულია. ამას ემატება ისიც, რომ ჯგუფური იდენტობის შინაარსები კულტურისა და სოციუმის მიხედვით ვარირებს, რაც საკვლევი ინსტრუმენტების კროს-კულტურულ ვალიდურობაზე ახდენს ზეგავლენას.

აღწერილიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ თვისებრივი კვლევა მნიშვნელოვანი იყო საკვლევი კონსტრუქტების კვლევის მოცემულ კონტექსტში მეტად სიღრმისეული, სოციალურ-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით დახასიათებისათვის. ამასთანავე, სკალების ასაგებად საჭირო დებულებების იდენტიფიცირებისათვის.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, უნდა შესწავლილიყო სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ჯგუფური/სოციალური იდენტობის შინაარსები და გამოვლენილიყო ბიპოლარული ზედსართავი სახელები, რაც სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის გასაზომი სკალის შექმნისათვის იყო საჭირო.

მონაცემების შეგროვების თვისებრივი მეთოდებიდან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება კვლევის კითხვებზე პასუხების გასაცემად ყველაზე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

### 5.1.2. კვლევის პროცედურა

სიღრმისეული ინტერვიუს წარმართვისათვის წინასწარ მომზადდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი. ინტერვიუ იწყებოდა ხოლმე შედარებით ნეიტრალური სახის რამდენიმე შეკითხვით, რაც ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის რაპორტის დამყარებასა და სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული გამოცდილებების აქტივაციას ისახავდა მიზნად. თავდაპირველი შეკითხვები ეხებოდა იმას, თუ რატომ და როდიდან დასჭირდათ სოციალური დახმარების მიღება. დანარჩენი შეკითხვები კი უკავშირდებოდა სოციალურად დაუცველის სტატუსის ტარებასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებსა და ემოციებს, სოციალურად დაუცველების, ღარიბებისა და ეკონომიკურად შეძლებული ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოებრივი ჯგუფების დახასიათებას, სოციო-ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესების სტრატეგიებს, აღქმულ სოციალურ მობილობასა და ეკონმიკური სისტემის გამართლების მოტივაციასთან დაკავშირებულ რწმენებს. თითოეული თემის შემთხვევაში, დამატებითი შეკითხვებით ვუღრმავდებოდით და ვავრცობდით კვლევის კითხვებისათვის შესაბამის საკითხებს. ინტერვიუ მიმდინარეობდა, საშუალოდ, 30-40 წუთის განმავლობაში.

სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტებთან მათთვის სენსიტიურ გამოცდილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას მნიშვნელოვანია კვლევის ეთიკის პრინციპების მაქსიმალური გათვალისწინება. სტიგმასთან დაკავშირებული გამოცდილებების შესახებ საუბრისას ჩვენი ინიციატივით არ ვახსენებდით ტერმინს

სტიგმა, ან ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა დამცირება, შეურაცხყოფა, თავის გაუფასურებულად გრძნობა. ისმებოდა ზოგადი შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ საზოგადოების სხვა წევრებს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანის მიმართ. სტიგმის აღქმის შემთხვევებში, რესპონდენტი თავადვე იწყებდა ზემოდან ყურების, დაცინვის, სირცხვილის და მსგავსი ნეგატიური გამოცდილებების შესახებ საუბარს. თუ რესპონდენტს ეტყობოდა აღელვება და ნერვიულობა მისთვის სენსიტიურ თემებზე საუბრისას, რესპონდენტის სურვილის შემთხვევაში, ინტერვიუ წყდებოდა. თითოეულ შემთხვევაში აუცილებლად ეთმობოდა დრო ინტერვიუს შემდგომ დებრიფინგს. შედეგად, რესპონდენტისათვის რაიმე სახის ემოციური ზიანის მიყენება გამოირიცხებოდა. ინფორმირებული თანხმობისა და კონფიდენციალობის პრიცნიპები დაცული იყო. რესპონდენტს მიეწოდებოდა ინფორმაცია, რომ ინტერვიუს ფარგლებში ვისაუბრებდით სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონასთან დაკავშირებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებებზე. მისთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და კვლევის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ კი, ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაში, ტარდებოდა ინტერვიუ. ასევე, მხოლოდ რესპონდენტის თანხმობის შემთხვევაში კეთდებოდა ინტერვიუს აუდიო ჩანაწერი კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა განაცხადა უარი მისი საუბრის აუდიო ჩანაწერის გაკეთებაზე, რის გამოც საუბრის ხელით დაწერა გახდა აუცილებელი.

### 5.1.3. კვლევის მონაწილეები

ჩატარდა 17 სიღრმისეული ინტერვიუ. თვისებრივი კვლევებისას ინტერვიუების ჩატარება წყდება მაშინ, როდესაც ახალი ტიპის ინფორმაცია აღარ მიიღება შესასწავლი საკითხის შესახებ. 11 ინტერვიუს შემდეგ უკვე მეორდებოდა რესპონდენტების მიერ გადმოცემული შინაარსები, ამიტომ, გადავწყვიტეთ 17 ინტერვიუს მეტი არ ჩაგვეტარებინა. ყველა რესპონდენტი რეგისტირებული იყო „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“. იქიდან გამომდინარე, რომ გამოსაკითხი ერთობლიობის წევრები სპეციალურ და რთულად ხელმისაწვდომ კატეგორიას

მიეკუთვნებიან, რესპონდენტების მოსაძიებლად გამოვიყენეთ ე.წ. თოვლის გუნდის პრინციპი.

### 5.1.4. მონაცემების დამუშავების მეთოდი

ინტერვიუს შედეგად მიღებული მონაცემი გაანალიზდა თემატური ანალიზის საშუალებით. თვისებრივი მონაცემების ანალიზისადმი საკმაოდ კომპლექსური და მრავალფეროვანი მიდგომები არსებობს (დისკურსული ანალიზი, ნარატიული ანალიზი, კონტენტ ანალიზი, თემატური ანალიზი და ა.შ). თუმცა, ყველა თვისებრივი მიდგომის მიზანია, შეისწავლოს და დაახასიათოს ფენომენი სუბიექტის/განმცდელის პერსპექტივიდან. საკმაოდ ბევრი მსგავსება და გადაფარვა არსებობს თვისებრივი მონაცემების გაანალიზების სხვადასხვა მიდგომას შორის პროცედურული თუ ტექნიკური თვალსაზრისით. ხშირად მკვლევრები თვისებრივი ანალიზისას მათ ფლექსიბურ სინთეზს მიმართავენ ხოლმე. თუმცა, აუცილებელია, რომ ნათლად აიხსნას და განიმარტოს, რომელი მიდგომა რატომ გამოიყენება კონკრეტული კვლევის შემთხვევაში (Vaismoradi, Turunen & Bondas, 2013).

თემატური ანალიზი არის მეთოდი, რომლის დროსაც თვისებრივი სახის მონაცემებში ხდება თემების (პატერნების) იდენტიფიცირება, ანალიზი და გადმოცემა.

უმეტესად ვეყრდნობოდით დედუქციურ, თეორიული ხასიათის თემატურ ანალიზს. თუმცა, რამდენიმე თემის შემთხვევაში, ინდუქციური თემატური ანალიზის მიდგომაც იქნა გამოყენებული. დედუქციური ანუ თეორიული თემატური ანალიზისას თემები განისაზღვრება კვლევის თეორიულ ჩარჩოსა და კვლევის კითხვებზე დაყრდნობით (Brown & Clarke, 2006). ჩვენი კვლევის შემთხვევაში, წინასწარ გვქონდა განსაზღვრული, თუ სტიგმის აღქმის რომელი ასპექტები/განზომილებები, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის რომელი სტრატეგიები გვაინტერესებდა ინტერვიუების ანალიზისას. ამიტომ, თემების გამოვლენის პროცესი უმეტესად დედუქციურ ხასიათს ატარებდა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რადენიმე მნიშვნელოვანი და საინტერესო თემა თვისებრივი მონაცემების გაანალიზების შემდეგ გაჩნდა (მაგალითად, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგია).

**თემატური ანალიზის განხორციელების საფეხურები:** თემატური ანალიზის პროცესი რამდენიმე მნიშვნელოვანი საფეხურისაგან შედგება.

სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარების პარალელურად იწერებოდა ტრანსკრიპტები. დისკურსული ანალიზისაგან განსხვავებით, თემატური ანალიზისას მიზანშეწონილია ინტერვიუს არა დეტალური ჩანაწერი, არამედ მხოლოდ მნიშვნელოვანი ამონარიდების დაწერა (Vaismoradi, Turunen & Bondas, 2013). თუმცა, მოცემული კვლევის შემთხვევაში თითოეული ინტერვიუს დეტალური ტრანსკრიპტი გაკეთდა ინტერვიუს კონტექსტის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით. ამასთანავე, ტრანსკრიპტები კოდირებისათვის ეძლეოდა მეორე შემფასებელსაც და ვივარაუდეთ, რომ დეტალური ჩანაწერი ინტერვიუს მსვლელობას მისთვის მეტად გასაგებს გახდიდა. ანალიზის საფეხურები უფრო დეტალურად შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

- ტრანსკრიპტების რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ შემუშავდა პირველადი კოდირების ჩარჩო. კოდირების ჩარჩოში შევიდა თემები კვლევის საფუძვლად მდებარე თეორიულ კონცეფციებსა და მონაცემებში გამოვლენილ ძირითად პატერნებზე დაყრდნობით;
- შემუშავებული კოდირების ჩარჩოს მიხედვით ხდებოდა თითოეულ ტრანსკრიპტში თემების კოდირება. კოდირების ანალიზის ერთეულად გამოიყენებოდა რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი პასაჟი, რომელშიც კონკრეტული თემა/კოდი ვლინდებოდა;
- ყველა ტრანსკრიპტის კოდირებისა და თემების გამოვლენის შემდეგ გაანალიზდა თითოეული თემა და მათში გაერთიანებული შინაარსები. შედეგად, რამდენიმე თემა გაერთიანდა, რამდენიმე კი დანაწევრდა ქვე-თემებად. ამას მოჰყვა შეცვლილი კოდირების ჩარჩოს მიხედვით ტრანსკრიპტების ხელახალი წაკითხვა რამდენჯერმე და თითოეული თემის შესაბამისი პასაჟების დაზუსტება;
- თვისებრივი მონაცემების კოდირებისას ეჭქვეშ აყენებენ ხოლმე კოდირების შედეგად გამოვლენილი თემების სანდოობას; როგორ წესი, თავად კვლევის ავტორი ახდენს მონაცემების კოდირებას, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ თემები მონაცემებში სუბიექტური ხედვის საფუძველზე გამოავლინოს და შეაფასოს. ამიტომ, თვისებრივ

კვლევებში სულ უფრო და უფრო გავრცელებული ხდება გამოვლენილი თემების სანდოობის შემოწმება (Syed & Nelson, 2015). ამ მიზნით, 11 ტრანკსრიპტი გადაეცა მკვლევარს, რომელიც იქამდე კვლევაში მონაწილეობას არ იღებდა. მას ასევე მიეწოდა კოდირების ჩარჩო, სადაც თითოეული თემის/კოდის აღწერა იყო წარმოდგენილი. ექსპერტმა დამოუკიდებლად გამოავლინა კოდები ტრანსკრიპტებში. შემფასებლებს შორის თანხმობის შესაფასებლად კომპიუტერულ პროგრამა SPSS 21-ში 182 კოდირებულ ფრაზას შორის გამოთვლილ იქნა კაპას კოეფიციენტი. შემფასებლებს შორის თანხმობის მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა, kappa = .74, $p<.05$.

## 5.2. კვლევის მეთოდოლოგია - მეორე ნაწილი

### 5.2.1. კვლევის მეთოდი და პროცედურა

კვლევის მეორე ნაწილის მიზნებს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენდა სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების საკვლევი ინსტრუმენტების შექმნა.

ასევე, კოლექტიური თვითშეფასებისა და ეკონომიკური სისტემის გამართლების სკალების ქართული ვერსიების შექმნა.

კვლევის მეორე ნაწილში ჩატარდა საპილოტე კვლევა სკალების პირველადი ანალიზისა და კვლევის ძირითადი ნაწილის მიზნების უკეთ გამოკვეთისათვის.

კვლევის მეორე ნაწილი დაიწყო სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების საკვლევი ინსტრუმენტების დებულებების ექსპერტული შეფასებით, რასაც მოჰყვა რაოდენობრივი კვლევა.

### 5.2.2. ექსპერტული შეფასება

სიღრმისეული ინტერვიუების დამუშავების შედეგად ამოიკრიფა და ფორმულირდა ხშირად გამეორებული ის დებულებები, რომლებიც სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებში გამოვლენილ თემებს ყველაზე

კარგად ასახავდა. გათვალისწინებულ იქნა, რომ რაც შეიძლება ნათლად ყოფილიყო აზრი გამოხატული. სტიგმის აღქმის შემთხვევაში, თავდაპირველად, ასეთი იყო სულ 25 დებულება; ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შემთხვევაში კი 32 დებულება. რამდენიმე მსგავსი დებულება ამოვაკელით; დებულებები რედაქტირდა რამდენჯერმე, მათ შორის ფილოლოგის მიერაც.

სტიგმის აღქმის განზომილების სკალის შემთხვევაში დარჩა 22 დებულება; ტრანსკრიპტების თემატური ანალიზის გათვალისწინებით, აქედან 8 დებულება ეხებოდა ნეგატიური მოპყრობის აღქმის განზომილებას; 14 დებულება კი სტიგმის ინტერნალიზებას.

ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შემთხვევაში სკალაში გაერთიანდა 30 დებულება. აქედან სოციალური კრეატულობის განზომილებას ეხებოდა 17 დებულება განზომილებაში ბევრი ქვე-სტრატეგიის არსებობის გამო; ინდივიდუალურ მობილობას - 5 დებულება; ხოლო შიდა ჯგუფური შეჭიდულობის გაზრდას  კი - 8 დებულება. ეს უკანასნკელი თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიყო ცალკე განზომილებად. ლოევინგერის (1957) რეკომენდაციით, თითოეული ასპექტის გასაზომი დებულებების რაოდენობა სკალაში ამ განზომილებების მნიშვნელოვნობის პროპორციული უნდა იყოს.

შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმების მიზნით თითოეული სკალა შეაფასა ათმა ექსპერტმა, რომლებიც სოციალურ ფსიქოლოგიაში, პიროვნების ფსიქოლოგიაში, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში, ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიასა და ფსიქოლოგიის სხვა კონცენტრეციებში მეცნიერულ კვლევებს ატარებენ. ზოგიერთმა მათგანმა მხოლოდ ერთი სკალა შეაფასა მისი სპეციალიზაციის მიხედვით, ამიტომ სულ 12-მა ექსპერტმა მიიღო სკალების ექსპერტულ შეფასებაში მონაწილეობა. მათგან რვას ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი აქვს, ხოლო ოთხი დოქტორანტია. ექსპერტებს ვთხოვდით, რომ გადაეწყვიტათ, თუ რომელ განზომილებას ასახავდა ყველაზე მეტად თითოეული დებულება; შემდეგ კი დებულების განზომილებასთან შესაბამისობის ხარისხი ერთიდან შვიდ ბალიან სკალაზე შეეფასებინათ.

ექსპერტული შეფასება ორ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურებოდა; პირველი, სკალის კონსტრუქტთან შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმება; მეორე, იმ დებულებების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველაზე კარგად ასახავს შესასწავლ ცნებას. ექსპერტთა შეფასებები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS 21. თითოეულ განზომილებასთან მიკუთვნებულობის შემთხვევაში დავითვალეთ 1-დან 7-ბალიან სკალაზე ექსპერტების მიერ გამოხატული თანხმობის მედიანა, ინტერ-კვარტილური გაბნევის დიაპაზონი, საშუალო, სტანდარტული გადახრა, მინიმუმისა და მაქსიმუმის მაჩვენებლები.

### 5.2.3. საპილოტე კვლევის მონაწილეები

საპილოტე კვლევაში მონაწილეობა მიიღო 151-მა რესპონდენტმა (ქალი - 100, კაცი -51; ასაკი - *M*=44.7, *SD*=17.02). მათგან 94% ეროვნებით ქართველია, 3.3% - სომეხი, 3% - რუსი, ხოლო 1 - ოსი. რესპონდენტების 47.7% დედაქალაქში ცხოვრობდა, დანარჩენი კი რეგიონებში (ზუგდიდი, თელავი, ოზურგეთი და მიმდებარე სოფლები).

37.1% - ს აქვს სრული საშუალო განათლება, 26.5% - ს - საშუალო ტექნიკური/პროფესიული, 15.9% - ს - საბაზო, 13.2% - ს - უმაღლესი, 4.6% - ს - არასრული უმაღლესი, 2.6% - ს - დაწყებითი განათლება.

რესპონდენტების 52.3% დაქორწინებულია, 26.5% - დასაოჯახებელი, 9.9% - ქვრივი, ასევე 9.9% - დაშორებული/განქორწინებული, 1.3% - სხვა სტატუსის მქონე.

სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონის საშუალო წლიური ხანგრძლივობაა 5.8, *SD* = 4.5, საშუალო თვიური ხანგრძლივობა კი (ვისაც სტატუსი მხოლოდ რამდენიმე თვეა რაც აქვს) – 4.5, *SD* = 2.6.

### 5.2.4. საპილოტე კვლევის პროცედურა

გამოყენებულ იქნა **არაალბათური შერჩევის მეთოდები**, რადგან კვლევის სამიზნე ჯგუფი საზოგადოების მოწყვლად ფენას მიეკუთვნება და მის წევრებთან დაკავშირება საკმაოდ რთულია. რესპონდენტების მოსაძიებლად მივმართეთ ხელმისაწვდომი და თოვლის გუნდის შერჩევის სახეებს. რესპონდენტებთან დაკავშირება კვლევის

მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენდა, რადგან მათი პირადი ინფორმაციის გაცემა არ შეეძლოთ მათთან მომუშავე სოციალურ აგენტებს. ანკეტების შესავსებად უმეტესად მივდიოდით უფასო სასადილოებში, სადაც საკვების ასაღებად მიდიან ხოლმე სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეები. დამატებით სიძნელეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ბევრი მათგანი უარს აცხადებდა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ზოგიერთნი უნდობლობით გვეკიდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი სახელი და გვარი არსად ფიქსირდებოდა ანკეტაზე, მაინც ეშინოდათ, ხომ არ უკავშირდებოდა კვლევა მათთვის სოციალურად დაუცველის სტატუსის მოხსნას. აღსანიშნავია, რომ უმეტესობა ჩიოდა სტატუსის მისანიჭებელი კრიტერიუმების ცვლაზე, რასაც ზოგჯერ ფულადი სოციალური დახმარების მოხსნა მოსდევდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული აღნიშნული შიში და უნდობლობა. კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმის მეორე მიზეზი უკავშირდებოდა ნაკლებ მოტივაციას; ისინი პირდაპირ ამბობდნენ, რომ ვერ ხედავდნენ აზრს, დრო და ენერგია დაეხარჯათ იმაში, რასაც მათთვის სასიკეთო შედეგი შესაძლოა არ მოჰყოლოდა. ბევრმა რესპონდენტმა შუაზეც გაწყვიტა ანკეტის შევსება.

### 5.2.5. კვლევის ინსტრუმენტები

კითხვარი შედგებოდა ათი გვერდისაგან. ინსტრუქციას მოსდევდა დემოგრაფიული ბლოკი, რომელშიც შედიოდა შეკითხვები სქესის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, ეროვნების, განათლების, ოჯახური მდგომარეობის, ოჯახის წევრების რაოდენობის, შემოსავლის, ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური დახმარების მიღების ხანგრძლივობისა და ოდენობის, დასაქმების სტატუსის შესახებ. კითხვარში მოცემული იყო შემდეგი საზომი ინსტრუმენტები:

**1. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის სკალა** - სკალა შემუშავდა კვლევის პირველი ნაწილის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. ექვსი დებულება მოდიფიცირდა ქრისტინა მიკელსონის სიღარიბის სტიგმის აღქმის სკალიდან (Perceived Stigma of Poverty, Mickelson, 2001). აღნიშნულის შესახებ ნებართვა თავად ავტორისაგან მივიღეთ. დანარჩენი კი შემუშავდა ჩვენ მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების

შედეგების გათვალისწინებით. საბოლოოდ, სკალა შედგა 22 დებულებისაგან, რომლებიც ორ განზომილებად იყოფა. ესენია:

ა) **ნეგატიური მოპყრობის აღქმა** - სოციალურად დაუცველის სტატუსის გამო სხვების მხრიდან გამოვლენილი დისკრიმინაციის, რაიმე სახის ნეგატიური დამოკიდებულებების აღქმის შემთხვევები.

ექსპერტული შეფასების თანახმად, აღნიშნულ განზომილებას ეხებოდა რვა დებულება (მაგალითად, *ადამიანები ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენენ ჩემდამი იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს; ყოფილა შემთხვევები, რომ პირადად ჩემთვის დაუცინიათ სოციალურად დაუცველის სტატუსის გამო*).

ბ) **სტიგმის ინტერნალიზება** - მასტიგმატიზებელი გამოცდილებებისათვის ემოციური მნიშვნელობის მინიჭება, სტიგმის ემოციურ დონეზე განცდა, რასაც თანახლავს სირცხვილის, ნერვიულობის, მომავალში პოტენციური დამცირების შიში, დაბნეულობა, იზოლაცია. აღნიშნული სახის ნეგატიურ ემოციურ რეაქციებთან ერთად, ადამიანმა შეიძლება დაიწყოს აღქმული ნეგატიური სტერეოტიპების გაზიარება.

აღქმული ნეგატიური სტერეოტიპების გაზიარების/თანხმობის ამსახველი დებულებები ქრისტინა მიკელსონის სიღარიბის სტიგმის აღქმის სკალაში არ ყოფილა, თუმცა, ბოლო დროს, გვხვდება სხვა ფენომენთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის სკალებში (მაგალითად, ოპიოიდის სტიგმის აღქმის სკალა, Yang, Grivel, Anderson, Baily, Opler, Wong & Stein, 2019). ჩვენ ვთვლით, რომ სტიგმის ინტერნალიზება სოციალური იდენტობის ცვლილების მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ, აღნიშნული დებულებების სკალაში ჩართვა და სკალის ფაქტორული სტრუქტურის კვლევისას მათი განლაგების შემოწმება.

ექსპერტების შედეგების გათვალისწინებით, სტიგმის ინტერნალიზების განზომილებას ეხებოდა თოთხმეტი დებულება (მაგალითად,: *ხანდახან მრცხვენია იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს, მართალია, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებს წარმატების მიღწევა ნაკლებად*

*შეუძლიათ, თავს ზოგჯერ დამნაშავედ ვგრძნობ იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის ტარება მიწევს*).

დებულებები ფასდება 7-ბალიან სკალაზე (1 - საერთოდ არ ვეთანხმები, 7 - სრულიად ვეთანხმები).

სკალის პირველ ვერსიაში ორი უარყოფითად ფორმულირებული დებულება იყო (*არასოდეს მიგრძვნია თავი დამცირებულად იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს*; *არ ვნერვიულობ, რომ სოციალურად დაუცველთა ჯგუფს მივეკუთვნები*).

როგორც ზემოთ აღინიშნა, შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმების მიზნით სკალამ გაიარა ექსპერტული შეფასება.

სკალის დახვეწის მიზნით ჩატარდა პირველადი კომპონენტების ანალიზი („ექსპლორატული"/ახსნითი ფაქტორული ანალიზი), დასკვნითი (კონფირმატორული) ფაქტორული ანალიზი, გამოთვლილ იქნა სკალის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები. ვინაირად სკალა თავიდან შეიქმნა და არ არსებობდა საკმარისი ოდენობის თეორიული და ემპირიული კვლევების შედეგები კონსტრუქტთან მიმართებით, საჭირო იყო ჯერ ახსნითი (ე.წ.„ექსპლორატული") ფაქტორული ანალიზის ჩატარება. აღნიშნული განხორციელდა პირველადი კომპონენტების ანალიზის (PCA) ტექნიკით და მიზნად ისახავდა დადგენილიყო სკალის ფაქტორებად დაყოფის მიზანშეწონილობა, ასევე, ის, თუ რამდენი ფაქტორის გამოყოფა იყო რეკომენდებული, შემოწმებულიყო დებულებების ფაქტორებზე დატვირთვის მაჩვენებლები და არამიზანშეწონილი დებულებები სკალიდან ამოღებულიყო. ამის შემდეგ, დასკვნითი (კონფირმატორული) ფაქტორული ანალიზის ჩატარების მეშვეობით, შესაძლებელი გახდა დაკვირვებადი მონაცემების საფუძვლად მდებარე თეორიულ მოდელთან მორგების მაჩვენებლების დადგენა.

**2. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების (Negative Social Identity Management Strategies) სკალა** - სკალა ეყრდნობა ტაჯფელისა და ტერნერის (1979) სოციალური იდენტობის თეორიასა და მასზე დაფუძნებულ კვლევებში აღწერილ ნეგატიური სოციალური

იდენტობის მართვის სტრატეგიებს (Turner & Brown, 1978; Tajfel, 1978; Branscombe, 1998; Hogg, Terry & White, 1995 და სხვ.). დებულებები შემუშავებულია საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობასთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე. ასევე, დებულებების ფორმულირებისას გამოცდილება იქნა გაზიარებული იმ ავტორების მიერ, რომლებმაც შეიმუშავეს მსგავსი ტიპის სკალა თურქეთში, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების კვლევისას (Akfirat, Polat & Yetim, 2016).

ექსპერტული შეფასების შემდეგ სკალაში დარჩა 28 დებულება, რომელიც სამ განზომილებას შეესაბამებოდა:

ა) **სოციალური კრეატულობის სტრატეგია** - გულისხმობს სოციალური შედარების კონტექსტის ისე შეცვლას, რომ დაბალი სტატუსის ჯგუფის წევრობასთან დაკაშირებული თვითხატი ამაღლდეს. შედის ისეთი სტრატეგიები, როგორებიცაა: ა) დაბალი სტატუსის განმსაზღვრელი ატრიბუტის (ამ შემთხვევაში ნაკლები ფულის, სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონა) მნიშვნელოვნობის დონის შემცირება სხვა, უფრო დადებითი მახასიათებლებისათვის მეტი უპირატესობის მინიჭების, მათი წინ წამოწევის ხარჯზე; ბ) შიდა ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარება (საკუთარი ჯგუფის წევრებთან შედარებით საკუთარი უპირატესობის ხაზგასმა); გ) გარე ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარება (გარე - უფრო მაღალი სტატუსის ჯგუფთან შედარებისას ისეთი მაკომპენსირებელი განზომილებების მიხედვით სოციალური შედარება, რომ საკუთარი ჯგუფის სტატუსი ამაღლდეს; სხვა ისეთი მახასიათებლების მოძებნა, რომელთა მიხედვით შედარებისასაც საკუთარი ჯგუფი უფრო დადებითად წარმოჩინდება); დ) დაბალი სტატუსის ატრიბუცია ექსტერნალურ ფაქტორებზე.

ექსპერტული შეფასების შედეგების მიხედვით, აღნიშნული განზომილების ამსახველი 17 დებულება იყო სკალაში მოცემული (მაგალითად,: *ზოგადად, სოციალურად დაუცველი ადამიანები უფრო თბილები ვართ, ვიდრე მდიდრები; მთავარია არა ის, თუ რა სტატუსი გაქვს საზოგადოებაში, არამედ რამდენად პატიოსანი ხარ* და სხვ).

**ზ) ინდივიდუალური მობილობის სტრატეგია** - პიროვნების მიერ განხორციელებული აქტიური მცდელობები იმისათვის, რომ დაბალი სტატუსის ჯგუფი დატოვოს და უფრო მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის ჯგუფის წევრი გახდეს, სოციოეკონომიკური სტატუსი გაიუმჯობესოს.

ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიას, ექსპერტების შეფასების შედეგების გათვალისწინებით, სკალაში ასახავდა ხუთი დებულება (მაგალითად, *ვცდილობ, რომ საკუთარი შემოსავალი მქონდეს და მთავრობის სოციალური დახმარების იმედად არ ვიყო* და სხვ).

**გ) შიდა ჯგუფური შეჭიდულობის გაზრდა** - „ჩვენ“ - სოციალურად დაუცველები და „ისინი“ - მდიდრები/არაღარიბები ჯგუფებად დაყოფა, შიდა ჯგუფური კონტაქტების გაზრდა, ერთმანეთის დახმარება, რასაც თანახლავს გარე ჯგუფთან კონტაქტის სიმცირე/სურვილის არქონა და გარე ჯგუფის წარმომადგენლების ნეგატიური რეაქციებისათვის ნაკლები მნიშვნელობის მინიჭება.

შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგია ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებში აქამდე განხილული არ ყოფილა. თუმცა, თვისებრივი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნიერ აღნიშნული ფაქტორის სკალაში შემოტანა. შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიის ამსახველად სკალაში ექვსი დებულება დარჩა (მაგალითად,: *სოციალურად დაუცველები მდიდრებთან კონტაქტს ვერიდებით შესაძლო დამცირების თავიდან არიდების მიზნით*).

დებულებები ფასდება 7-ბალიან სკალაზე (1 - საერთოდ არ ვეთანხმები, 7 - სრულიად ვეთანხმები).

შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმების მიზნით სკალამ გაიარა ექსპერტული შეფასება. სკალის დახვეწის მიზნით ჩატარდა პირველადი კომპონენტების ანალიზი („ექსპლორატული“ ფაქტორული ანალიზი), დასკვნითი (კონფირმატორული) ფაქტორული ანალიზი, გამოთვლილ იქნა სკალის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები.

სკალა თავიდან შეიქმნა, ამასთანავე, შეტანილ იქნა ისეთი განზომილება და მისი ამსახველი დებულებები, რაც ტაჯფელისა და ტერნერის თეორიაში არ განიხილება ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების ცალკე განზომილებად (ვგულისხმობთ შიდა ჯგუფური შეჭიდულობის განზომილებას). ამის გათვალისწინებით, საჭირო იყო ჯერ ახსნითი (ე.წ.„ექსპლორატული“) ფაქტორული ანალიზის ჩატარება. აღნიშნული განხორციელდა პირველადი კომპონენტების ანალიზის (PCA) ტექნიკით და მიზნად ისახავდა დადგენილიყო სკალის ფაქტორებად დაყოფის მიზანშეწონილობა, ასევე, ის, თუ რამდენი ფაქტორის გამოყოფა იყო რეკომენდებული, შემოწმებულიყო დებულებების ფაქტორებზე დატვირთვის მაჩვენებლები და არამიზანშეწონილი დებულებები სკალიდან ამოღებულიყო. ამის შემდეგ, კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის ჩატარების მეშვეობით, შესაძლებელი გახდა დაკვირვებადი მონაცემების საფუძვლად მდებარე თეორიულ მოდელთან მორგების მაჩვენებლების დადგენა.

**3. ეკონომიკური სისტემის გამართლების სკალა** - ეკონომიკური სისტემის გამართლების გასაზომი სკალის ორიგინალური ვერსია შემუშავებულია ჯოსტისა და თომფსონის მიერ (Jost, J. T., & Thompson, E. P. (2000)). სკალა ქვე-სკალებად არ იყოფა და შედგება 17 დებულებისაგან, რომელთაგანაც რვა უარყოფითად ფორმულირებულია. რესპონდენტებმა დებულებებისადმი თანხმობის ხარისხი უნდა გამოხატონ 1-დან 9-ბალიან სკალაზე (1-საერთოდ არ ვეთანხმები, 9-სრულიად ვეთანხმები).

არსებობს სკალის იტალიური ვერსიაც, რომელიც ადაპტირდა ჯოსტისა და თომფსონის (2000) ორიგინალურ ვერსიაზე დაყრდნობით (Caricati, 2008). იტალიურ ვერსიაში, ანალიზის შედეგად, ამოღებულ იქნა ხუთი დებულება. სკალის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი საკმაოდ კარგი აღმოჩნდა, $\alpha$=.79.

ქართული ვერსიის შემუშავებისას, სკალა ორი დამოუკიდებელი მთარგმნელის მიერ ითარგმნა ქართულად და შემდეგ ინგლისურად, რის შედეგადაც ლინგვისტურად დაიხვეწა დებულებები. ქართულ ვერსიაში რევერსიული იყო მხოლოდ 2 დებულება - მე-4 და მე-10. სკალის ადაპტაცია ჩატარდა მხოლოდ სოციალურად დაუცველის

სტატუსის მქონე მოსახლეობაში; სკალის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები შედეგების აღწერის ნაწილშია წარმოდგენილი.

**4. ინდივიდუალური თვითშეფასების საზომი სკალა** - ინდივიდუალური თვითშეფასების გასაზომად გამოყენებულ იქნა როზენბერგის (1965) თვითშეფასების სკალა, რომელიც ათი დებულებისაგან შედგება. რესპონდენტი დებულებებისადმი თანხმობას ლიკერტის ტიპის 4-ბალიანი პასუხის ფორმატით აფასებს. ხუთი დებულება უარყოფითადაა ფორმულირებული. სკალის ქართული ვერსიის შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხი უკვე შემოწმებულია, კრონბახის ალფა არის .76, ორიგინალური ვერსიის კი - .78. საქართველოში, 16-60 წლის ასაკის რესპონდენტებისათვის, სკალის საშუალო მაჩვენებლები შემდეგნაირია: ქალებისათვის - *M*=29.4, *SD*=4.26, N=708, მამაკაცებისათვის კი - *M*=29.8, *SD*=3.99, N=214 (სუმბაძე, ქიტიაშვილი, ფირცხალავა & მაისურაძე, 2012).

მოცემული კვლევის ფარგლებში, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის მაგალითზე, ჩვენ გადავამოწმეთ აღნიშნული სკალის შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხის მაჩვენებელი, α=.67.

**5. კოლექტიური თვითშეფასების საზომი სკალა** - კოლექტიური თვითშეფასება გაიზომა კროკერისა და ლუთანენის მიერ შემუშავებული კოლექტიური თვითშეფასების სკალით (Crocker & Luhtanne, 1992). ავტორების მიხედვით, თვითშეფასების სკალების უმრავლესობა აფასებს მხოლოდ პერსონალურ/პიროვნულ თვითშეფასებას პირად ან ინტერპერსონალურ განზომილებებში. მათი მიზანია, რომ ახალი ინსტრუმენტით გაზომონ სოციალური/კოლექტიური იდენტობის შეფასების ხარისხი. კროკერი და ლუთანენი სკალაში ოთხ ქვე-სკალას გამოყოფდნენ (წევრობის შეფასება, კოლექტიური თვითშეფასება საზოგადოების პერსპექტივიდან, კოლექტიური თვითშეფასება პირადი პერსპექტივიდან და იდენტობის მნიშვნელობის შეფასება).

ავტორებმა სამი კვლევის ფარგლებში შეამოწმეს სკალის სანდოობისა და ვალიდობის მაჩვენებლები და გააკეთეს დასკვნა იმის შესახებ, რომ ინსტრუმენტი საკმაოდ წარმატებით ზომავს კოლექტიურ თვითშეფასებას. ავტორების ორიგინალურ

კვლევებში, მთლიანი სკალის კრონბახის α=.85. რაც შეეხება სკალის ვალიდობას, მისი შემოწმების მიზნით, შეისწავლეს კავშირი სხვა შესაბამის სკალებთან: კოლექტიური თვითშეფასების სკალა საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია როზენბერგის ინდივიდუალური თვითშეფასების სკალასთან ($r$ =.36, $p$ <.001, N=666), ხოლო უარყოფითადაა დაკავშირებული ჯგუფის მიმართ არსებული დისკრიმინაციის რწმენის სკალასთან ($r$ =-.15, $p$ <.001, N=634). ავტორები რეკომენდაციას უწევენ იმას, რომ შემდგომ კვლევებში, აღნიშნული სკალის გამოყენებით, შესწავლილ იქნას სხვადასხვა სოციალურ ფენომენთან და ჯგუფთან მიმართებით კოლექტიური თვითშეფასება (Crocker & Luhtanen, 1992). შესაბამისად, ვფიქრობთ, სოციალურად დაუცველის სტატუსთან მიმართებით კოლექტიური თვითშეფასების კვლევა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ფენომენის გაზომვისათვის.

სკალა შედგება თექვსმეტი დებულებისაგან, რომელთა მიმართ თანხმობის ხარისხიც ფასდება 1-დან 7-ბალიან სკალაზე (1 - საერთოდ არ ვეთანხმები, 7 - სრულიად ვეთანხმები). სკალაში მოცემულია რვა უარყოფითად ფორმულირებული დებულება.

სკალა ორი დამოუკიდებელი მთარგმნელის მიერ ითარგმნა ქართულად და შემდეგ ინგლისურად, რის შედეგადაც ლინგვისტურად დაიხვეწა დებულებები; ჯგუფის აღმნიშვნელი ზოგადი სიტყვა (ჯგუფი) შეიცვალა ფრაზით - სოციალურად დაუცველთა ჯგუფი.

სოციალურად დაუცველის სტატუსთან მიმართებით კოლექტიური თვითშეფასების სკალის ქართული ვერსიის მაჩვენებლები შედეგების აღწერის ნაწილშია დეტალურად წარმოდგენილი.

**6. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის საზომი სკალები** - ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის გასაზომად რამდენიმე მეთოდი იქნა გამოყენებული.

ა) ერთ-ერთი მეთოდია, რესპონდენტებმა შეაფასონ კონკრეტულ ჯგუფთან საკუთარი თავის მიკუთვნებულობის ხარისხი ერთ-დებულებიან, 5-ბალიან ლიკერტის ტიპის სკალაზე (1-საერთოდ არ მივაკუთვნებ, 5-სრულიად მივაკუთვნებ) (Akfirat, Polat & Yetim, 2016). აღნიშნული მეთოდის გამოყენებით კითხვარში ჩაიდო ორი შეკითხვა.

ერთი მათგანის მიხედვით რესპონდენტები აფასებდნენ სოციალურად დაუცველის სტატუსის ჯგუფთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციის ხარისხს *(რამდენად მიაკუთვნებთ თქვენს თავს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანებისაგან შემდგარ ჯგუფს? გთხოვთ, ქვემოთ მოცემული ციფრებიდან შემოხაზოთ ერთ-ერთი. 1 ნიშნავს, რომ საერთოდ არ მიაკუთვნებთ თქვენს თავს სოციალურად დაუცველთა ჯგუფს, 1-დან 5-მდე ციფრების მატებასთან ერთად კი იზრდება სოციალურად დაუცველთა ჯგუფის წევრად თქვენი თავის აღქმის ხარისხი, ციფრი 5 კი ნიშნავს, რომ სრულიად მიაკუთვნებით თქვენს თავს სოციალურად დაუცველთა ჯგუფს*), მეორე შეკითხვის მიხედვით კი მათ უნდა შეეფასებინათ, რამდენად ახდენდნენ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ღარიბთა ჯგუფის წევრად *(რამდენად მიიჩნევთ თქვენს თავს ღარიბთა ჯგუფის წევრად? გთხოვთ, ქვემოთ მოცემული ციფრებიდან შემოხაზოთ ერთ-ერთი. 1 ნიშნავს, რომ საერთოდ არ მიიჩნევთ თქვენს თავს ღარიბთა ჯგუფის წევრად, 1-დან 5-მდე ციფრების მატებასთან ერთად კი იზრდება ღარიბთა ჯგუფის წევრად თქვენი თავის აღქმის ხარისხი, ციფრი 5 კი ნიშნავს, რომ სრულიად მიიჩნევთ თქვენს თავს ღარიბად).* გვაინტერესებდა, რამდენად ემთხვეოდა ერთმანეთს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფისა და ღარიბთა ჯგუფის აღქმა.

ბ) სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის გასაზომად გამოყენებულ იქნა, ასევე, სკალა, რომელიც პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატზე დაყრდნობით შეიქმნა. კერძოდ, სიღრმისეულ ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოვლინდა ათი ბიპოლარული ზედსართავი სახელი, რომელთა მიხედვითაც, რესპონდენტები აფასებდნენ საკუთარ თავს, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანთა ჯგუფსა და მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფს. შვიდ ბალიან სკალაზე მოცემული იყო შემდეგი ბიპოლარული ზედსართავი სახელები: გაუნათლებელი - განათლებული, ზარმაცი - შრომისმოყვარე, წარუმატებელი - წარმატებული, მორიდებული - თამამი, მოუწესრიგებელი - სუფთა/მოწესრიგებული, დაჩაგრული - მჩაგვრელი, ბედუკუღმართი - იღბლიანი, უბედური - ბედნიერი, უიმედო - იმედიანი, ჩაკეტილი - ღია.

მოცემული ზედსართავი სახელების მიხედვით საკუთარი თავისა და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა ჯგუფის შეფასებებს შორის განსვლების ანალიზით ვლინდება ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხი.

**მონაცემების დამუშავება:** სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების პროგრამა SPSS 21. კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი კი გაკთედა პროგრამების - lavaan: R-ის პროგრამა სტრუტურული განტოლების მოდელისათვის (Rosseel, 2012) და IBM SPSS Amos 19-ის გამოყენებით.

## 5.3.კვლევის მეთოდოლოგია - მესამე ნაწილი

კვლევის მესამე ნაწილში ჩატარდა მეტად ფართომასშტაბიანი რაოდენობრივი კვლევა, რაც კვლევის ამოცანებზე პასუხების გასაცემად საჭირო სტატისტიკური ოპერაციების ჩასატარებლად იყო საჭირო.

### 5.3.1. კვლევის სუბიექტები

კვლევის მონაწილეთა შერჩევა მოხდა არაალბათური შერჩევის მეთოდების იმავე პრინციპებით, რაც კვლევის მეორე ნაწილშია აღწერილი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 263-მა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტმა (ქალი - 184, კაცი -79; ასაკი - $M$ = 44.4, $SD$ = 16.5). მათგან 251 ეროვნებით ქართველი, 8 - სომეხი, 3 - რუსი, ხოლო 1 - სხვა ეროვნების.

რესპონდენტების 44.5% თბილისში ცხოვრობს, 20.2% - თელავში, 6.5% - ზუგდიდში, 6.1% - ოზურგეთში, 1.5% - ქუთაისში, 0.8% - გორში, 20.5 % კი - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში: ბათუმი, ჭანიეთი, გურჯაანი, ვაზისუბანი, ვაჩნაძიანი, კაჭრეთი, ნინოწმინდა, უფლისციხე, ქვახვრელი (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1. რესპონდენტების განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

| საცხოვრებელი ადგილი | რესპონდენტების რაოდნეობა (%) |
|---|---|
| თბილისი | 44.5% |
| თელავი | 20.2% |
| ზუგდიდი | 6.5% |
| ოზურგეთი | 6.1% |
| ქუთაისი | 1.5% |
| გორი | .8% |
| სხვა | 20.5% |

რესპონდენტების 41.1% - ს მათგანს აქვს სრული საშუალო განათლება, 27% - ს - საშუალო ტექნიკური/პროფესიული, 12.9%-ს - უმაღლესი, 10.3%-ს - საბაზო, ხოლო 6,5%-ს - არასრული უმაღლესი (იხ. ცხრილი №2).

ცხრილი №2. რესპონდენტების განათლების სტატუსი

| განათლების სტატუსი | რესპონდენტების რაოდენობა |
|---|---|
| სრული საშუალო განათლება | 41.1% |
| საშუალო ტექნიკური/პროფესიული | 27% |
| უმაღლესის | 12.9% |
| საბაზო | 10.3% |
| არასრული უმაღლესი | 6.5% |

რესპონდენტების 53.1% დაქორწინებულია, 22.1% - დასაოაჯებელი, 12.2% - განქორწინებული/დაშორებული, 10.7% - ქვრივი, 1.9% კი სხვა ტიპის ოჯახური მდგომაროების ქონაზე მიუთითებს (არაა დაკონკრეტებული რა სახის) (იხ. ცხრილი №3).

**ცხრილი №3. რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობა**

| ოჯახური მდგომარეობა | რესპონდენტების რაოდენობა |
|---|---|
| დაქორწინებული | 53.1% |
| დასაოჯახებელი | 22.1% |
| განქორწინებული/დაშორებული | 12.2% |
| ქვრივი | 10.7% |
| სხვა | 1.9% |

სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონის საშუალო წლიური ხანგრძლივობა რესპონდენტევისათვის არის 5.4, *SD* = 4.6 (*Min* = 1, *Max* = 20), საშუალო თვიური ხანგრძლივობა კი (ვისაც სტატუსი მხოლოდ რამდენიმე თვეა რაც აქვს) – 4.6, *SD* = 2.6, (*Min* = 1. *Max* = 9).

რაც შეეხება რესპონდენტების ეკონომიკურ მდგომარეობას, მათი უმრავლესობა - 41.2% ასახელებს, რომ ფული არ ყოფნის საკვებზე, 37.4%-ის თქმით, ფული ყოფნის საკვებზე, მაგრამ არა ტანსაცმლის საყდილად, 20.2% აღნიშნავს, რომ ფული ყოფნის საკვებზე და ტანსაცმელზე, მაგრამ არა ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთების (როგორიცაა მაცივარი ან სარეცხი მანქანა) საყიდლად, 0.4% (1 რესპონდენტი) ამბობს, რომ ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთების ყიდვის საშუალება აქვთ, 0.8% (2 რესპონდენტი) კი მიუთითებს, რომ რაც სჭირდებათ, ყველაფერს იძენენ (იხ. ცხრილი №4).

**ცხრილი №4. რესპონდენტების ეკონომიკური მდგომარეობა - სიხშირული განაწილება**

| ეკონომიკური მდგომარეობა | სიხშირე (%) |
|---|---|
| ფული არ გვყოფნის საკვებზე | 41.2% |
| ფული გვყოფნის საკვებზე, მაგრამ არ გვყოფნის ტანსაცმელზე | 37.4% |
| ფული გვყოფნის საკვებზეც და ტანსაცმელზეც, მაგრამ არ გვაქვს საშუალება, შევიძინოთ ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორებიცაა მაცივარი ან სარეცხი მანქანა | 20.2% |

| | |
|---|---|
| საშუალება გვაქვს, შევიძინოთ ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორებიცაა მაცივარი ან სარეცხი მანქანა | .4% |
| საშუალება გვაქვს შევიძინოთ ყველაფერი, რაც გვჭირდება | .8% |

### 5.3.2. კვლევის ინსტრუმენტები და პროცედურა

კვლევაში გამოყენებული კითხვარი შედგებოდა იმ ინსტრუმენტებისაგან, რაც კვლევის მეორე ნაწილში იქნა აღწერილი. კერძოდ, დემოგრაფიულ ბლოკს მოსდევდა სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების, ინდივიდუალური თვითშეფასების, კოლექტიური თვითშეფასების, ეკონომიკური სისტემის გამართლების, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან მიკუთვნელობულობის საზომი სკალები (იხ. ცხრილი №5).

**ცხრილი №5. ძირითადი საზომი ინსტრუმენტები**

| | კონსტრუქტი | საზომი ინსტრუმენტი |
|---|---|---|
| 1. | სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმა | სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის სკალა (შემუშავდა სადისერტაციო კვლევის ფარგლებში, ქრისტინა მიკელსონის სიღარიბის სტიგმის აღქმის სკალაზე დაყრდნობით) |
| 2. | სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები | სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სკალა (შემუშავდა სადისერტაციო კვლევის ფარგლებში) |
| 3. | ეკონომიკური სისტემის გამართლება | ეკონომიკური სისტემის გამართლების სკალა (Jost, J. T., & Thompson, E. P. 2000) |
| 4. | ინდივიდუალური თვითშეფასება | ინდივიდუალური თვითშეფასების საზომი სკალა (Rosenberg, M.,1965). |
| 5. | კოლექტიური თვითშეფასება | კოლექტიური თვითშეფასების საზომი სკალა (Crocker & Luhtanen, 1992). |
| 6. | სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაცია | ა) სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის საზომი სკალა, შემუშავებული პიტერ ვაინრაიხის |

(Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატზე დაყრდნობით. ბ) 1-დან 5-ბალიანი ლიკერტის ტიპის სკალა.

---

უმეტესწილად, მონაწილეებს კითხვარების შესავსებად ვაკითხავდით უფასო სასადილოში, ასევე, თავიანთ სახლებში.

აღნიშნული საკვლევი ჯგუფი, ამ შემთხვევაშიც, საკმაოდ რთულად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა. ისინი ხშირად აცხადებდნენ უარს კვლევაში მონაწილეობაზე იმ ორი მიზეზით, რაც ზემოთ უკვე დავასახელეთ (შიშით, რომ ანონიმურობის მიუხედავად, სტატუსი არ მოხსნოდათ; მოტივაციის ნაკლებობით).

**მონაცემების დამუშავება:** სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების პროგრამა SPSS 21. ასევე, lavaan: R-ის პროგრამა სტრუქტურული განტოლების მოდელისათვის (Rosseel, 2012) და IBM SPSS Amos 19.

# თავი VI - შედეგების აღწერა

## 6.1. სტიგმის აღქმის მოდელი: თვისებრივი კვლევის, სკალის ექსპერტული შეფასებისა და  ფსიქომეტრული  ანალიზის შედეგების აღწერა

### 6.1.1.თვისებრივი კვლევის შედეგები

სტიგმის აღქმასთან დაკავშირებული თემების გამოვლენა დედუქციური/თეორიული თემატური ანალიზის მიდგომით განხორციელდა. როგორც ზემოთ უკვე რამდენჯერმეა აღნიშნული, ჩვენ ვეყრდნობით სტიგმის აღქმის მოდელს, რომლებშიც შემდეგი ორი ასპექტი/განზომილება გამოიყოფა: ნეგატიური მოპყრობის აღქმა (enacted stigma/experienced stigma) და სტიგმის ინტერნალიზება (internalized stigma). ინტერვიუების ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა, რომ საქართველოში მცხოვრები, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობა აღიქვამს, რომ საზოგადოებაში მათ მიმართ სტიგმა არსებობს. ამასთან ერთად, კვლევის მოცემულ კონტექსტშიც გამოვლინდა სტიგმის აღქმის ზემოთ აღნიშნული ორი ასპექტი.

<u>ნეგატიური მოპყრობის აღქმა</u>

ნეგატიური მოპყრობის აღქმის თემაში გაერთიანდა შინაარსები, რომლებშიც გადმოცემულია რესპონდენტების უშუალო მასტიგმატიზებელი გამოცდილებები.

სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები აღნიშნავენ სხვების მხრიდან დამამცირებელი მოპყრობისა და დამოკიდებულებების შემთხვევებს. ისინი მიუთითებენ საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან გარიყვის, მათთვის კონტაქტისათვის თავის არიდების შემთხვევებზე. ასეთ სოციალურ ექსკლუზიას კი ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრებას, დაბალ სოციოეკონომიკურ სტატუსს და ფულისა თუ სხვა მატერიალური ნივთების არქონას უკავშირებენ.

*„არიან ისეთი ხალხი, აი, არა აქვს და დასცინიან. რამდენჯერ ბავშვი მოსულა ტირილით. ამის კლასში ყოფილა, რომ არა აქვს, მოდი, არ დავუძახოთ. რამდენჯერ ბავშვი მოსულა ტირილით. მეთქი აუხსენი შვილო, რომ ეს არ არის სასაცილო. არა მაქვს?! რა უნდა დაგცინონ ან რაღაცა“ (მდედრ, 44 წლის).*

რესპონდენტები ხშირად აღნიშნავდნენ „ზემოდან ყურების“ შემთხვევებს, რასაც უკავშირდება სხვების მხრიდან გამოვლენილი დამამცირებელი დამოკიდებულება, მათი დაბალ ფენად მიჩნევა. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების აღქმით, მათი სტატუსი სხვებისათვის დამაკნინებლად მიიჩნევა.

*„ზემოდან ყურების შემთხვევებია. შენ სოციალურად დაუცველი ხარ და ესა და ის და მაინც იქიდან, შორიდან გვიყურებენ რა. ახლა, რომ შეხედავ ადამიანს და ისეთნაირად შემოგხედავს, ეხლა იმას სიტყვიერად რაღად უნდა, რომ დაგამცირათ, ხო?! აესეთი შეხედვები აქვთ“ (მდედრ,55).*

სტიგმის აღქმის მოცემულ ასპექტში ვლინდება ისეთი თემები, რომლებიც სტიგმის ცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ვგულისხმობთ, მასტიგმატიზებელი ნიშნის ქონის გამო სხვა პიროვნული მახასიათებლების გაუფასურების, დაკნინების, ნეგატიურად შეფასების შემთხვევებს. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საზოგადოების წევრების დამოკიდებულება მათ მიმართ იცვლება მას შემდეგ, როგორც კი გაიგებენ, რომ აღნიშნული სტატუსის მატარებლები არიან. მათი აღქმით, ამის შემდეგ ხალხი ნაკლებად აფასებს მათ პიროვნულ მახასიათებლებს, განათლების დონესა თუ სხვა შესაძლებლობებს (*„მქონია მე ერთი შემთხვევა, როდესაც ჯერ ის გაიგეს, რომ სოციალურად დაუცველი ვიყავი და ჩემი პიროვნება მერე აღარ აინტერესებთ.., მდედრ., 19 წლის).*

სტიგმის დეფინიციებში მითითებულია, რომ სტიგმას ხშირად თანახალვს ვირტუალურ/სოციუმში კონსტრუირებულ სტიგმატიზებულ იდენტობასა და აქტულურ პიროვნულ იდენტობას შორის განსვლა. ამის მაგალითები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტების ნარატივშიც შეინიშნება. ისინი მიუთითებენ საზოგადოების წევრების წარმოდგენებზე, რომელთა მიხედვითაც სოციალურად დაუცველები უსუფთაო, „ბინძურ“, გაუნათლებელ, „ცუდად განვითარებად“ პიროვნებებად მიიჩნევიან. რესპონდენტები აღნიშნულ სტერეოტიპებს არ იზიარებენ, რაც ვირტუალურ და აქტუალურ იდენტობებს შორის არაკონგრუენტულობის მაჩვენებელია.

*„საშუალო და მაღალი ფენის წარმომადგენელ ადმიანებს ვეტყოდი, პირველ რიგში, არც დავფიქრდებოდი და პირდაპირ ვუპასუხებდი, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანები არიან ჩვეულებრივი ხალხი, ისევე როგორც სხვა, საშუალო ან მაღალი ფენის წარმომადგენლები. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანები, რაღაცა კარგად ვერ აზროვნებენ, რადგან ცუდად აცვიათ, მაგის გამო, ანუ, რადგან ცუდად აცვიათ, ცუდად უნდა შეხედონ, ეგ არასწორია. თუ ხალხს ჰგონიათ, რომ სოციალურად დაუცველი ვინც არის, გონებაშეზღუდულია, არ შეუძლიათ მუშაობა, პირიქით არის, ვინც ეგრე ფიქრობს, ის არის გონებაშეზღუდული, ვერ ხვდება, რა უნდა თქვას" (მამრ, 20 წლის).*

რომ შევაჯამოთ, სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური მოპყრობის აღქმის თემა მოიცავს სტატუსთან დაკავშირებული დისკრიმინაციისა თუ სხვა დამამცირებელი დამოკიდებულებების გამოცდილებებს; აგრეთვე, მასტიგმატიზებელ სტატუსთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ნეგატიური წინა რწმენის არსებობას.

ნეგატიური მოპყრობის აღქმისა და აღქმული სტერეოტიპების ანალიზი ავლენს, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი საზოგადოებაში „ნეგატიური სოციალური იდენტობის" შინაარსებით ვლინდება.

*<u>სტიგმის ინტერნალიზება</u>*

სტიგმის აღქმის მეორე ასპექტი, რომელიც ჩვენი შესწავლის საგანია, სტიგმის ინტერნალიზება და მასთან დაკავშირებით გამოვლენილი თემებია.

ტრანსკრიპტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტები, ერთი მხრივ, შეიძლება განიცდიდნენ ნეგატიური მოპყრობის და დამცირების შემთხვევებს. ხოლო, მეორე მხრივ, ინტერნალიზების შემთხვევაში, ამ გამოცდილებებს თავიანთ სირცხვილად, თავმოყვარეობის შელახვად და საკუთარი თავის „დაბალ დონეზე" დაცემად მიიჩნევდნენ.

*„არ არის ეს თავმოყვარეობისათვის მისაღები, რომ სოციალურად დაუცველი ხარ. არ მინდა, რომ ვიყო სოციალურად დაუცველი" (მდედრ, 57).*

*„წამალი მინდა, გუშინაც ბავშვი გავიდა, მეზობელს სთხოვა.* ***მრცხვენია.*** *რამდენჯერ ყოფილა ეგეთი რამე, მაგრამ გული მტკივა" (მდედრ, 44 წლის).*

სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონისათვის ნეგატიური მნიშვნელობების თავად სტატუსის მატარებლის მხრიდან მინიჭებას თანახლავს ნერვიულობისა და სხვა უარყოფითი ემოციების განცდაც. რესპონდენტები ხშირად მიუთითებენ დაბნეულობის, შიშის, გულის ტკივილის შესახებ. მსგავსი ნეგატიური ემოციების განცდა შეიძლება იწვევდეს პიროვნულ გაუფასურებასთან, თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებულ ემოციებს. ასეთ შემთხვევაში სოციალურად დაუცველის სტატუსის ტარება დეგრადირებულ მნიშვნელობას იძენს.

გაშინაგნებული ნეგატიური აზრები და ემოციები შეიძლება უკავშირდებოდეს თვითიზოლაციასაც. ინტერვიუებში გამოვლინდა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე შეიძლება თავს არიდებდეს საზოგადოების სხვა წევრებთან კონტაქტს მოსალოდნელი ნეგატიური მოპყრობის გამო. ამ დროს მათში ინტერნალიზებულია პოტენციური უარყოფისა და სტიგმატიზაციის მოლოდინი.

მოსალოდნელი სტიგმატიზაციის შიშთან ერთად გამოვლინდა დაბნეულობის განცდები, მომავლის უკეთესობისაკენ შეცვლის იმედის დაკარგვა და თვითდადანაშაულება (*„ბავშვი, რომ გეუბნება, დედა მინდა და რო არაფრის საშუალება არა გაქვს. . ."(მდედრ, 37 წლის)... (ტირება)).*

მაშასადამე, სტიგმის ინტერნალიზების დეფინიციის რელევანტური თემები ცალსახად გამოვლინდა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტებში (ფარსადანიშვილი & ქიტიაშვილი, *აღქმული სტიგმის კონსტრუქტის შესწავლა საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მაგალითზე, იბეჭდება*).

### 6.1.2. ექსპერტული შეფასების შედეგები

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლენილ შინაარსებზე დაყრდნობით ფორმულირდა 22 დებულება, რომელთა ექსპერტული შეფასება მოხდა შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტული შეფასების მონაცემების დამუშავების შედეგად, 11 დებულება ცალსახად მიეკუთვნებოდა სტიგმის ინტერნალიზებას, თანხმობის საკმაოდ მაღალი ხარისხით, 8 დებულება კი - ნეგატიური მოპყრობის აღქმას, ასევე, თანხმობის საკმაოდ მაღალი ხარისხით. ექსპერტებს შორის ორაზროვანი დამოკიდებულება გამოვლინდა 3 დებულებასთან მიმართებით, თუ რომელ განზომილებას მიეკუთვნებოდა ისინი. დებულების შინაარსისა და ექსპერტების აზრის გათვალისწინებით, მცირედ შეიცვალა ამ 3 დებულების ფორმულირება, რათა მეტად გასაგები ყოფილიყო გამოთქმული აზრი (კერძოდ, წინადადებების დასაწყისში ჩაემატება სიტყვები - „ვეთანხმები“, „ვფიქრობ“). შედეგად, სკალის პილოტირების ეტაპისათვის, ეს სამი დებულება დავტოვეთ და ვივარაუდეთ, რომ ასახავდა სტიგმის ინტერნალიზების კომპონენტს. აღნიშნული სამი დებულების მონაწილეობა სკალის ემპირიული შემოწმების შემდგომ საფეხურებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან ასახავდა სტერეოტიპებისადმი თანხმობის ელემენტს. როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნულის სკალაში ჩართვა და სტიგმის ინტერნალიზების კომპონენტად მოაზრება სიახლეა სტიგმის აღქმის სკალებში; ასევე, ამაზე ყოველთვის არ კეთდება აქცენტი სტიგმის ინტერნალიზების დეფინიციებისასაც; ამიტომ, სტერეოტიპებისადმი თანხმობის შემცველი დებულებების ემპირიული შემოწმება სტიგმის ინტერნალიზების თეორიული კონსტრუქტის ახალი შედეგებით გამდიდრებისათვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ. ექსპერტული შეფასების შედეგები წარმოდგენილია დანართში №2.

საპილოტე კვლევის ფარგლებში სკალის რომელიმე დებულების ამოღების საჭიროება არ დამდგარა. რესპონდენტებს ესმოდათ დებულებაში ასახული აზრი. ამასთანავე, ჩატარდა შინაგანი შეთანხმებულობის პირველადი შემოწმებაც, რამაც მაღალი კრონბახის ალფა აჩვენა, $\alpha$ = .88. გაანალიზდა თითოეული დებულების ამოღების შედეგად სკალის შინაგანი შეთანხმებულობის გაზრდის მაჩვენებლებიც; შედეგად, ამ ეტაპისათვის, სკალაში ყველა დებულება შენარჩუნდა.

### 6.1.3. სკალის ფაქტორული სტრუქტურა და შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები

პირველადი კომპონენტების ანალიზის (PCA) შედეგები

22 დებულებაზე ჩატარდა პირველადი კომპონენტების ანალიზი. თავდაპირველად, შემოწმდა მონაცემების შესაბამისობა. კორელაციების ცხრილმა აჩვენა, რომ 0.3-ზე მეტი იყო კომპონენტებს შორის კორელაცია. შესაბამისად, ბრუნვის მეთოდად ავირჩიეთ Oblimin with Kaiser Normalization. Kaiser-Meyer-Olkin (KMO) = .9. რაც რეკომენდირებულ მაჩვენებელზე - 0.6 - ზე - მაღალია (Pallant, 2013). სტატისტიკურად მნიშვნელოვანია Bartlett's test of sphericity, $p < .05$, რაც ადასტურებს მონაცემების ფაქტორებად დაყოფის მიზანშეწონილობას. ფაქტორების რაოდენობის შესახებ დასკვნის გასაკეთებელად დავეყრდენით Kaiser's criterion (eigenvalues 1 - ზე მაღალი), screeplot-ის გრაფიკს, ამასთანავე, ჩავატარეთ parallel analysis (MonteCarlo PA), რამაც ასევე აჩვენა, რომ იგივე ზომის შემთხვევითად გენერირებული მონაცემებიდან, მხოლოდ ორი კომპონენტის eigenvalue აღემატებოდა შესაბამის კრიტერიალურ მნიშვნელობას (22 ცვლადი, 263 რესპონდენტი).

გამოყოფილი ორი ფაქტორი ხსნიდა ვარიაბელობის 44.9%-ს (37%, 7.96%). გარკვეული დებულებების ამოღების მერე ეს მაჩვენებელი გაიზარდა და მიაღწია 48.5%-ს (38.7%, 9.7%). ანალიზში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ის დებულებები, რომელთა ფაქტორული დატვირთვა .3 ან მეტი იყო. დებულებების ანალიზის შემდეგ სკალიდან ამოღებულ იქნა ხუთი დებულება.

მე-3 და მე-15 დებულებები არცერთ ფაქტორს არ შეესაბამებოდა (*არასოდეს მიგრძვნია თავი დამცირებულად იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს; ვფიქრობ, სხვა ადამიანები სწორად ფიქრობენ იმის შესახებ, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეები ზარმაცები არიან*). მე-14 დებულებას ყველაზე დაბალი ფაქტორული წონა ჰქონდა (.3) – (*აღარ მჯერა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსს ოდესმე თავს დავაღწევ*). ასევე, სკალიდან იქნა ამოღებული ორი ორმაგი დატვირთვის მქონე დებულებაც; კერძოდ, მე-16 დებულება (*ყოფილა შემთხვევები, როდესაც სხვებს ჩემთან ურთიერთობისთვის თავი აურიდებიათ იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს* - .5 და .3 ფაქტორული წონებით) და მე-18

დებულება (*თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვერ ვგრძნობ იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს*, .47 და .32 ფაქტორული წონებით).

შედეგად, სკალაში დარჩა 17 დებულება. დებულებები მოცემულ ორ კომპონენტზე საკმაოდ მაღალი ფაქტორული წონებით განლაგდა. პრინციპული კომპონენტების ანალიზმა გამოავლინა სკალის ორ-ფაქტორიანი სტრუქტურა, რომელთაგანაც ერთს ნათლად შეესაბამება ნეგატიური მოპყრობის აღქმის შინაარსის ამსახველი დებულებები, მეორეს კი - სტიგმის ინტერნალიზების.

**ცხრილი №6. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის სკალა: პირველადი კომპონენტების ანალიზი (PCA) (1 - ნეგატიური მოპყრობის აღქმა, 2 - სტიგმის ინტერნალიზება; ფაქტორზე ძირითადი დატვირთვები აღნიშნულია მუქად. *დებულებები მოცემულია შემოკლებულად*).**

| დებულება | Pattern coefficients | | Structure coefficients | | Com. | M (SD) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 1 | 2 | | |
| **q17_7** გამიგია, რომ ადამიანები ჩემს ზურგსუკან უარყოფითად საუბრობენ. | **.850** | .083 | **.809** | .333 | .660 | 2.85 (2.21) |
| **q17_2** ადამიანები ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენენ ჩემდამი. | **.826** | -.104 | **.775** | .301 | 610 | 3.02 (2.26) |
| **q17_20** პირადად ჩემთვის დაუცინიათ. | **.763** | -.023 | **.752** | .350 | .566 | 2.36 (2.02) |
| **q17_11** სხვა ადამიანების თანასწორად არ მექცევიან. | **.716** | -.009 | **.712** | .341 | .507 | 2.46 (2.0) |
| **q17_5** მეშინია, რომ სხვებმა შეურაცხყოფა არ მომაყენონ. | **.662** | .017 | **.684** | .396 | .450 | 2.63 (2.10) |
| **q17_4** სხვები ზემოდან მიყურებენ. | **.645** | .080 | **.670** | .341 | .473 | 3.12 (2.28) |
| **q17_9** ოჯახის წევრი განერვიულებული მოსულა. | **.628** | .053 | **.661** | .456 | .429 | 2.71 (2.28) |
| **q17_6** მირჩევნია, რომ გარეთ სხვებს ნაკლებად ვეკონტაქტო. | **.578** | .097 | **.654** | .360 | .398 | 2.85 (2.24) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **q17_10** ადამიანებს ჩემი მოტყუება უცდიათ. | **.576** | .174 | **.625** | .380 | .460 | 2.89 (2.33) |
| **q17_12** სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები შედარებით გაუნათლებელი არიან. | .004 | **.792** | .391 | **.793** | .630 | 2.87 (2.21) |
| **q17_22** თავს ზოგჯერ დამნაშავედ ვგრძნობ. | .015 | **.745** | .380 | **.753** | .567 | 3.49 (2.46) |
| **q17_17** მართალია, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებს წარმატების მიღწევა ნაკლებად შეუძლიათ. | .023 | **.684** | .358 | **.695** | .484 | 3.20 (2.34) |
| **q17_13** საზოგადოების სხვა წევრებისაგან განსხვავებულად ვგრძნობ. | .195 | **.638** | .507 | **.733** | .567 | 3.03 (2.31) |
| **q17_1** ხანდახან მრცხვენია იმის გამო, რომ. | .085 | **.629** | .393 | **.670** | .455 | 3.95 (2.50) |
| **q17_8** იმ ადამიანებს გარკვეულწილად ვეთანხმები, რომლებსაც დაუცველის სტატუსის მქონეები უსუფთაოები. | .256 | **.483** | .492 | **.608** | .419 | 2.57 (2.14) |
| **q17_21** მირჩევნია სხვებმა არ გაიგონ, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მაქვს. | .276 | **.464** | .503 | **.599** | .417 | 3.12 (2.27) |
| **q17_19_recode**_არ ვნერვიულობ, რომ. | -.123 | **.449** | .097 | **.389** | .162 | 4.68 (2.41) |

აღსანიშნავია, რომ სტერეოტიპების თანხმობის/გაზიარების ამსახველი დებულებები მოხვდა სტიგმის ინტერნალიზების განზომილებაში, საკმაოდ მაღალი ფაქტორული დატვირთვის მაჩვენებლებით (ფარსადანიშვილი & ქიტიაშვილი, *აღქმული სტიგმის კონსტრუქტის შესწავლა საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მაგალითზე, იბეჭდება*).

<u>დამადასტურებელი (კონფირმატორული) ფაქტორული ანალიზის (CFA) შედეგები</u>

სტიგმის აღქმის მოდელის ფაქტორული სტრუქტურის ემპირიული შემოწმების მიზნით ჩატარდა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი, პროგრამაში - lavaan: R-ის პროგრამა სტრუტურული განტოლების მოდელისათვის (დაკვირვებადი მონაცემების რაოდენობა - N=250. გამოტოვებული მონაცემების პრობლემასთან გასამკლავებლად გამოვიყენეთ listwise deletion, გამოტოვებული მონაცემების რაოდენობა - 13).

მოდელის გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა შეფასების მაქსიმალური ალბათობის მოდელი. მთლიანი მოდელის მორგება (model fit), თავდაპირველად, ხი-კვარდატის სტატისტიკური კრიტერიუმის მიხედვით ფასდება. მონაცემების მიხედვით, $\chi^2$ (118)=289.4, $p$ =.000. მოდელის მორგების დასადასტურებლად, ჩვენ უნდა მივიღოთ ნულოვანი ჰიპოთეზა, შესაბამისად, მნიშვნელოვნების დონე უნდა იყოს .05-ზე მეტი. ამ შემთხვევაში, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა. ეს ხშირი შემთხვევაა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზისას კვლევებში, რადგან ხი-კვადრატი, როგორც არაპარამეტრული სტატისტიკური კრიტერიუმი, მგრძნობიარეა შერჩევის მოცულობის მიმართ (Bentler & Bonnet, 1980). ის ადვილად მცირდება 150 შემთხვევაზე მეტისას, ასე რომ, მოდელის მორგების შესაფასებლად ალტერნატიული ინდექსების შემოწმებაა რეკომენდებული. მოდელის მორგების შესაფასებლად, სულ მცირე, შემდეგი მაჩვენებლების მითითებაა რეკომენდებული: ხი-კვადრატი, RMSEA, CFI, SRMR (Kline, 2005). სტიგმის აღქმის მოდელის შემთხვევაში, შედარებითი მორგების ინდექსი - CFI=.894; ტუკერ-ლუისის ინდექსი - TLI=.877; მიახლოების საშუალო კვადრატის შეცდომა - RMSEA=.07; SRMR=.060. ბოლო კვლევების მიხედვით, კარგი მორგების შემთხვევაში, CFI≥.9, იგივეა, TLI -ის დროსაც. ჩვენს შემთხვევაში CFI და TLI უახლოვდება .9-ს. რაც შეეხება RMSEA-ს, .08-ზე ნაკლები მაჩვენებლი მიუთითებს აბსოლუტურ მორგებაზე, .08-და .10-ს შორის კი - საშუალო მორგებაზე (Awang, 2015; Hooper, Coughlan & Mullen, 2008). სტიგმის აღქმის მოდელის შემთხვევაში, მაჩვენებელი .08-ზე ნაკლებია, რაც აბსოლუტურ მორგებაზე მიუთითებს. SRMR -ის შემთხვევაშიც, 0.08-ზე ნაკლები მაჩვენებელი მიუთითებს კარგ მორგებაზე (ჩვენს შემთხვევაში SRMR=.060). (Kline, 2005; Hooper, Coughlan & Mullen,

2008). შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კვლევის მონაცემებს მოდელი მისაღებად ერგება.

**ილუსტრაცია №4. ორ-ფაქტორიანი სტიგმის აღქმის მოდელი (CFA) (აგებულია lavaan: R-ის პროგრამა სტრუქტურული განტოლების მოდელისათვის).**




### 6.1.4. სტიგმის აღქმის მოდელი: სკალის შინაგანი შეთანხმებულობისა და აღწერითი სტატისტიკის მაჩვენებლები

მთლიანი სკალისა და მისი ცალკეული განზომილებების სანდოობის ანალიზის შედეგად გამოვლინდა მაღალი შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხი. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის მთლიანი სკალის შემთხვევაში $\alpha = .89$; (17 დებულება); ნეგატიური მოპყრობის აღქმის ქვესკალის $\alpha = .87$ (9 დებულება), ხოლო სტიგმის ინტერნალიზების $\alpha = .82$ (8 დებულება).

ნეგატიური მოპყრობის აღქმისა და სტიგმის ინტერნალიზების განზომილებებზე ქულები ვარირებდა 1-დან 7-მდე, ($M$ = 2.7, $SD$ = 1.5; Skewness = .76; Kurtosis = -.39; $M$ = 3.4, $SD$ =1.5; Skewness = .50; Kurtosis = -.69). მთლიანად სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული აღქმის სტიგმის სკალის შემთხვევაშიც ქულები იცვლებოდა 1-დან 7-მდე ($M$ =3.02, $SD$ =1.3).

ნეგატიური მოპყრობის აღქმისა და სტიგმის ინტერნალიზების ფაქტორებს შორის გამოვლინდა საშუალო სიძლიერის კორელაცია, $r$ =.594. $p$ <.01.

## 6.2. ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები: თვისებრივი კვლევის, სკალის ექსპერტული შეფასებისა და ფსიქომეტრული ანალიზის შედეგების აღწერა

### 6.2.1. თვისებრივი კვლევის შედეგები

დედუქციური თემატური ანალიზის მიდგომით, ტრანსკრიპტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ტაჯფელისა და ტერნერის (1978) თეორიაში დახასიათებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის შემდეგი ორი სტრატეგია: სოციალური კრეატულობა და ინდივიდუალური/სოციალური მობილობა. ამას გარდა, ტრანსკრიპტების ანალიზის შედეგად, ინდუქციური თემატური ანალიზით, გამოიკვეთა კიდევ ერთი სტრატეგია, რომელსაც შიდა ჯგუფური შეჭიდულობის ზრდა ვუწოდეთ. აღნიშნული სტრატეგია სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით, გაჭირვებისა და სხვა სირთულეების კოლექტიური ძალისხმევის შედეგად გადალახვითა და უფრო მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის ჯგუფის წევრებთან კონტაქტების შეზღუდვით ხასიათდება.

**სოციალური კრეატულობის სტრატეგიები**

სოციალური კრეატულობის სტრატეგიები გულისხმობს სოციალური შედარების კონტექსტის ისე შეცვლას, რომ დაბალი სტატუსის ჯგუფის წევრობასთან დაკავშირებული თვითხატი ამაღლდეს. ინტერვიუების ანალიზის შედეგად, სოციალური კრეატულობის სტრატეგიების ქვეშ გაერთიანდება ისეთი თემები, როგორებიცაა: დაბალი სტატუსის განმსაზღვრელი ატრიბუტის (ამ შემთხვევაში ნაკლები ფულის, სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონა) მნიშვნელოვნობის დონის შემცირება სხვა, უფრო დადებითი მახასიათებლებისათვის მეტი უპირატესობის მინიჭების, მათი წინ წამოწევის ხარჯზე; შიდა ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარება (საკუთარი ჯგუფის წევრებთან შედარებით საკუთარი უპირატესობის ხაზგასმა); გარე ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარება (გარე - უფრო მაღალი სტატუსის ჯგუფთან შედარებისას ისეთი მაკომპენსირებელი განზომილებების მიხედვით სოციალური შედარება, რომ საკუთარი ჯგუფის სტატუსი

ამაღლდეს; სხვა ისეთი მახასიათებლების მოძებნა, რომელთა მიხედვით შედარებისასაც საკუთარი ჯგუფი უფრო დადებითად წარმოჩინდება); დაბალი სტატუსის ატრიბუცია ექსტერნალურ ფაქტორებზე.

ორ დამოუკიდებელ შემფასებელს შორის თემატური ანალიზისას მცირედი განსვლა გამოვლინდა გარე ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარებისა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის გაზრდის თემებს შორის. მეორე შემფასებელი ამ ორ კატეგორიას იგივეობრივად აღიქვამდა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თემებად უნდა განვიხილოთ. ზოგიერთ შემთხვევაში მათი აღრევა უკავშირდება იმას, რომ ორივე სტრატეგიისას ადგილი აქვს საკუთარი ჯგუფის დადებითი მახასიათებლებით შეფასებას - შიდა ჯგუფურ ფავორიტიზმს. თუმცა, გარე ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარება საკუთარი ჯგუფის წევრებთან მჭიდრო კონტაქტებს და მდიდრებისაგან განრიდებას შეიძლება არ გულისხმობდეს. ადამიანები ამ შემთხვევაში შეიძლება არ გამოეყოფოდნენ უფრო მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის ჯგუფს, არამედ უბრალოდ კოგნიტურ დონეზე აწერდნენ უარყოფით მახასიათებლებს. შიდა ჯგუფური შეჭიდულობის ზრდას კი ყოველთვის თან ახლავს „ჩვენ“ და „ისინ“-ის მკვეთრად განსაზღვრული ჯგუფების არსებობა და გარე ჯგუფთან ურთიერთობების მინიმიზირება საკუთარი სტატუსის მქონე ადამიანებთან კონტაქტების გაზრდის ხარჯზე. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ადამიანი იყენებდეს როგორც შიდა ჯგუფური შეჭიდულობის ზრდას, ასევე, მიმართავდეს გარე ჯგუფურ დაღმავალ სოციალურ შედარებებს.

სოციალურად დაუცველის სტატუსი საზოგადოებაში დაბალ სოციოეკონომიკურ, ნეგატიურ სტატუსად მიიჩნევა, როგორც ეს რესპონდენტების მიერ მასტიგმატიზებელი გამოცდილებების შესახებ საუბრიდან ჩანს. მათი აღქმის მიხედვით, აღნიშნული სტატუსი შეიძლება მათს პიროვნებას საზოგადოებაში არც ისე სასურველს ხდიდეს. თუმცა, ზოგიერთი რესპონდენტის ნარატივში ვლინდება სტატუსის უარყოფითი მნიშვნელობის სხვა ასპექტებით გადაფარვა, გარკვეული კომპენსაცია. ისინი სოციალურად დაუცველის სტატუსის ტარებას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ და ხაზს უსვამენ ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა განათლების

ქონა, ინტელექტი, „სულით სიმდიდრე“, მოსაწონი პიროვნული თვისებების ქონა, პატიოსნება.

*„ადამიანი იმით არ განსხვავდება, რა აქვს, ან რა აცვია. ადამიანი განსხვავდება რა იცის და თვითონ რა გააჩნია, შინაგანად“ (მამრ, 20 წლის).*

ასეთ მსჯელობებს უკავშირდება ხოლმე ფულის, როგორც მატერიალური ღირებულების მქონე ობიექტის გარკვეულწილად გაუფასურებაც.

*„იცი როგორ არის?! ჩემთვის დისკომფორტს არასოდეს ქმნიდა ეს სტატუსი. რადგან ჩემთვის ფული არასოდეს ყოფილა არც მეგობრობაში მნიშვნელოვანი, არანაირ ურთიერთობაში ჩემთვის მნიშვნელოვანი არ ყოფილა“ (მდედრ, 19 წლის).*

საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობაში ცალსახად გამოვლინდა შიდა ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარების სტრატეგია. ამ სტრატეგიის მიმართვისას ისინი სოციალური შედარების სამიზნედ იყენებენ მათივე ჯგუფის წევრებს, სხვა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანებს; თუმცა, ედარებიან მათზე უფრო უარყოფით მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს. შიდა ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარების სამიზნეებად ვლინდებიან უფრო მეტად გაჭირვებული და ღარიბი სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებლები; ასევე, ის სოციალურად დაუცველები, რომლებსაც, რესპონდენტების აღქმით, მათზე უფრო ნაკლები განათლება გააჩნიათ, ან, ნაკლები შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. უფრო ხშირად და ცალსახად ვლინდებოდა ნაკლები მატერიალური შესაძლებლობების განზომილების მიხედვით შედარება, იმ ადამიანების ხსენება, ვისაც „საჭმლის ფულიც კი არ აქვთ“.

კვლევის მონაწილეების ნარატივში გამოვლინდა გარე ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარებებიც. ამ დროს, ისინი სოციოეკონომიკური სტატუსით შეძლებულ ადამიანებს ედარებიან არა მატერიალური, არამედ სხვა განზომილებების მიხედვით. ისინი ცდილობენ იპოვონ მათსა და მდიდრებს შორის ისეთი განმასხვავებელი შესადარებელი ასპექტი, რომლითაც საკუთარი ჯგუფი მეტად პოზიტიურად წარმოჩინდება. ესაა მდიდრებთან ისეთი მაკომპენსირებელი

მახასიათებლების მიხედვით შედარება, რაც გარე ჯგუფის ხატის დაკნინებასა და საკუთარი ჯგუფის დადებითი სოციალური იდენტობის შექმნას შეუწყობს ხელს (*„ღარიბებს უფრო დიდი სული გვაქვს და დიდი ის, ვიდრე მდიდრებს. სულითა ვართ მდიდრები, თორემ ფინანსურად ისე არა“, მდედრ, 51წ).* კერძოდ, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტების თქმით, პიროვნული თვისებებითა და ღირსებებით ისინი მდიდრებზე მაღლა დგანან. განსაკუთრებით მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ მდიდრები, მათთან შედარებით, ცივი ხასიათით გამოირჩევიან.

*„მე მაგალითად, რომ მკითხო, მდიდარი, ხო, ბევრი ფული ვისაც აქვს, ითვლება მდიდრად, მაგრამ სულით თუ არა ხარ მდიდარი, მდიდარი ვერასოდეს ვერ იქნები. დროებითია ყველაფერი. კიდეც მქონია, კიდეც არა მქონია. და, ეს ცხოვრება ესეა აწყობილი რა. მე, მაგალითად, მაგით არ ვაფასებ ადამიანს, რომ იმას ბევრი ფული აქვს, მდიდარია, აი, რა მაგარი ვინმეა. არ ვაფასებ მაგით. შეიძლება ის გაჭირვებული ღარიბია, მაგრამ სულით მდიდარია და ის უფრო დაფასებული იყოს, ვიდრე ის ბევრი ფულის პატრონი“ (მდედრ, 52წ.).*

სოციალური კრეატულობის სტრატეგიების ჯგუფში გაერთიანდა დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის გარე ფაქტორებზე ატრიბუციასთან დაკავშირებული თემაც, რადგან ნეგატიური თვითხატის გასაუმჯებესებლად კოგნიტურ დონეზე მოქმედებს. ამ თემაში გაერთიანებულია რესპონდენტების მიერ დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის ტარების გარე ფაქტორებთან/ბარიერებთან დაკავშირება. ერთი მხრივ, ისინი თავიანთ გაჭირვებულ მდგომარებას ხსნიან სამსახურების ნაკლებობით/არ არსებობით, ან/და ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობით. მეორე მხრივ, რესპონდენტები, სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონას ცხოვრებისეულ შემთხვევითობად მიიჩნევენ და ბედისწერას უკავშირებენ.

*„ჩვეულებრივი მოვლენაა, ადამიანს ეგ მომენტი ან დაუდგება, ან არა. ადამიანს ხომ არ სიამოვნებს, ამ დახმარებას რომ იღებს. უბრალოდ ცხოვრებამ მოუტანა ეს და სანამ ისეთ რაღაც სამსახურს იშოვის ან ალტერნატიულ გზას, რომ თავი ირჩინოს, უნდა ჰქონდეს, იმიტომ რომ კანონით აქვს ეს უფლება მინიჭებული“ (მამრ, 24 წლის).*

სოციალური კრეატულობის სტრატეგიებში შევიდა, აგრეთვე, სხვათა მხრიდან გამოვლენილი ნეგატიური დამოკიდებულებების გაუფასურებასთან დაკავშირებული შინაარსები. რესპონდენტები ცდილობენ სხვების მხრიდან გამოვლენილ ნეგატიურ დამოკიდებულებებს გაუმკლავდნენ არა პირდაპირი კონფრონტაციით, არამედ უგულებელყოფით. ისინი ცდილობენ, თავიანთი პოზიტიური თვითხატის შესაქმენელად და შესანარჩუნებლად თავიანთ რწმენებს დაეყრდნონ; მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონეთა წარმოდგენებს კი ყურადღება არ მიაქციონ. ასეთი მიდგომა მათ სოციალურად დაუცველის სტატუსის ტარებასთან ერთად, დროთა განმავლობაში, ადაპტაციის მიზნით გამოუმუშავდათ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათდამი სხვების დამოკიდებულებებისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭების შემთხვევაში, მათი ნერვიულობა და სხვა ნეგატიური ემოციები მატულობს; ამიტომ, გამოიმუშავეს უნარი იმისა, თუ როგორ უგულებელყონ სხვათა აზრი.

*„თავიდან ძალიან განვიცდიდი და ვნერვიულობდი ამ სტატუსის გამო. ასაკის მატებასთან ერთად გადავლახე ეს. ახლა აღარ მადარდებს სხვების აზრები, რას ლაპარაკობენ. ადრე ვტიროდი ხოლმე. ახლა მივხვდი, რომ არ უნდა მადარდებდეს, ვინ რას ლაპარაკობს“*

*(მდედრ. 22 წლის).*

**ინდივიდუალური/სოციალური მობილობის სტრატეგია**

ინდივიდუალური/სოციალური მობილობა ტაჯფელისა და ტერნერის თეორიაში აღწერილი ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიათაგან ერთ-ერთია. ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიასთან დაკავშირებული თემა გამოვლინდა საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობაში.

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონას ერჩივნათ, რომ თუნდაც მცირე შემოსავლიანი საკუთარი სამსახური და თავიანთი სამყოფი სახსრები ჰქონოდათ. ზოგიერთი მათგანი ამ მიზნით აქტიურად ცდილობს განათლების ამაღლებას, სხვადასხვა ტიპის სამსახურის პოვნას და ამ გზით

სოციოეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესებას. მათთვის სახლში პასიურად ჯდომა და „სხვისი შემყურეობა“ მიუღებელია.

*„ჯერ ეგ ერთი, ყველა ღმერთმა დაიფაროს, მაგ დონეზე რომ მივიდეს შენი თავი, თავი არ უნდა შეიცოდო, რომ სოციალურად დაუცველი ხარ, პირიქით, რაღაცა გეგმა უნდა გქონდეს, უნდა ისწავლო, აი, როგორც მე, მაგალითად, სტიპენდიას ვიღებ და სულ სახლში არ უნდა იჯდე და ხელფეხდაკრეფილი არ უნდა იჯდე. შუბლზე ხო არ გაწერია, რომ გიჭირს და სახლში ხომ არ მოვლენ და ვთქვათ აი სამსახური“ (მამრ, 20 წლის).*

## შიდა ჯგუფური შეჭიდულობის გაზრდა

შიდა ჯგუფური შეჭიდულობის გაზრდის სტრატეგია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინდუქციური თემატური ანალიზის შედეგად გამოვავლინეთ. მასში გავაერთიანეთ რესპონდენტების მიერ გადმოცემული შინაარსები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანებთან ძლიერი შეჭიდულობის, გაძლიერებული კონტაქტებისა და ერთმანეთის მატერიალური თუ სოციალური მხარდაჭერის შესახებ. რესპონდენტები, ასევე, მიუთითებენ მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანებთან კონტაქტისაგან თავის არიდებაზე, მათთან ურთიერთობების სურვილის არქონაზე.

*„აქ ერთნაირი ხალხი ვცხოვრობთ. მდიდრები არ გვინდა“ (მდედრ, 64 წლის).*

ამასთან ერთად, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათსა და მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანებს შორის ძლიერი განსხვავებები არსებობს; ეს კი მათ შორის ურთიერთგაგებას შეუძლებელს ხდის და ურჩევნიათ, ნაკლები შეხება ჰქონდეთ. მათი აზრით, მდიდრები ვერ გაუგებენ, რადგან არ შეუძლიათ განიცადონ ეკონომიკურ სიდუხჭირესთან დაკავშირებული მათი საწუხარი. მათთვის რთულია, რომ ზუსტად შეაფასონ გაჭირვება სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების პერსპექტივიდან.

„ჩვენ“ და „ისინი“ ჯგუფებად დაყოფას კიდევ უფრო თვალისაჩინოს ხდის დაბალი და მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფებს შორის პიროვნული მახასიათებლების, თვისებების თვალსაზრისით განსხვავებაზე მითითებაც. აღნიშნულ თემას ზემოთ შევეხეთ გარე ჯგუფური დაღმავალი სოციალური შედარების სტრატეგიის შესახებ საუბრისას. შიდა ჯგუფური შეჭიდულობისას კი რესპონდენტები უფრო მეტად მიუთითებენ ღირებულებებს, ინტერესებს შორის სხვაობაზე.

*„მდიდრებს სხვანაირი შეხედულება აქვთ უფრო, ვერ გავუგებთ. აი, გინდაც, სკოლაში რომ დგანან და ბავშვებს ელოდებიან, ჩაცმულობაზე ლაპარაკობენ. როცა ჩემთვის ეს სულერთია. მთავარია, ადამიანი მთლად ტიტველი არ იყოს. ისინი მოდაზე ლაპარაკობენ, უიმე, ამას როგორ ჩავიცვამ და იმას როგორ ჩავიცვამ და... ყველა თემაზე იმას სულ სხვანაირი შეხედულება აქვს და შენ სულ სხვანაირი“ (მდედრ, 37 წლის).*

სოციალურ კლასებს შორის აღქმული განსხვავებების გამოკვეთასთან ერთად, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე რესპონდენტები არ ელიან მდიდრებისაგან რაიმე სახის დახმარებას. ამას თან ერთვის პოტენციური სტიგმატიზაციის შიშიც.

ვფიქრობთ, აღნიშნული ქცევითი სტრატეგია შესაძლებელია განვიხილოთ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვისათვის მოქმედ სტრატეგიად, რადგან ერთად შეკვრითა და ერთმანეთის დახმარების გზით, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეები ცდილობენ გაუმკლავდნენ ყოფით პრობლემებს, მათთვის მისაღებ სოციალური მხადაჭერის ქსელს იქმნიან და სტიგმატიზაციის წყაროს არიდებენ თავს. ასევე, მაღალი სოციო-ეკონომიკური კლასის წარმომადგენლებისაგან კონტაქტის გაწყვეტით არ უშვებენ თავიანთ აღქმამდე ცხოვრების იმ ალტერნატივას, რომელსაც სხვები მიჰყვებიან და რომელთან ხელმიუწვდომლობის აღქმაც მათთვის მტკივნეულია.

გასათავალისწინებელია, რომ მოცემული ქცევითი სტრატეგია საზოგადოების დაბალ და მაღალ სოციო-ეკონომიკურ კლასებს შორის დისტანციას კიდევ უფრო მეტად ზრდის.

### 6.2.2. ექსპერტული შეფასების შედეგები

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლენილ შინაარსებზე დაყრდნობით ფორმულირდა 30 დებულება.

ექსპერტული შეფასების მონაცემების დამუშავების შედეგად, ორი დებულება საერთოდ ამოვიღეთ სკალიდან, ორაზროვანი შეფასებების გამო (*ჩემდამი სხვების უარყოფით დამოკიდებულებას ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან მათ არ გამოუცდიათ გაჭირვება; .ყურადღებას არ ვაქცევ სხვების უარყოფით რეაქციებს ჩემს სტატუსთან დაკავშირებით, რადგან მთავარია მხოლოდ ჩემი აზრი*). სოციალური კრეატულობის სტრატეგიას მიეკუთვნა 17 დებულება, ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიას - 5, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიას კი - 6. რამდენიმე დებულების ფორმულირება, ექსპერტების რჩევით, მცირედით შეიცვლა და 28 დებულებიანი სკალა იქნა ჩართული საპილოტე კვლევაში. ექსპერტების მიერ შეფასებული დებულებების ანალიზი მოცემულია დანართში №2 .

### 6.2.3. სკალის ფაქტორული სტრუქტურა და შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები

<u>პირველადი კომპონენტების ანალიზის (PCA) შედეგები</u>

28 დებულებაზე ჩატარდა პრინციპული კომპონენტების ანალიზი. თავდაპირველად, შემოწმდა მონაცემების შესაბამისობა. კორელაციების ცხრილმა აჩვენა, რომ კომპონენტებს შორის კორელაციის კოეფიციენტი იყო დაბალი (.257). ასეთ დროს ვარიმაქსისა და ობლიმინის ბრუნვის მეთოდებს შორის შედეგებში მნიშვნელოვან განსხვავებებს არ უნდა ველოდეთ, ამიტომ გამოვიყენეთ Oblimin with Kaiser Normalization. Kaiser-Meyer-Olkin (KMO) = .77, რაც რეკომენდირებულ მაჩვენებელზე - 0.6 - ზე - მაღალია (Pallant, 2013). სტატისტიკურად მნიშვნელოვანია Bartlett's test of sphericity, $p < .05$, რაც ადასტურებს მონაცემების ფაქტორებად დაყოფის მიზანშეწონილობას. ფაქტორების რაოდენობის შესახებ დასკვნის გასაკეთებელად დავეყრდენით Kaiser's criterion (eigenvalues 1 - ზე მაღალი), screeplot-ის გრაფიკს, ამასთანავე, ჩავატარეთ parallel analysis (MonteCarlo PA). შესაბამისად, გადაწყვეტილ იქნა სამი კომპონენტის გამოყოფა.

გამოყოფილი სამი ფაქტორი ხსნიდა ვარიაბელობის 35.47%-ს (18.4%, 10.5%,6.5%). გარკვეული დებულებების ამოღების მერე ეს მაჩვენებელი გაიზარდა და მიაღწია 44.6%-ს (21.3%, 14.1%, 9.1%.). დებულებების ანალიზის შემდეგ სკალიდან ამოღებულ იქნა 11 დებულება. აქედან ერთს ერთმანეთისაგან საკმაოდ მცირე ინტერვალებით დაშორებული დატვირთვა ჰქონდა სამივე ფაქტორზე (მე-17 დებულება: *სხვა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებთან შედარებით მე უკეთეს მდგომარეობაში ვარ, რადგან მათზე განათლებული ვარ*). დანარჩენი დებულებების სკალიდან ამოღებისას გათვალისწინებული იყო ფაქტორებზე ორმაგი დატვირთვა, მცირე ფაქტორული წონა და სტრატეგიის განზომილებასთან მიმართებით მათი შინაარსობრივი შესაბამისობის გაანალიზება (ასეთია დებულებებია: 1, 2, 4, 5, 6,11,12,14, 15, 23). შედეგად, სკალაში დარჩა თხუთმეტი დებულება. აქედან 4 დებულება უკავშირდება ინდივიდუალური მობილობის ფაქტორს, 5 დებულება ეხება შიდა ჯგუფური შეჭიდულობის ფაქტორს, 6 დებულება კი - სოციალურ კრეატულობის სტრატეგიას.

**ცხრილი №7. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სკალა: პირველადი კომპონენტების ანალიზი (PCA) (1 - კრეატულობა , 2 - შიდა ჯგუფური შეჭიდულობა 3 - ინდ. მობილობა; ფაქტორზე ძირითადი დატვირთვები აღნიშნულია მუქად.** ***დებულებები მოცემულია შემოკლებულად*****).**

| დებულება | Pattern coefficients | | | Structure coefficients | | | Com | M (SD) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 1 | 2 | 3 | | |
| **q18_25** სოციალურად დაუცველის სტატუსში ცუდი არაფერია. | **.797** | .065 | -.189 | **.750** | .158 | .038 | .601 | 5.38 (2.08) |
| **q18_21** სოციალურად დაუცველის სტატუსში ნეგატიურს ვერაფერს ვხედავ. | **.682** | .024 | -.039 | **.674** | .105 | .156 | .456 | 5.34 (2.11) |
| **q18_3** სამაგიეროდ მათზე თბილი ადამიანები ვართ. | **.639** | .254 | - .114 | **.637** | .330 | .069 | .483 | 5.00 (2.16) |
| **q18_9** მთავარია, არამედ რამდენად პატიოსანი ხარ. | **.596** | -.067 | .166 | **.636** | .003 | .336 | .434 | 6.13 (1.57) |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **q18_27** ადამიანურ ურთიერთობებში უფრო მეტად მნიშვნელოვანია ურთიერთგაგება. | **.549** | -.054 | .220 | **.605** | .111 | .377 | .414 | 5.57 (1.90) |
| **q18_7** ადამიანებთან ურთიერთობებისათვის ფული მნიშვნელოვანი არ არის. | **.510** | -.220 | .178 | **.535** | -.159 | .323 | .365 | 4.67 (2.29) |
| **q18_26** ჩემნაირ ხალხთან ურთიერთობა მირჩევნია. | .140 | **.790** | -.161 | .187 | **.806** | -.119 | .682 | 3.73 (2.34) |
| **q18_22** მირჩევნია ისევ სოციალურად დაუცველს ვეურთიერთო. | -.093 | **.722** | -.102 | -.031 | **.760** | -.128 | .603 | 3.79 (2.25) |
| **q18_13** სოციალურად დაუცველები მდიდრებთან კონტაქტს ვერიდებით. | -.066 | **.597** | .009 | .066 | **.589** | - .009 | .351 | 3.28 (2.22) |
| **q18_28** დაუცველ ადამიანებს თავი უფრო ერთმანეთის დახმარებით გაგვაქვს. | .067 | **.577** | .239 | .203 | **.585** | .259 | .413 | 4.59 (2.19) |
| **q18_20** სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები ძალიან განვსხვავდებით მდიდრებისგან. | .047 | **.560** | .162 | .159 | **.566** | .177 | .353 | 4.71 (2.20) |
| **q18_24** ვცდილობ ბევრი ვიმუშავო. | -.055 | .074 | **.748** | .167 | .069 | **.733** | .544 | 4.99 (2.12) |
| **q18_10** ვცდილობ, რომ საკუთარი შემოსავალი მქონდეს. | .048 | .029 | **.714** | .255 | .036 | **.727** | .532 | 5.55 (1.93) |
| **q18_19** ვცდილობ, ჩემმა შვილებმა კარგად ისწავლონ. | -.033 | -.044 | **.728** | .170 | -.047 | **.718** | .519 | 5.58 (2.01) |
| **q18_18** სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებს აქტიური მოქმედებებით შეგვიძლია. | .105 | .062 | **.640** | .295 | .075 | **.670** | .464 | 4.47 (2.19) |

## <u>დამადასტურებელი (კონფირმატორული) ფაქტორული ანალიზის (CFA) შედეგები</u>

ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების მოდელის ფაქტორული სტრუქტურის ემპირიული შემოწმების მიზნით ჩატარდა დამადასტურებელი (კონფირმატორული) ფაქტორული ანალიზი, პროგრამა IBM SPSS Amos 19-ის გამოყენებით. მთლიანი მოდელის მორგება (model fit), თავდაპირველად, ხი-კვარდატის სტატისტიკური კრიტერიუმის მიხედვით ფასდება. მონაცემების მიხედვით, $\chi^2$ (87) = 274.9, $p$ =.000. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის კვლევებში, ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა ხშირად ხდება, რადგან ხი-კვადრატი, როგორც არაპარამეტრული სტატისტიკური კრიტერიუმი, მგრძნობიარეა შერჩევის მოცულობის მიმართ (Bentler & Bonnet, 1980). ალტერნატიული ინდექსების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჰიპოთეტურ და დაკვირვებად მოდელებს შორის მორგების მაჩვენებელი კარგი არ არის (GFI=.877; CFI=.764; TLI=.715; RMSEA=.09). ამ დროს მიზანშეწონილად თვლიან მოდიფიკაციის ინდექსების მონაცემების შემოწმებას, თუმცა, აქამდე, მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნება, მოდელის საფუძვლად მდებარე ლოგიკა ხომ არაა მცდარი. მიუხედავად იმისა, რომ არსებული ფაქტორების გამოყოფის მიზანშეწონილობა შევისწავლეთ თვისებრივ კვლევასა და პირველადი კომპონენტების ანლიზის (PCA) ჩატარებისას, მაინც დავიწყეთ ფიქრი იმასთან დაკავშირებით, სტრატეგიების გამოყოფის მოდელის საფუძვლად მდებარე თეორიულ მსჯელობაში ხომ არაა შეცდომა დაშვებული, რაც მორგების საშუალო მაჩვენებლებს უკავშირდება. ერთადერთ შესაძლო ვარიანტად განვიხილეთ ფაქტორების უფრო ფართე ჯგუფებად დაყოფა - ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე მოქმედ ფაქტორებად. ინდივიდუალურ დონეზე მოქმედ სტრატეგიად დავტოვეთ ინდივიდუალური მობილობის შემადგენელი დებულებები. ჯგუფურ დონეზე მოქმედ სტრატეგიაში კი გავაერთიანეთ 26-ე, მე-20, 22-ე, 28-ე, მე-13 და მე-3 დებულებები. დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის ჩატარების შემდეგ, აღნიშნული ორ-ფაქტორიანი მოდელისათვის უფრო დაბალი მაჩვენებლები მივიღეთ (CFI=.724; TLI=.656; RMSEA=.115).

შესაბამისად, მიზანშეწონილად მივაჩნიეთ, რომ სამ-ფაქტორიანი მოდელის მოდიფიკაციის ინდექსის მონაცემები შეგვემოწმებინა. ვნახეთ დაკვირვებად და

ლატენტურ ცვლადებს შორის კოვარიციების ალტერნატივები. კოვარიაცია განხორციელდა ორ სკალაში - სოციალურ კრეატულობის სკალაში e1 –e2 (25 - 21 დებულებების ექვივალნეტურ) და e3 – e6 (3 – 27 დებულებების ექვივალენტური) ცდომილებებს შორის, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სკალაში e7 – e8 ცდომილებას შორის (26 – 20 დებულებების ექვივალენტური). შედეგად, მივიღეთ სკალის უკეთესი მორგების მაჩვენებლები. $\chi^2$ (84) = 221.4, p = .000; GFI = .901; CFI = .827; TLI = .784; RMSEA = .07.

### 6.2.4. სკალის შინაგანი შეთანხმებულობის და აღწერითი სტატისტიკის მაჩვენებლები

მთლიანი სკალისა და ქვესკალების შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები მისაღებია.

მთლიანი სკალის კრობახის ალფა არის .72 (15 დებულება), *M* = 4.89, *SD* =.9.

**ილუსტრაცია № 5. სოც.დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის სტრატეგიების სამ-ფაქტორიანი მოდელი.**



ცხრილი № 8. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების ფაქტორების შინაგანი შეთანხმებულობა, საშუალო და სტანდარტული გადახრა.

| ფაქტორები | დებულებების რაოდენობა | Cronbach's alpha | M (SD) | Skewness | Kurtosis |
|---|---|---|---|---|---|
| სოციალური კრეატულობა | 6 | .70 | 5.3 (1.2) | -.83 | .35 |
| შიდა ჯგუფური შეჭიდულობა | 5 | .68 | 4.04 (1.5) | -.05 | -.85 |
| ინდივიდუალური მობილობა | 4 | .68 | 5.1 (1.4) | -.74 | -.14 |

ცხრილი N9. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის სტრატეგიების/ფაქტორებს შორის კორელაციები.

| | სოციალური კრეატულობა | შიდა ჯგუფური შეჭიდულობა | ინდივიდუალური მობილობა |
|---|---|---|---|
| სოციალური კრეატულობა | | | |
| შიდა ჯგუფური შეჭიდულობა | .143* | | |
| ინდივიდუალური მობილობა | .343** | | |

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

## 6.3. კოლექტიური თვითშეფასების სკალის მაჩვენებლები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა მაგალითზე

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების კოლექტიური თვითშეფასების გასაზომად გამოყენებულ იქნა კროკერისა და ლუთანენის მიერ შემუშავებული სკალა (Crocker & Luhtanen, 1992).

თავდაპირველად, მოხდა უარყოფითად ფორმულირებული რვა დებულების რევერსია. 16-დებულებიანი სკალის შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხი აღმოჩნდა დაბალი, $\underline{\alpha}$ = .55-ს. შემოწმდა თითოეული დებულების ამოღების შემთხვევაში კრონბახის ალფას მოსალოდნელი გაუმჯობესება. შედეგად, სკალიდან ამოღებულ იქნა ოთხი დებულებება: 12 (*სოციალურად დაუცველთა ჯგუფის წევრობა ჩემს პიროვნებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს*), 4 (*მთალიანობაში, საკუთარი თავის შეფასებაზე უმნიშვნელო გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ სოციალურად დაუცველთა ჯგუფს მივეკუთვნები*), 8 (*სოციალურად დაუცველთა ჯგუფის წევრობა ჩემზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს*) და 16 (*ზოგადად, სოციალურად დაუცველთა ჯგუფის წევრობა საკუთარი თავის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია*). ამის შემდეგ, სკალის შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხი უკვე მაღალი იყო, $\alpha$ = .806 (12 დებულება).

სკალის ორიგინალური 16-დებულებიანი ვერსია შედგებოდა ოთხი სკალისაგან. ჩვენ მიერ ამოღებული ოთხი დებულებიდან ყველა შეესაბამებოდა იდენტობის შეფასებას. სკალაში დებულებების ამოღებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით, ჩატარდა ახსნითი (ექსპლორატორული) ფაქტორული ანალიზი, სკალის გარკვეული რაოდენობის განზომილებებად დაყოფის მიზანშეწონილობის შესამოწმებლად. ფაქტორების რაოდენობის განსასაზღვრად ჩავატარეთ parallel analysis (MonteCarlo PA), რამაც მიუთითა ორი ფაქტორის გამოყოფაზე, მხოლოდ ორი კომპონენტის eigenvalue აღემატებოდა შესაბამის კრიტერიალურ მნიშვნელობას (12 ცვლადი, 150 რესპონდენტი). თუმცა, გამოვლენილ ორ ფაქტორში დებულებების გადანაწილების ლოგიკური საფუძველი ვერ დავინახეთ. ერთ კომპონენტში გაერთიანდა დებულებები (მე-14, მე-3, მე-11, მე-2, 1-ლი, მე-6, მე-13), რომლებიც სკალის ორიგინალურ ვერსიაში მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა განზომილებას:

კოლექტიურ თვითშეფასებას პირადი პერსპექტივიდან, კოლექტიურ თვითშეფასებას საზოგადოების პერსპექტივიდან, წევრობის შეფასებას. იგივენაირი მოცემულება იყო მეორე კომპონენტის შემთხვევაშიც - დებულებები (მე-5, მე-15, მე-9, მე-8, მე-10) გაფანტულად მიეკუთვნებოდა ორიგინალური სკალის სხვადასხვა განზომილებას. აღნიშნული გადაფარვა ლოგიკურად მივიჩნიეთ, რადგან სკალის განზომილებები შინაარსობრივად ერთმანეთთან საკმაოდ მსგავსია; წევრობის შეფასება, ჯგუფის შეფასება პირადი და საზოგადოებრივი პერსპექტივიდან ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთზე ახდენს გავლენას - სამივე მათგანს საფუძვლად უდევს ჯგუფის წევრობიდან მომდინარე კმაყოფილების განცდები/დამოკიდებულებები/შეფასებები. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ 12-დებულებიანი სკალა შინაგანი შეთანხმებულობის საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩევა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, სკალა განზომილებებად არ დაგვეყო.

დებულებები ფასდებოდა 1-დან 7-ბალიან სკალაზე, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობაში, კოლექტიური თვითშეფასების საშუალო ქულად დაფიქსირდა $M = 4.02$, $SD = 1.2$.

**ინდივიდუალური თვითშეფასების სკალასთან კავშირი:** კოლექტიური თვითშეფასების სკალა საშუალო სიძლიერის კორელაციურ კავშირში აღმოჩნდა როზენბერგის ინდივიდუალური თვითშეფასების სკალასთან, $r = .36$, $p < .01$. საინტერესოა, რომ ზუსტად იგივე სიძლიერის კორელაციური კავშირი გამოვლინდა ამ ორ სკალას შორის ($r = .36$, $p < .01$) კროკერისა და ლუთანენის (1992) მიერ ჩატარებულ კვლევაში, როდესაც კოლექტიური თვითშეფასების სკალის კონსტრუქტული ვალიდობის შემოწმების მიზნით გაკეთდა კორელაციური ანალიზი როზენბერგის თვითშეფასების სკალასთან.

## 6.4. ეკონომიკური სისტემის გამართლების სკალის მაჩვენებლები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა მაგალითზე

თავდაპირველად, სკალის შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხი ჩატარდა 17 დებულებაზე. კრონბახის ალფა შეადგენდა .682-ს, რაც მისაღები მაჩვენებელია. თუმცა, შევამოწმეთ სკალის შინაგანი კონსისტენტობის მაჩვენებელი თითოეული დებულების

ამოღების შემთხვევაში. შედეგად, სკალიდან ამოღებულ იქნა მე-4 და მე-10 დებულებები. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი გაიზარდა, $\alpha$ = .73 (დებულებების რაოდენობა - 15). სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა აღნიშნულ შერჩევაში, სკალის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს, *M* = 5.67, *SD* = 1.1. (*Min* = 2.07, *Max* = 9).

## 6.5. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის საზომი სკალების მაჩვენებლები

პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატზე დაყრდნობით შემუშავებულმა ბიპოლარული ზედსართავი სახელებისაგან შემდგარმა სკალებმა საკმაოდ მაღალი შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები გამოავლინა.

ათი ბიპოლარული ზედსართავი სახელის მიხედვით საკუთარი თავის შეფასების სკალის კრონბახის $\alpha$ = .803, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა ჯგუფის შეფასების შემთხვევაში $\alpha$ = .807, მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანების შემთხვევაში კი $\alpha$ = .778. კრონბახის ალფა მნიშვნელოვნად არ იზრდებოდა რომელიმე ზედსართავი სახელის ამოღების შემთხვევაში, ამიტომ, ათივე მათგანი შენარჩუნდა სკალაში.

**ცხრილი №10. ბიპოლარული ზედსართავი სახელების მიხედვით შეფასების საშუალო (M) და სტანდარტული გადახრის (SD) მაჩვენებლები სამივე შეფასების ობიექტის შემთხვევაში, M (SD). შეფასება მოხდა 1-დან 7-ბალიან სკალაზე.**

| ბიპოლარული ზედსართავები | საკუთარი თავის შეფასება | სოც.დაუცველების შეფასება | მაღალი სოც.ეკონომიკური სტატუსის მქონეთა შეფასება |
|---|---|---|---|
| გაუნათლებელი-განათლებული | M = 4.6 (1.8) | M= 3.9 (2.3) | M=5.2 (1.4) |
| ზარმაცი-შრომისმოყვარე | M = 5.7 (1.4) | M= 4.7(1.6) | M=4.9(1.5) |
| წარუმატებელი-წარმატებული | M = 3.5 (1.8) | M= 3.1(1.6) | M=5.8 (1.2) |
| მორიდებული-თამამი | M= 4.1(1.8) | M=3.7(1.5) | M=5.6 (1.5) |
| მოუწესრიგებელი-მოწესრიგებული | M=5.8 (1.5) | M=4.7(1.5) | M=5.6(1.3) |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაჩაგრული-მჩაგვრელი | M=2.9 (1.6) | M= 2.92(1.6) | M=5.2 (1.4) |
| ბედუკუღმართი-იღბლიანი | M= 3.3(1.8) | M=3.1(1.6) | M=5.9 (1.3) |
| უბედური-ბედნიერი | M= 4.1(1.9) | M=3.5(1.6) | M=5.5(1.3) |
| უიმედო-იმედიანი | M= 4.8(2.0) | M=3.9(1.8) | M=5.8 (1.2) |
| ჩაკეტილი-ღია | M= 4.7(1.8) | M=4.07(1.7) | M=5.4(1.7) |

დაბალი სტატისტიკური კორელაცია დადასტურდა პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატზე დაყრდნობით შემუშავებულ ბიპოლარული ზედსართავი სახელებისაგან შემდგარ სოციალური იდენტიფიკაციის ხარისხის საზომსა და 1-დან 5-ბალიან სკალაზე ღარიბთა ჯგუფთან საკუთარი თავის მიკუთვნებლობის საზომს შორის, $r = .17$, $p \leq .05$ . აღსანიშნავია, ვაინრაიხის ფორმტაზე დაბალი ციფრი მიუთითებს იდენტიფიკაცის მაღალ ხარისხზე, ღარიბთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის საზომზე კი პირიქით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლამდე, რევერსია გაუკეთდა ღარიბთა ჯგუფთან საკუთარი თავის მიკუთვნებლობის ერთ-დებულიან საზომს.

თავის მხრივ, 1-დან 5-ბალიან სკალაზე ღარიბთა ჯგუფთან საკუთარი თავის მიკუთვნებლობისა და სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან საკუთარი თავის მიკუთვნებლობის სკალებს შორის ძლიერი კორელაციური კავშირი გამოვლინდა, $r = .65$, $p \leq .01$.

## 6.6. ჯგუფთაშორისი განსხვავებები

### 6.6.1. სქესთაშორისი განსხვავებები

- სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სქესთაშორისი განსხვავება გამოვლინდა ქალებსა ($M = 2.8$, $SD = 1.2$) და მამაკაცებს ($M = 3.4$, $SD = 1.5$) შორის, $t(248) = -3.50$, $p = .001$;

- ნეგატიური მოპყრობის აღქმის ქვესკალის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქალებსა (*M* = 2.5, *SD* = 1.4) და მამაკაცებს (*M* = 3.1, *SD* = 1.7) შორის, *t* (117.4)= -2.48, *p* = .01;
- ასევე, სტიგმის ინტერნალიზების დონის მიხედვით ქალები (*M* = 3.1, *SD* = 1.4) განსხვავდებიან მამაკაცებისაგან (*M* = 3.8, *SD* = 1.5), *t* ( 255)= -3.40, *p* =.001;
- სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სკალის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სქესთაშორისი განსხვავებები გამოვლინდა ქალებსა (*M* = 4.9, *SD* = .9) და მამაკაცებს შორის (*M* = 4.6, *SD* = 1.06), *t* (225)= 2.12, *p* =. 035;
- ასევე, სტრატეგიების სამი განზომილებიდან, მხოლოდ სოციალური კრეატულობის სტრატეგიების გამოყენების დონის მიხედვით განსხვავდებიან ქალები შორის (*M* = 5.5, *SD* = 1.2) მამაკაცებისაგან (*M* = 4.8, *SD* = 1.3), *t* (255)= 3.8, *p* = .000;
- სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა ქალებსა (*M* = 4.2, *SD* = 1.1) და მამაკაცებს (*M* = 3.5, *SD* = 1.1) შორის კოლექტიური თვითშეფასების დონის მიხედვით, *t* (147)= 3.25, *p* = .001;

**ცხრილი № 11. სქესთაშორისი განსხვავებები საკვლევი კონსტრუქტების მიხედვით**

| | ცვლადი | სქესი | | P |
|---|---|---|---|---|
| | | მდედრობითი | მამრობითი | |
| 1. | სტიგმის აღქმა | *M* = 2.8 (*SD* = 1.2) | *M* = 3.4, (*SD* = 1.5) | *p* = .001 |
| 2. | ნეგატიური მოპყრობის აღქმა | *M* = 2.5 (*SD* = 1.4) | *M* = 3.1 (*SD* = 1.7) | *p* = .01 |
| 3. | სტიგმის ინტერნალიზება | *M* = 3.1 (*SD* = 1.4) | *M* = 3.8 (*SD* = 1.5) | *p* =.001 |
| 4. | ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები | *M* = 4.9 (*SD* = .9) | *M* = 4.6 (*SD* = 1.06) | *p* =. 035 |
| 5. | სოციალური კრეატულობის სტრატეგია | *M* = 5.5 (*SD* = 1.2) | *M* = 4.8 (*SD* = 1.3) | *p* = .000 |
| 6. | კოლექტიური თვითშეფასება | *M* = 4.2 (*SD* = 1.1) | *M* = 3.5 (*SD* = 1.1) | *p* = .001 |

### 6.6.2. ასაკობრივი განსხვავებები

გამოიყო რესპონდენტების სამი ასაკობრივი ჯგუფი: 16-25 წლის რესპონდენტები, 36-50 წლის და 51-72 წლის რესპონდენტები.

ცალმხრივი დისპერსიული ანალიზი (ANOVA) ჩატარდა ასაკობრივი განსხვავების შესამოწმებლად. მხოლოდ კოლექტიური თვითშეფასების სკალის მიხედვით გამოვლინდა განსხვავებულ სამ ასაკობრივ ჯგუფს შორის, $F$ (2,133) = 4.12, $p$ = .018. კერძოდ, Tukey HSD მიუთითებს, რომ კოლექტიური თვითშეფასება უფრო ნაკლებია 51-72 წლის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეებში ($M$ = 3.76, $SD$ = 1.2), ვიდრე 16-35 ($M$ = 4.46, $SD$ = 1.02), წლის ასაკობრივ ჯგუფში.

### 6.6.3. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსხვავებები

- დედაქალქსა (თბილისი) და რეგიონებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა სტიგმის ინტერნალიზების განზომილების მიხედვით. კერძოდ, სტიგმის ინტერნალიზების განზომილება უფრო მაღალია თბილისში ($M$ = 3.5, $SD$ = 1.7), , ვიდრე რეგიონებში ($M$ = 3.1, $SD$ = 1.3), $t$ (216.5)=2.11, $p$ = .03;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა კოლექტიური თვითშეფასების დონე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უფრო მაღალია რეგიონებში ($M$ = 4.3, $SD$ =.9), ვიდრე თბილისში ($M$ = 3.7, $SD$ = 1.3), $t$ (133.5)=-3.53, $p$ = .001;
- ეკონომიკური სისტემის გამართლების მოტივაცია უფრო მაღალია თბილისში მცხოვრებ სოციალურად დაუცველთა ჯგუფში ($M$ = 5.8, SD = 1.06), ვიდრე რეგიონებში ($M$ = 5.4, $SD$ = 1.2), $t$ (133.5)=-3.53, $p$ =.001; $t$ (243)=2.61, $p$ = .009;

### 6.6.4. სოციალურად დაუცველის სტატუსის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული განსხვავებები

სოციალურად დაუცველის სტატუსის ხანგრძლივობის მიხედვით გამოიყო ორი ჯგუფი: რესპონდენტები, რომელთა სტატუსის ხანგრძლივობა იცვლება 1-დან 4 წლამდე ვადაში და რესპონდენტები, რომელთაც სოციალურად დაუცველის სტატუსი 5 წელი და მეტი ხნის პერიოდის განმავლობაში აქვთ.

- სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა სტიგმის ინტერნალიზების განზომილების მიხედვით 1-დან 4 წლამდე ($M$ = 3.4, $SD$ = 1.5), და 5 წელი და ზემოთ ($M$ = 3.04, $SD$ = 1.4) სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა ჯგუფში, $t$ (199)=2.02, $p$ = .04;

სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებიდან ორი ქვესკალაში გამოვლინდა სტატუსის ხანგრძლივობის მიხედვით განსხვავდება.

- ინდივიდუალური მობილობის განზომილება უფრო მაღალია 5 წელი და მეტი ხნის ვადით სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებში ($M$ = 5.5, $SD$ = 1.4), ვიდრე მეორე ჯგუფში ($M$ = 4.8, $SD$ = 1.5), $t$ (185)=-3.11, $p$ = .002;
- სოციალური კრეატულობის სტრატეგიების გამოყენების დონეც უფრო მაღალია 5 წელი და მეტი ხნის ვადით სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებში ($M$ = 5.6, $SD$ = 1.1), ვიდრე მეორე ჯგუფში ($M$ = 5.2, $SD$ = 1.2), $t$ (198)=-2.67, $p$ =.008;
- სტრატეგიების საზომი მთლიანი სკალის მიხედვითაც, სტრატეგიების გამოყენების მაჩვენებელი უფრო მაღალია მაღალია 5 წელი და მეტი ხნის ვადით სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებში ($M$ = 5.1, $SD$ = .9), ვიდრე 1-დან 4 წლამდე სტატუსის ხანგრძლივობის ჯგუფში ($M$ = 4.7, $SD$ = .8), t (178)=-3.54, $p$ = .001;

კოლექტიური თვითშეფასების დონე სტატისტიკრად მნიშვნელოვან დონეზე უფრო მაღალია 5 წელი და მეტი ხნის ვადით სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებში ($M$ = 4.6, $SD$ = 1.0), ვიდრე მეორე ჯგუფში ($M$ = 3.9, $SD$ = 1.1), $t$ (114)=-3.28, $p$ =. 001;

ეკონომიკური სისტემის გამართლების მოტივაციაც უფრო მაღალი დონით ვლინდება 5 წელი და მეტი ხნის ვადით სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებში, (*M* = 5.8, *SD* = 1.2), ვიდრე 1-დან 4 წლამდე სტატუსის ხანგრძლივობის ჯგუფში (*M* = 5.2, *SD* = 1.2), *t* (189) = -2.42, *p* = .016;

**ცხრილი № 12. სტატუსის ხანგრძლივობის მიხედვით გამოვლენილი განსხვავებები საკვლევი კონსტრუქტების მიხედვით.**

| | ცვლადი | სტატუსის ხანგრძლივობა | | P |
|---|---|---|---|---|
| | | 1-დან 4 წლამდე | 5 წელი და მეტი | |
| 1. | სტიგმის ინტერნალიზება | *M* = 3.4 (S*D* = 1.5) | *M* = 3.04 (*SD* = 1.4) | *p* = .04 |
| 2. | ინდივიდუალური მობილობის სტრატეგია | *M* = 4.8 (*SD* = 1.5) | *M* = 5.5 (*SD* = 1.4) | *p* = .002 |
| 3. | სოციალური კრეატულობის სტრატეგია | *M* = 5.2 (*SD* = 1.2) | *M* = 5.6 (*SD* = 1.1) | *p* =.008 |
| 4. | ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები | *M* = 4.7 (*SD* = .8) | *M* = 5.1 (*SD* = .9) | *p* = .001 |
| 5. | კოლექტიური თვითშეფასება | *M* = 3.9 (*SD* = 1.1) | *M* = 4.6 (*SD* = 1.0) | *p* =. 001 |
| 6. | ეკონომიკური სისტემის გამართლება | *M* = 5.2 (*SD* = 1.2) | *M* = 5.8 (*SD* = 1.2) | *p* = .016 |

### 6.6.5. სხვებთან მიმართებით აღქმული ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით განსხვავებები

სხვებთან შედარებით აღქმული ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად რესპონდენტები პასუხობდნენ შეკითხვაზე, თუ მათ ირგვლივ მცხოვრები ოჯახების უმრავლესობასთან შედარებით, როგორ შეაფასებდნენ თავიანთი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას ამჟამად (როგორც ძალიან ცუდს, ცუდს, საშუალოს, კარგს, თუ ძალიან კარგს). მათ მიერ დასახელებული პასუხების სიხშირული განაწილების მიხედვით

გამოიყო პასუხების სამი ჯგუფი ძალიან ცუდი, ცუდი და საშუალო (შეფასება „ძალიან კარგი“ და „კარგი“ ძალიან მცირე რაოდენობის რესპონდენტებმა უპასუხეს).

სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებით სტიგმის აღქმის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა სამივე ჯგუფში, $F(2,243) = 9.8$, $p = .000$. Tukey HSD შემოწმების შედეგად, სტიგმის აღქმის უფრო მაღალია იმ სოციალურად დაუცველებში, რომლებიც თავიანთ ეკონომიკურ მდომარეობას სხვებთან შედარებით „ძალიან ცუდს“ უწოდებენ ($M = 3.6$, $SD = 1.3$), ვიდრე მათში, ვინც იყენებს შეფასებას „ცუდი“ ($M = 2.9$, SD = 1.3), და „საშუალო“ ($M = 2.6$, $SD = 1.3$).

## 6.7. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებასა და ეკონომიკური სისტემის გამართლებას შორის არსებული ურთიერთმიმართებები

### 6.7.1. სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებას შორის არსებული კორელაციური კავშირები

მონაცემთა კორელაციური ანალიზის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი.

სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების ცალკეულ განზომილებებს შორის სუსტი და საშუალო სიძლიერის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები გამოვლინდა (Field, 2009). (იხ. ცხრილი № 13).

- ნეგატიური მოპყრობის აღქმა სუსტ ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია სოციალური კრეატულობის სტრატეგიასთან, $r = -.24$, $p < .01$;
- ნეგატიური მოპყრობის აღქმა საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიასთან, $r = .32$, $p < .01$;
- სტიგმის ინტერნალიზება საშუალო სიძლიერ ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია სოციალური კრეატულობის სტრატეგიასთან, $r = -.39$, $p < .01$;

- სტიგმის ინტერნალიზება სუსტ დადებით კორელაციურ კავშირშია შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიასთან, $r = .24$, $p < .01$;
- სტიგმის აღქმის სკალა საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია სოციალური კრეატულობის სტრატეგიასთან, $r = -.35$, $p < .01$;
- სტიგმის აღქმის სკალა საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიასთან, $r = .31$, $p < .01$;

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ნეგატიური კორელაციური კავშირები გამოვლინდა სტიგმის აღქმის განზომილებებსა და ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებას შორის.

- ნეგატიური მოპყრობის აღქმა საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია ინდივიდუალურ თვითშეფასებასთან, $r = -.34$, $p < .01$;
- სტიგმის ინტერნალიზება საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია ინდივიდუალურ თვითშეფასებასთან, $r = -.42$, $p < .01$;
- სტიგმის აღქმის სკალა საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია ინდივიდუალურ თვითშეფასებასთან, $r = -.43$, $p < .01$;
- ნეგატიური მოპყრობის აღქმა საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია კოლექტიურ თვითშეფასებასთან, $r = -.44$, $p < .01$;
- სტიგმის ინტერნალიზება ძლიერ ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია კოლექტიურ თვითშეფასებასთან, $r = -.79$, $p < .01$;
- სტიგმის აღქმის სკალა ძლიერ ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია კოლექტიურ თვითშეფასებასთან, $r = -.69$, $p < .01$;

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირები გამოვლინდა ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს, ინდივიდუალურ და კოლექტიური თვითშეფასების სახეებს შორის.

- სოციალური კრეატულობის სტრატეგია სუსტ დადებით კორელაციურ კავშირშია ინდივიდუალური თვითშეფასების სკალასთან, $r = .21$, $p < .01$;
- შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგია სუსტ უარყოფით კორელაციურ კავშირშია ინდივიდუალური თვითშეფასების სკალასთან, $r = -.29$, $p < .01$;

- ინდივიდუალური მობილობის სტრატეგია სუსტ დადებით კორელაციურ კავშირშია ინდივიდუალური თვითშეფასების სკალასთან, $r = .20$, $p < .01$;
- სოციალური კრეატულობის სტრატეგია ძლიერ დადებით კორელაციურ კავშირშია კოლექტიური თვითშეფასების სკალასთან, $r = .52$, $p < .01$;
- ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების მთლიანი სკალა სუსტ დადებით კორელაციურ კავშირშია კოლექტიურ თვითშეფასების სკალასთან, $r = .24$, $p < .01$;

სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებას შორის კორელაციური კავშირები შეჯამებულად წარმოდგენილია ცხრილში № 13.

**ცხრილი № 13. სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითშეფასებას შორის კავშირები.**

| სკალა/ქვე-სკალა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეგატიური მოპრობის აღქმა | | | | | | | | | |
| 2. სტიგმის ინტერნალიზება | $.59^{**}$ | | | | | | | | |
| 3. სოციალური კრეატულობა | $-.24^{**}$ | $-.39^{**}$ | | | | | | | |
| 4. შიდა ჯგუფური შეჭიდულობა | $.32^{**}$ | $.24^{**}$ | $.14^{**}$ | | | | | | |
| 5. ინდივიდუალური მობილობა | | | $.34^{**}$ | | | | | | |
| 6. ინდივიდუალური თვითშეფასება | $-.34^{**}$ | $-.42^{**}$ | $.21^{**}$ | $-.29^{**}$ | $.20^{**}$ | | | | |
| 7. კოლექტიური თვითშეფასება | $-.44^{**}$ | $-.79^{**}$ | $.52^{**}$ | | | $.36^{**}$ | | | |
| 8. სტიგმის აღქმა (ერთიანი) | $.90^{**}$ | $.87^{**}$ | $-.35^{**}$ | $.31^{**}$ | | $-.43^{**}$ | $-.69^{**}$ | | |
| 9. სტრატეგიების სკალა (ერთიანი). | | | $.76^{**}$ | $.65^{**}$ | $.63^{**}$ | | $.24^{**}$ | | |

** $p \leq .01$, * $p \leq .05$

### 6.7.2. ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან მიმართებით გამოვლენილი კორელაციური კავშირები

სტიგმის აღქმის არცერთი განზომილების მიხედვით არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ეკონომიკური სისტემის გამართლების სკალასთან.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები გამოვლინდა ეკონომიკური სისტემის გამართლებასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის.

- **სოციალური კრეატულობის სტრატეგია** საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან, $r = .35$, $p < .01$;
- **ჯგუფური შეჭიდულობა** სუსტ კორელაციურ კავშირშია ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან, $r = .18$, $p < .01$;
- **ინდივიდუალური მობილობა** საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან, $r = .42$, $p < .01$;
- **ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების მთლიანი სკალა** საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან, $r = .47$, $p < .01$;

### 6.7.3. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციასთან მიმართებით გამოვლენილი კორელაციური კავშირები

- პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) ფორმატით შემუშავებულ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის საზომი საშუალო

სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია **ინდივიდუალური მობილობის** სტრატეგიასთან, $r = -.32$, $p < .05$;[5]

- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის საზომი სუსტ ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია **ინდივიდუალურ თვითშეფასებასთან**, $r = -.29$, $p < .01$.

## 6.8. იერარქიული მრავლობითი რეგრესიული ანალიზი

### 6.8.1. იერარქიული მრავლობითი რეგრესია: სტიგმის ინტერნალიზების ვარიაბელობის ფაქტორები

სტიგმის აღქმის განზომილებებთან კორელაციური კავშირების სიძლიერის გაანალიზების შედეგად, გადაწყდა სოციალური კრეატულობის, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის, ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების წვლილის დადგენა სტიგმის აღქმის განზომილებების ვარიაბელობაში. ამისათვის გამოყენებულ იქნა იერარქიული რეგრესიული ანალიზის მეთოდი. პირველადი ანალიზის შედეგად შემოწმდა და მიღებულ (normality, linearity, multicollinearity) და homoscedasticity -თან დაკავშირებული დაშვებები.

სტიგმის ინტერნალიზების განზომილების იერარქიული რეგრესიის მოდელში პირველად შეყვანილ იქნა ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ცვლადები, მეორე ეტაპზე კი - სოციალური კრეატულობის და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიები, რათა გვენახა მათი წილი სტიგმის ინტერნალიზების ვარიაბელობაში, ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების გაკონტროლების პირობაში. ოთხივე ცვლადი სტიგმის ინტერნალიზების 65.5%-ს ხსნის, $F(4, 139) = 65.9$, $p = .000$. ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასება ხსნის სტიგმის ინტერნალიზების ვარიაბელობის 64.7%-ს, $F(2, 141) = 129.2$, $p = .000$.

---

[5] იდენტიფიკაციის საზომზე დაბალი ქულა ნიშნავს მაღალ იდენტიფიკაციას, მობილობისა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სკალებზე კი მაღალი ქულა სტრატეგიების მაღალი ხარისხით გამოყენებაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, კორელაციური ანალიზის ჩატარებამდე, რევერსირდა ინდივიდუალური მობილობისა და ინდივიდუალური თვითშეფასების შემადგენელი დებულებები.

ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ცვლადების გაკონტროლების შემდეგ, სოციალური კრეატულობის და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიების მოქმედების მიერ სტიგმის ინტერნალიზების ვარირების მაჩვენებელი ($R^2$ change = .008) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არაა, F change (2, 139) = 1.58, $p$=.209. შესაბამისად, საბოლოო მოდელში, ოთხიდან მხოლოდ ორ ცვლადს შეაქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი წვლილი სტიგმის ინტერნალიზების საერთო მაჩვენებლის ვარიაბელობაში. ესენია ინდივიდუალური თვითშეფასება ($\beta$ = −.14, $p$ =.015), კოლექტიური თვითშეფასება ($\beta$ = -.73, $p$ =.000).

### 6.8.2. იერარქიული მრავლობითი რეგრესია: ნეგატიური მოპყრობის აღქმის ვარიაბელობის ფაქტორები

ნეგატიური მოპყრობის აღქმის განზომილების იერარქიული რეგრესიის მოდელში პირველად შეყვანილ იქნა ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ცვლადები, მეორე ეტაპზე კი - სოციალური კრეატულობის და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიები, რათა გვენახა მათი წილი ნეგატიური მოპყრობის აღქმის ვარიაბელობაში, ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების გაკონტროლების პირობაში. ოთხივე ცვლადი ნეგატიური მოპყრობის აღქმის 28.1%-ს ხსნის, $F$ (4, 139) = 13.5, $p$ =.000. ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასება ხსნის ნეგატიური მოპყრობის აღქმის ვარიაბელობის 23.2 %-ს, $F$ (2, 141) = 21.3, $p$ =.000. ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ცვლადების გაკონტროლების შემდეგ, სოციალური კრეატულობის და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიების მოქმედების მიერ, ნეგატიური მოპყრობის აღქმის 4.9% იხსნება, $R^2$ change = .049; F change (2, 139) = 469, $p$ =.011. საბოლოო მოდელში, ოთხიდან მხოლოდ ორ ცვლადს შეაქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი წვლილი ნეგატიური მოპყრობის აღქმის საერთო მაჩვენებლის ვარიაბელობაში. ესენია კოლექტიური თვითშეფასება ($\beta$ = −.30, $p$ =.001) და შიდა ჯგუფური შეჭიდულობა ($\beta$ = .24, $p$ =.000).

## 6.9. მედიაციური ანალიზი: ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიაზე მოქმედი ფაქტორები

ზემოთ აღწერილი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ინდივიდუალური მობილობის სტრატეგია, სხვა სტრატეგიებისაგან განსხვავებულ სურათს ქმნის მასთან კავშირში მყოფი ცვლადების მიხედვით. შესაბამისად, მედიაციური ანალიზის მეშვეობით შევამოწმეთ ჰიპოთეტური მოდელი, რომლის მიხედვითაც, ინდივიდუალური თვითშეფასების ცვლადს უნდა გაეშუალებინა კავშირი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხსა და ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიას შორის.

ჰიპოთეტური მედიაციური მოდელი შემოწმდა ჰეისის მედიაციური ანალიზის საშუალებით, SPSS PROCESS v.3.3-ის გამოყენებით (conditional process modeling by Hayes, 2013).

მედიაციური ანალიზის მიხედვით ( Model = 4) გამოვლინდა ნაწილობრივი მედიაცია. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციას, სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე, აქვს ირიბი ეფექტი ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიაზე, მაშინ როცა ინდივიდუალური თვითშეფასების ცვლადია მედიატორი, $b = -.12$, BCa CI [-.2896, -.0061].

**ილუსტრაცია № 6. მედიაცური ანალიზი: სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის ცვლადის ირიბი ეფექტი ინდივიდუალურ თვითშეფასებასა და ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიაზე.**



## 6.10. საკუთარი თავის, სოციალურად დაუცველის სტატუსისა და მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ჯგუფის შეფასებები

პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატზე დაყრდნობით შემუშავებული ბიპოლარული ზედსართავი სახელების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფის შეფასებებს შორის განსხვავებები შემოწმდა Paired Samples t ტესტის გამოყენებით.

დამუშავებული შედეგებიდან ჩანს, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი მკვეთრად ნეგატიურად ფასდება ($M$ = 3.76, $SD$ = 1.03) ჯგუფის წევრების მიერ, ვიდრე მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის სახით წარმოდგენილი გარე რეფერენტული ჯგუფი ($M$ = 5.56, $SD$ = .8), $t$ (151) = 16.07, $p$ = .000.

სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მიერ, ასევე, უფრო უარყოფითად ფასდება საკუთარი თავი ($M$ = 4.4, $SD$ = 1.07), ვიდრე მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის წარმომადგენლები ($M$ = 5.56, $SD$ = .8), $t$ (152) = - 10.7, $p$ = .000.

თუმცა, ბიპოლარული ზედსართავი სახელების მიხედვით, უფრო დადებითად ფასდება საკუთარი პიროვნული მახასიათებლები ($M$ = 3.76, $SD$ = 1.03), ვიდრე ზოგადად სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფის ($M$ = 4.4, $SD$ = 1.07), $t$ (150) = - 9.02, $p$ = .000.

რაც შეეხება სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პიროვნების ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის შესწავლას, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფების შეფასებებს გამოაკლდა იმავე ზედსართავი სახელების მიხედვით საკუთარი თავის შეფასებები ($M$ = .8, $SD$ = .7, $Min$ = 0. $Max$ = 3.3).

## 6.11. პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატით მიღებული შეფასებების მიმართება ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებსა და სტიგმის აღქმასთან

- საკუთარი თავის შეფასება საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია სოციალური კრეატულობის სტრატეგიასთან, $r = .37$, $p < .01$;
- საკუთარი თავის შეფასება სუსტი ხარისხის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიასთან, $r = -.26$, $p < .01$;
- საკუთარი თავის შეფასება სუსტ დადებით კორელაციურ კავშირშია ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიასთან, $r = .27$, $p < .01$;
- საკუთარი თავის შეფასება საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია ნეგატიური მოპყრობის აღქმასთან, $r = -.45$, $p < .01$;
- საკუთარი თავის შეფასება საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია სტიგმის ინტერნალიზებასთან, $r = -.56$, $p < .01$;
- საკუთარი თავის შეფასება საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია სტიგმის აღქმის საერთო სკალასთან, $r = -.57$, $p < .01$;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფის შეფასება საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია სოციალური კრეატულობის სტრატეგიასთან, $r = .34$, $p < .01$;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფის შეფასება საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია ნეგატიური მოპყრობის აღქმასთან, $r = -.39$, $p < .01$;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფის შეფასება საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია სტიგმის ინტერნალიზებასთან, $r = -.57$, $p < .01$;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფის შეფასება საშუალო სიძლიერის ნეგატიურ კორელაციურ კავშირშია სტიგმის აღქმის საერთო სკალასთან, $r = -.53$, $p < .01$;

**ცხრილი № 14. პიტერ ვაინრაიხის (Weinreich, 1980) იდენტობის ინსტრუმენტის ფორმატით მიღებული შეფასებების მიმართება ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებსა და სტიგმის აღქმასთან.**

| | საკუთარი თავის შეფასება | სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| სოციალური კრეატულობა | .37** | .34** |
| შიდა ჯგუფური შეჭიდულობა | - .26** | |
| ინდივიდუალური მობილობა | .27** | |
| ნეგატიური მოპყრობის აღქმა | - .45** | - .39** |
| სტიგმის ინტერნალიზება | - .56** | - .57** |
| სტიგმის აღქმის საერთო სკალა | - .57** | - .53** |

** $p \leq .01$

# თავი VII - შედეგების ანალიზი

## 7.1. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები

სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის ორ-განზომილებიანი თეორიული მოდელის სტატისტიკური შემოწმების შედეგად, მისაღები მაჩვენებლები იქნა მიღებული, რაც აღნიშნული მოდელის მიზანშეწონილობის სასარგებლოდ მეტყველებს.

ნეგატიური მოპყრობის აღქმის განზომილებაში გაერთიანდა მასტიგმატიზებელი გამოცდილებები, რომელსაც საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობა განიცდის. სტიგმის ინტერნალიზების განზომილებაში კი, დამცირების, სირცხვილის, ნერვიულობისა და სხვა ნეგატიურ ემოციებთან ერთად, საკმაოდ მაღალი ფაქტორული წონებით მოექცა სტერეოტიპებისადმი თანხმობის ამსახველი დებულებები.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების მიერ სტიგმის აღქმის პროცესი, სტიგმის აღქმის შესახებ არსებულ თეორიულ მოდელებში (Livingston & Boyd, 2010; Stevelink, Wu, Voorend Voorend BSc & Brakel, 2012) აღწერილი თავისებურებების მსგავსად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაშიც, ცალსახად ვლინდება, რომ სამიზნე ჯგუფის მიერ ხდება მასტიგმატიზებელი გამოცდილებების აღქმა, რასაც მოჰყვება საკუთარ სელფთან დაკავშირებული ისეთი ნეგატიური ემოციები, როგორებიცაა დამცირება, სირცხვილი, დანაშაულის განცდა, ნერვიულობა. ამასთანავე, სელფის დონეზე სტიგმის განცდას თანახლავს მე-კონცეფციის დონეზე შინაარსების ცვლილებებაც, რაც სამიზნე ჯგუფის მიმართ ნეგატიური სტერეოტიპების გაზიარებით ხასიათდება. შედეგად, საზოგადოებაში ისედაც დაბალი სტატუსის მქონე სოციო-ეკონომიკური ჯგუფის წევრობიდან მომდინარე სოციალური იდენტობა კიდევ მეტი ნეგატიური შინაარსიით შეიძლება დაიტვირთოს.

აღსანიშნავია, რომ სტიგმის ინტერნალიზება, ნეგატიური მოპყრობის აღქმის განზომილებასთან ერთად უარყოფით კავშირშია პიტერ ვაინრაიხის იდენტობის ფორმატით საკუთარი თავისა და სოციალურად დაუცველთა ჯგუფის შეფასებებთან.

მოცემული შედეგი, დამატებით, მიუთითებს სტიგმის სელფზე უარყოფითი მოქმედების შესახებ.

საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მიერ სტიგმის აღქმის საერთო დონე არც ისე მაღალია (*M* =3.02, *SD* =1.3). სტიგმის სელფზე ასეთი დონის ნეგატიური მოქმედება, ჩვენი კვლევის მიხედვით, შეიძლება აიხსნას ინდივიდუალური მობილობის, სოციალური კრეატულობის სტრატეგიებისა და ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების მოქმედების მაღალი დონით.

საინტერესოა, რომ ნეგატიური მოპყრობის აღქმასთან შედარებით (*M* = 2.7, *SD* = 1.5), უფრო მაღალია სტიგმის ინტერნალიზების ასპექტი (*M* = 3.4, *SD* =1.5). მოცემული შედეგი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება სტიგმის აღქმის თეორიულ მოდელებში აღწერილ პროცესს, რომლის მიხედვითაც მასტიგმაგიტიზებელი გამოცდილებების შემდეგ შეიძლება დაიწყოს სტიგმის ინტერნალიზების პროცესი. თუმცა, მიღებული შედეგიდან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, უბრალოდ იმ ფაქტის დადგომა, რომ პიროვნებას ენიჭება სოციალურად დაუცველის სტატუსი, შეიძლება უკვე საკმარისი იყოს ამ სტატუსსა და სოციალურ იდენტობასთან დაკავშირებული შინაარსების სელფის დონეზე განსაცდელად. შესაძლოა, პიროვნებას არ აქვს თავის სუბიექტურ გამოცდილებაში სხვების მხრიდან განხორციელებული ნეგატიური მოპყრობის შემთხვევები, თუმცა, იცის სოციალურად დაუცველთა ჯგუფსა და სტატუსთან დაკავშირებული იმ სტერეოტიპებისა და საზოგადოებრივი განწყობების შესახებ, რაც მის სოციუმში არსებობს. ეს უკანსაკნელი კი, გარკვეულ დონეზე, საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს სტიგმის ინტერნალიზაციის პროცესის დასაწყებად. აღნიშნული მოსაზრება გვხვდება სხვა ავტორების ნაშრომებშიც. მაგალითად, დევიდ ფროსტი (2011), სტიგმის ინტერნალიზების დახასიათებისას აღნიშნავს გონსიორეკის (1988) თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერნალიზებული სტიგმა შეიძლება არსებობდეს და ნარჩუნდებოდეს მაშინაც კი, თუ პირდაპირ სტიგმატიზებას არ აქვს ადგილი (Frost, 2011; Gonsiorek, 1998).

სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების სტიგმის აღქმის შესახებ კვლევები, როგორც ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნეთ, საკმაოდ მწირია. ზოგადად, სტიგმიდან მომდინარე სტრესის შესახებ კვლევებიც ჩატარებულია რასობრივი, ეთნიკური დისკრიმინაციისა

(Clark, Anderson, Clark & Williams, 1999) და სექსუალური უმციროსებების მიერ განცდილი სტიგმის შესწავლის მაგალითზე (Meyer, 2003) (Frost, 2011).

ამასთანავე, სიღარიბის სტიგმის აღქმის ინსტრუმენტი, აქამდე, შემუშავებული იყო მხოლოდ ქრისტინა მიკელსონის მიერ (2011). ჩვენი კვლევა, საქართველოში, სტიგმის აღქმისა და აღნიშნულ ფენომენთან მიმართებით ინსტრუმენტის ადაპტირების პირველი მცდელობაა. ზოგადად, სტიგმის აღქმის შესახებ ჩატარებულ კვლევებში უკვე საკმაო ემპირიული საფუძველი არსებობს იმისა, რომ ნეგატიური მოპყრობის აღქმა და სტიგმის ინტერნალიზება ცალკეულ განზომილებებად განიხილებოდეს. თუმცა, სტიგმის ინტერნალიზების განზომილებაში სტერეოტიპებისადმი თანხმობის ასპექტის მოქცევა არც ისე ხშირადაა ნაკვლევი. სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების ჯგუფის შესწავლისას კი ეს პირველად განხორციელდა. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია სტიგმის ინტერნალიზების კვლევაში.

სამომავლოდ, ღირებული იქნება, თავის მხრივ, სტიგმის ინტენრალიზების განზომილებაში, სტერეოტიპების გაზიარებისა და ნეგატიური ემოციების განზომილებების ცალცალკე გამოყოფასთან დაკავშირებული მცდელობების განხორციელება. ასევე, საინტერესოა, ფაქტორის დამატება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიხატება სტიგმის ინტერნალიზება ქცევითი სტრატეგიების დონეზე (მაგალითად, ჩაკეტილობა, სხვებისაგან თვით-იზოლაცია და სხვ.).

ზოგადად, დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსი საზოგადოებაში არასასურველი და უარყოფითი შინაარსებით დატვირთული ჯგუფის წევრობას გულისხმობს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სიღარიბე, თითოეულ ქვეყანაში თავისებური სტანდარტებით განისაზღვრება, ასევე, თითოეული კულტურის შიგნით, განსხვავდება სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების აღქმები (Reingold & Piña, 2014). საქართველოს შემთხვევაშიც, აღნიშნულზე მიუთითებს როგორც თვისებრივი კვლევის შედეგები, ასევე, პიტერ ვაინრაიხის იდენტობის ფორმატის მიხედვით, სოციალურად დაუცველთა სტატუსისა და უფრო მაღალი სოციო-ეკონომიკური ჯგუფების შეფასებებს შორის გამოვლენილი განსხვავებები.

სოციალურად დაუცველთა ჯგუფში იკვეთება სამი ძირითადი სტრატეგია, რომელსაც ნეგატიური თვითხატის ფორმირებისაგან მომდინარე უარყოფით განცდებთან გასამკლავებლად იყენებენ. ესენია ინდივიდუალური მობილობა, სოციალური კრეატულობა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობა.

ტაჯფელისა და ტერნერის (1979) ორიგინალურ თეორიაში, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის გაზრდა, როგორც ნეგატიური სოციალური იდენტობიდან მომდინარე უარყოფითი ემოციების მართვის სტრატეგია, არაა გამოყოფილი. არც ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შესახებ ჩატარებულ სხვა კვლევებში გვხვდება შიდა ჯგუფური შეჭიდულობის ცალკე სტრატეგიად გამოყოფის მცდელობა. თუმცა, საქართველოში, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მაგალითზე, აღნიშნული სტრატეგია ცალსახა ცალკე თემად გამოვლინდა თვისებრივ კვლევაში და სტრატეგიების ამ სამ-ფაქტორიანმა სტრუქტურამ არც ფაქტორული ანალიზის შედეგად აჩვენა მორგების ცუდი მაჩვენებლები.

დაბალი სტატუსის სტიგმატიზებული ჯგუფების მიერ შიდა ჯგუფური შეჭიდულობის ზრდის, როგორც ცალკე სტრატეგიის გამოყენება ლოგიკურია, რადგან ერთად შეკვრითა და ერთმანეთთან გაძლიერებული კონტაქტების გზით, ისინი სოციალური კონტაქტის მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ იმ გარე ჯგუფთან ურთიერთობის გარეშე, რომელიც მას მასტიგმატიზებელი გამოცდილებებით ტვირთავს. როგორც ზემოთ განვიხილეთ, სტიგმის ინტერნალიზებას თან ახლავს მოსალოდნელი სტიგმატიზაციის შიში და კონტაქტებისაგან თავის არიდებაც კი. შესაბამისად, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, სტიგმის აღქმისას, ყოველმხრივ ცდილობენ მიმართონ თვითდაცვით მექანიზმებს, რომელთაგან ერთ-ერთია გარე ჯგუფთან კონტაქტების შემცირება შიდა ჯგუფთან შეჭიდულობის გაზრდის ხარჯზე.

სოციალური შეჭიდულობის, როგორც სტიგმატიზებული ჯგუფების მიერ სტრატეგიის გამოყენების შესახებ კვლევები თითქმის არაა ჩატარებული. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, აივ-ინფექციის მქონე პროსტიტუციაში ჩართული ქალების სტიგმის დაძლევის შესახებ ჩატარებული კვლევა, სადაც შიდა ჯგუფური შეჭიდულობის გაზრდა სტიგმაზე საპასუხო რეაქციადაა განხილული (Carrasco, Nguyen, Barrington, Perez, Donastorg & Kerrigan, 2016).

ლოგიკურია, რომ შიდა ჯგუფურ შეჭიდულობასა და ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიას შორის კავშირი არ გამოვლინდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ შიდა ჯგუფური შეჭიდულობა ხელს უშლის სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, გამოეყნონ თავიანთ ჯგუფს და მიმართონ აქტიურ მცდელობებს უფრო მაღალი საფეხურის სოციო-ეკონომიკურ ჯგუფებში მობილობისათვის.

შიდა ჯგუფური შეჭიდულობისა და სოციალური კრეატულობის სტრატეგიებს შორის სუსტი კავშირი შეიძლება აიხსნას იმით, რომ შიდა ჯგუფური შეჭიდულობა უკავშირდება გარე ჯგუფთან მიმართებით დაღმავალი სოციალური შედარებების გამოყენებას. კერძოდ, ასეთ დროს, ჯგუფი ერთად გამოძებნის იმ მაკომპენსირებელ განზომილებებს, რომელთა საშუალებითაც მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ჯგუფთან მიმართებით აღმატებულად წარმოჩინდებიან. თუმცა, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგია, თავის მხრივ, შეიძლება საერთოდ არ გულისხმობდეს დაბალ სტატუსთან დაკავშირებული ნეგატიური გამოცდილებების პოზიტიური რეინტერპრეტაციის მცდელობას.

სოციალური კრეატულობა და ინდივიდუალური მობილობა ერთმანეთთან საშუალო სიძლიერის კავშირშია. მოცემული გარემოება ქმნის საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სოციალური კრეატულობის სტრატეგიები, რომელიც მეტწილად კოგნიტურ დონეზე რეინტერპრეტაციებს გულისხმობს, ეხმარება რა ადამიანებს თვითშეფასების ამაღლებაში, უკავშირდება სტატუსის ამაღლების მიზნით მცდელობების გაძლიერებასაც.

აღსანიშნავია, რომ სამივე სტრატეგია საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მიერ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისინი თითქმის ერთნაირი დონით მიმართავენ როგორც პასიურ, ასევე აქტიურ დაძლევის სტრატეგიებს (სოციალური კრეატულობა - $M = 5.3$, $SD = 1.2$, შიდა ჯგუფური შეჭიდულობა - $M = 4.04$, $SD = 1.5$, ინდივიდუალური მობილობა - $M = 5.1$, $SD = 1.4$). აღნიშნული შედეგი არაა უცხო, რადგან ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შესახებ არსებულ თეორიულ კონცეფციებსა და კვლევებში, ასევე, აღნიშნულია, რომ სხვადასხვა სტრატეგია შეიძლება ერთდროულად იქნას გამოყენებული, მნიშვნელობა არ აქვს იმას, ინდივიდუალურია თუ ჯგუფური

რომელიმე მათგანი (Jackson, Sullivan, Harnish & Hodge, 1996). თუმცა, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ტეილორისა და მაკკირნანის (1984) ინტერ-ჯგუფური ურთიერთობების ხუთ-საფეხურიანი მოდელი, რომლის მიხედვითაც, ადამიანები ჯერ მიმართავენ სოციალური მობილობის სტრატეგიას, ხოლო, როდესაც მაღალი სტატუსის ჯგუფში გადანაცვლების მცდელობები წარუმატებელი და შეუძლებელი ხდება, ერთვებიან ჯგუფური დონის სხვა სტრატეგიებში (Taylor, Moghaddam, Gamble & Zeller, 1987; Wright, Taylor & Moghaddam, 1990; Jackson, Sullivan, Harnish & Hodge, 1996). ამასთანავე, საგულისხმოა ტაჯფელისა და ტერნერის (1979) მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ პოზიტიური სოციალური იდენტობის მისაღწევად ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალური მობილობის სტრატეგიის გამოყენება (Tajfel, 1974, 1978; van Knippenberg, 1978, 1984; Jackson, Sullivan, Harnish & Hodge, 1996).

სამომავლოდ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს კვლევები, რომლებიც მეტ ემპირიულ მტკიცებულებას შექმნის ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტარტეგიების აღნიშნული სამ-ფაქტორიანი სტრუქტურის მიზანშეწონილობა/მიზანშეუწონლობის დასადასტურებლად.

აღსანიშნავია, რომ ნეგატიური მოპყრობის აღქმა, სტიგმის ინტერნალიზება და სტიგმის აღქმა სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე უფრო მაღალი აღმოჩნდა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მამაკაცებში, ვიდრე ქალებში.

მიღებული შედეგი შეიძლება უკავშირდებოდეს ქართულ საზოგადოებაში არსებულ მოლოდინებს იმასთან დაკავშირებით, რომ მამაკაცები უნდა იყვნენ დასაქმებული, ოჯახის ფინანსურად უზრუნველმყოფი და ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსის გარანტი. 2013 წელს, „ეისითი“-ს მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარებული კვლევის ანგარიშში ნათქვამია, რომ ქალებს ნაკლები ამბიცია აქვთ და უფრო მეტად ახერხებენ საკუთარი რესურსების ოჯახში რეალიზებას, ვიდრე მამაკაცები. ამასთანავე, მათი ცხოვრების კმაყოფილების ხარისხიც უფრო მაღალია (UNDP Georgia, 2013). შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი შედარებით ნაკლებად განიცდიან უმუშევრობისა თუ დაბალი ეკონომიკური სტატუსიდან მომდინარე სტრესს.

შედეგად, ვფიქრობთ, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მამაკაცებს უფრო მეტი ნეგატიური მოპყრობისა და დისკრიმინაციის შემთხვევა შეიძლება ჰქონდეთ გამოცდილებაში, ვიდრე ქალებს. ასევე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მამაკაცები სტიგმის ინტერნალიზაციისადმი უფრო მოწყვლადნიც შეიძლება იყვნენ, ვიდრე ქალბატონები. სიღარიბეში ცხოვრებასთან დაკავშირებული სტიგმის მიხედვით გენდერული განსხვავებების შესახებ სხვა კვლევები აქამდე არ ჩატარებულა. თუმცა, რამდენიმე კვლევაში, სტიგმის აღქმა გენდერულ ჭრილში ნაკვლევია სხვადასხვა სახის სტიგმის შემთხვევაში და სქესთაშორისი განსხვავებები ვლინდება (Brown, Moloney & Brown, 2017; Khan, Kausar, Khaid & Farooq, 2015). მაგალითად, ფსიქოლოგის დახმარებასთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის შესახებ ჩატარებულ კვლევაში, მამაკაცები უფრო მეტად განიცდიდნენ თვით-სტიგმას, ვიდრე ქალბატონები (Topkaya, 2014).

ამასთანავე, აღნიშნული გარემოების ახსნისას, გასათვალისწინებელია ჩვენი კვლევის ის შედეგები, რომლებიც ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სქესთაშორისი განსხვავებების შესწავლისას იქნა მიღებული. როგორც ჩანს, ქალბატონები უფრო აქტიურად იყენებენ პოზიტიური თვით-ხატის შენარჩუნებაზე მიმართულ სტრატეგიებს, ვიდრე მამაკაცები. კერძოდ, სოციალური კრეატულობის სტრატეგიებს მდედრობითი სქესის წარმომადგენლები მეტად აქტიურად მიმართავენ, ვიდრე მამაკაცები. იგივე ტენდენციაა კოლექტიური თვითშეფასების მიმართულებითაც.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებაში არსებული გენდერული როლებიდან გამომდინარე, ქალები უფრო მეტად არიან მიდრეკილი შიდა ჯგუფის წევრებთან სოციალური კონტაქტებისაკენ, რაც მათ ეხმარება სტატუსის გამამართლებელი მეტი კოგნიტური სტრატეგიის გამოყენებისა და ჯგუფის ღირებულების განცდის ამაღლებისაკენ.

ასევე, საინტერესო შედეგებია მიღებული სტიგმის ინტერნალიზებისა და კოლექტიური თვითშეფასების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოვლენილი განსხვავებების შესახებ. სტიგმის ინტერნალიზება უფრო მაღალია თბილისში, ვიდრე

რეგიონებში. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ კოლექტიური თვითშეფასება, დედაქალაქთან შედარებით, უფრო მაღალი დონით გამოვლინდა რეგიონებში.

ვფიქრობთ, დედაქალაქში გაცილებით უფრო თვალსაჩინოდ და მტკივნეულად აღიქმება სოციო-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებები და უთანასწორობა. ამასთანავე, შესაძლოა, უფრო მეტად უჭირთ დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანებს საზოგადოებაში თავის დამკვიდრება, უფრო ხშირად რჩებიან იმედგაცრუებული სამსახურის ძიების გზაზე. საქართველოს რეგიონული განვითარების 2018-2021 წლების პროგრამაში აღწერილია, რომ თბილისის გარდა, ყველა სხვა რეგიონი, ძირითადად, სოფლის ტიპისაა. ქალაქსა და სოფელს შორის ფარდობითი სიღარიბის დონეებს შორის კი განსხვავება ვლინდება, რომელიც, ბოლო ათი წლის განმავლობაში, კიდევ უფრო გაიზარდა. შემოსავლის, კაპიტალისა და შრომის ძალა კონცენტრირებულია ძირითადად ქალაქებში (საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ევროკავშირი საქართველოსათვის).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ რეგიონებში, ერთმანეთთან გეოგრაფიულად ახლოს მდებარე საცხოვრებელი სახლების გამო, მეტი კოლექტიური შეჭიდულობა და სოციალური ურთიერთობები შეიძლება იყოს ადამიანებს შორის. აღნიშნული შესაძლოა ერთგვარი დამცავი ფაქტორი იყოს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანებისათვის.

სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების კვლევაში საინტერესო შედეგი გამოვლინდა სოციალურად დაუცველის სტატუსის ხანგრძლივობის მიხედვით ჯგუფთაშორისი განსხვავებების კვლევაში.

კერძოდ, ინდივიდუალური მობილობისა და სოციალური კრეატულობის სტრატეგიების გამოყენება უფრო მაღალია 5 და მეტი წლის ხნის ვადის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებში, ვიდრე 1-4 წლის ხანგრძლივობით მქონეებში.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დროის გასვლასთან ერთად, ადამიანები სწავლობენ დაქვემდებარებულ სტატუსთან ერთად ცხოვრებას და შეიმუშავებენ მისი მართვის

სტრატეგიებს. აღნიშნულ გარემოებაზე რესპონდენტები მიუთითებდნენ ხოლმე თვისებრივი კვლევის ჩატარების დროსაც, როდესაც აღნიშნავენ, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების პირველ ხანებში მეტად ნერვიულობდნენ და განიცდიდნენ სხვების რეაქციებს. შემდეგ კი დაიწყეს სხვების დამამცირებელი დამოკიდებულებების უგულებელყოფა და სხვა კოგნიტური რეინტერპრეტაციების გამოყენებას მიმართეს.

შესაბამისად, კოლექტიური თვითშეფასებაც უფრო მაღალია მეორე, ვიდრე პირველ ჯგუფში. სწორედ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების აქტიური გამოყენების კვალდაკვალ უნდა მატულობდეს კოლექტიური თვითშეფაშების დონეც.

აქედან გამომდინარე, ლოგიკური შედეგი იქნა მიღებული იმასთან დაკავშირებითაც, რომ სტიგმის ინტერნალიზება უფრო დაბალია 5 წელი და მეტი ხსნის ვადით სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეებში, ვიდრე მეორე ჯგუფში. აშაკარაა, რომ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების აქტიურ გამოყენებასთან ერთად მცირდება სტიგმის სელფზე ნეგატიური მოქმედება.

სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმა დამოკიდებულია საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტურ შეფასებაზეც. სტიგმის აღქმა, გაცილებით უფრო მაღალია იმ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებში, რომლებიც სხვებთან შედარებით, თავიანთ ეკონომიკურ მდგომარეობას „ძალიან ცუდ"-ად მიიჩნევენ.

აღნიშნული შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ სტატუსის მინიჭებასთან ერთად, სტიგმის აღქმაზე ზეგავლენას ახდენს სხვებთან მიმართებით ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების დონეც. მართალია, ყველა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობები მძიმეა, მაგრამ შიდა ჯგუფური შედარებების გაკეთებისას, როგორც ჩანს, მაინც აქვს მნიშვნელობა სხვებთან შედარებით საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის აღმატებულად შეფასებას. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს კვლევის სიღრმისეული ინტერვიუების

შედეგებიც, სადაც ჩანს, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეები იყენებენ ხოლმე შიდა ჯგუფურ დაღმავალ სოციალურად შედარებებსაც.

## 7.2. სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებულ სტიგმის აღქმას, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებსა და მათთან დაკავშირებულ ცვლადებს შორის კავშირების ანალიზი

კვლევის შედეგად, საინტერესო კავშირები გამოვლინდა სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები გამოვლინდა სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის მხოლოდ ორ სტრატეგიას შორის. ესენია სოციალური კრეატულობა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის გაზრდა.

როგორც ვვარაუდობდით, ნეგატიური მოპყრობის აღქმა, სტიგმის ინტერნალიზება და სტიგმის აღქმის მთლიანი სკალა უარყოფითადაა დაკავშირებული სოციალური კრეატულობის სტრატეგიასთან. სოციალური კრეატულობა კოგნიტურ დონეზე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას გულისხმობს, რაც, ვვარაუდობთ, რომ შეუთავსებელ/დისონანსურ მდგომარეობას ქმნის სტიგმის აღქმისას არსებულ სხვადასხვა ნეგატიურ ემოციასა და აზრთან. სოციალური კრეატულობა მიმართულია მასტიგმატიზებელი ნიშნებისა და გარემოებების გაუფასურებისაკენ სხვადასხვა უპირატესი/დადებითი მახასიათებლის წინ წამოწევისა და ხაზგასმის ხარჯზე. სოციალური კრეატულობისათვის, ასევე, დამახასიათებელია, დაბალი სტატუსისა და მასთან დაკავშირებული უსიამოვნო გარემოებების ექსტერნალური გარემოებებისათვის მიწერა. ასეთი მაკომპენსირებელი მექანიზმები და ატრიბუციები კოგნიტურ და აფექტურ დონეზე დისონანსს უნდა ქმნიდეს სტიგმის აღქმის ორივე განზომილებასთან. სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პიროვნების მიერ მასტიგმატიზებელი გამოცდილების აღქმის შედეგად მომდინარეობს დისტრესის, თვითდადანაშაულების, სტერეოტიპების მიღებისა და სხვა ნეგატიური აზრები და ემოციები. სოციალური კრეატულობის სტრატეგიის გამოყენებისას კი, ადამიანი შეიძლება სხვების მხრიდან სხვადასხვა სახის ნეგატიურ მოპყრობასაც არ ანიჭებდეს

სუბიექტურ მნიშვნელობას, აუფასურებდეს მის მიმართ არსებულ უარყოფით რეაქციებსა თუ დამოკიდებულებებს და ცხოვრებისეული გამოცდილებების პოზიტიურ რეინტერპეტაციებს აკეთებდეს.

განსხვავებული მიმართულების კორელაციური კავშირი გამოვლინდა შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიასა და სტიგმის აღქმას, ნეგატიური მოპყრობის აღქმასა და სტიგმის ინტერნალიზებას შორის. კერძოდ, კვლევის შედეგად, მათ შორის დადებითი კავშირი გამოვლინდა. აღნიშნული კავშირის ლოგიკური ახსნა შესაძლებელია შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიის თავისებურების გაანალიზების შედეგად. კერძოდ, შიდა ჯგუფური შეჭიდულობისას სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები იკვრებიან ერთ გუნდად და გამოეყოფიან გარე ჯგუფს. მოცემული ქცევითი სტრატეგია აუცილებლივ არ გულისხმობს იმას, რომ ერთად გაერთიანებული სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები იყენებენ სტიგმის კოგნიტური დაძლევის სტრატეგიებს. ამას მოწმობს შიდა ჯგუფური შეჭიდულობისა და სოციალური კრეატულობის სტრატეგიებს შორის გამოვლენილი სუსტი კორელაციური კავშირიც. სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალურად დაუცველთა ერთ გუნდად შეკვრის უმთავრესი მიზეზი მოსალონდელი სტიგმატიზაციისა და თავის პოტენციურად დამცირებულად გრძნობისაგან თავის არიდებაა. ესე იგი, ამ სტრატეგიის მიმართვისას ადამიანები უკვე აღიქვამენ მათ მიმართ ნეგატიურ მოპყრობას, პერსონალურ დონეზე ნეგატიურად განიცდიან უარყოფით დამოკიდებულებებს და ინტერნალიზებული აქვთ მოსალოდნელი სტიგმატიზაციის შიში. შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიის გამოყენების პირობებში, ისინი ამცირებენ მათ ცხოვრებაში ყოველდღიური უსიამოვნო გამოცდილებების არსებობას, თუმცა, სტიგმატიზაციის შიში ინტერნალიზებულ დონეზე კვლავ რჩება. ამასთანავე, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიისას ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მასტიგმატიზებელ გამოცდილებებს. შედეგად, ისინი გამოცდილებაში იღებენ არა მხოლოდ მათ პერსონალურ, არამედ კოლექტიურ მასტიგმატიზებელ გამოცდილებებსაც. შესაბამისად, ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნული გარემოებების გაანალიზების შედეგად

შეიძლება აიხსნას შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიასა და სტიგმის აღქმას შორის დადებითი კორელაციური კავშირის გამოვლენა.

კოლექტიური გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებული ჩვენი ეს თვალსაზრისი, გარკვეულწილად ეწინააღმდეგება უფრო ადრე ჩატარებულ კვლევებს, რომელთა მიხედვითაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები სუსტდება, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის ჯგუფრად აღქმას. მაგალითად, რაც უფრო მეტი ქალი აღიქვამს თავს გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლად, ან, რაც მეტია აფრიკელი ამერიკელების მიერ რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლად თავის აღქმა, მით უფრო სუსტდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული სიმპტომები (Landrine, Klonoff, Gibbs, Manning, & Lund,1995; Landrine & Klonoff, 1996; Branscombe & Ellemers, 1998).

თუმცა, საინეტერსო შედეგებია მიღებული პროსტიტუციაში ჩართული და აივ-ინფქციის მქონე ქალების მიერ სტიგმის განცდისას ჯგუფური შეჭიდულობის შესახებ ჩატარებულ კვლევაში. გამოვლინდა, რომ ამ სტრატეგიას შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს იდენტობის რეკონსტრუქციაში. თუმცა, ასევე, აღნიშნულია, რომ შეჭიდულობის ფარგლებში სოციალური ინტერაქციებისას, ადგილი უნდა უქნდა ჰქონდეს ისეთი კოლექტიური ნარატივების პრაქტიკას, რომელიც დე-მასტიგმატიზებელი იქნება (Carrasco, Nguyen, Barrington, Perez, Donastorg & Kerrigan, 2016).

მოცემული კვლევის შედეგების გათვალისწინებითაც, ვფიქრობთ, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეების მხოლოდ ერთად შეკვრის მცდელობას ისეთი დადებითი შედეგი შეიძლება არ მოჰყვებოდეს, თუ არ ექნება ადგილი დე-სტიგმატიზაციის ხელშემწყობი ნარატივების წარმოშობას და კოლექტიურ პოზიტიურ რეინტერპრეტაციებს. სწორედ ეს გზა უნდა იყოს ეფექტური პოზიტიური სოციალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიასა და სტიგმის აღქმის განზომილებებს შორის. ვვარაუდობდით, რომ მათ შორის ნეგატიური კავშირი უნდა

ყოფილიყო. მიღებული შედეგი ეწინააღმდეგება ტაჯფელისა და ტერნერის თეორიაში გამოქმულ მოსაზრებასაც იმასთან დაკავშირებით, რომ მობილობის სტრატეგია პოზიტიური სოციალური იდენტობის ფორმირების ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა (Tajfel, 1974, 1978; van Knippenberg, 1978, 1984; Jackson, Sullivan, Harnish & Hodge, 1996).

მიღებული შედეგი შეიძლება განპირობებული იყოს თავად ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიის სპეციფიკურობით. აღნიშნული სტრატეგია, დანარჩენი სტრატეგიებისაგან განსხვავებით, აქტიური და პრობლემის დაძლევაზე ორიენტირებული მექანიზმია. მისი კავშირი დანარჩენ სტრატეგიებთან, ასევე, ორაზროვანია. კერძოდ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ინდივიდუალურ მობილობასა და შიდა ჯგუფურ შეჭიდულობას შორის კავშირი არ ვლინდება, თუმცა, სოციალური კრეატულობის სტრატეგიასთან საშუალო სიძლიერის დადებით კავშირშია. აღნიშნული სტრატეგიები კი, თავის მხრივ, სხვადასხვა მიმართულების კორელაციურ კავშირშია სტიგმის აღქმის საერთო სკალასა და განზომიელებებთან (შიდა ჯგუფური შეჭიდულობა დადებით კავშირშია სტიგმის აღქმასთან, სოციალური კრეატულობა კი უარყოფითში). ამასთან ერთად, მართალია, ინდივიდუალური მობილობის დროს განხორციელებული სტატუსის ასამაღლებელი აქტიური მცდელობები შეუთავსებელი უნდა იყოს სტიგმის ინტერნალიზების კომპონენტთან, რომელიც დაქვემდებარებული სტატუსის იდენტობის დონეზე მიღებას მეტად უკავშირდება. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიის გამოყენებისას ადამიანები კვლავ მნიშვნელოვნად შეიძლება განიცდიდნენ ნეგატიური მოპყრობის აღქმას. ისინი, ამ დროს, მეტად ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ურიერთობა უწევთ გარე ჯგუფების წარმომადგენლებთან, რაც სტიგმატიზაციის შემთხვევებს შეიძლება ზრდიდეს. ასე რომ, ვფიქრობთ, ინდივიდუალური მობილობის სტრატეგია სხვა ურთიდერთდაკავშირებულ ცვლადებთან ცალსახა კავშირებში ვერ იქნება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს მასა და სტიგმის აღქმას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირის არარსებობას.

ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიასა და სხვა ცვლადებს შორის გამოვლენილი ურთიერთკავშირის ბუნების უკეთ გაგების მიზნით ჩატარდა მედიაციური ანალიზი, სადაც შედეგის ცვლადად ინდივიდუალური მობილობის სტრატეგია განვიხილეთ,

მედიატორის როლში გამოვიყენეთ ინდივიდუალური თვითშეფასება, პრედიქტორ ცვლადად კი - სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ გამოვლინდა ნაწილობრივი მედიაცია.

სოციალური იდენტიფიკაციის ხარისხი მართლაც მნიშვნელოვან დონეზე ხსნის ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიის ვარიაბელობას, თუმცა, მათ შორის კავშირს ამლიერებს, ასევე, ინდივიდუალური თვითშეფასება. ნაშრომის დასაწყისში არსებული თეორიული მიმოხილვისასაც აღინიშნა, რომ ინდივიდუალური მობილობა, როგორც მეტად პერსონალურ დონეზე მოქმედი სტრატეგია, ნეგატიურ კავშირში უნდა იყოს სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხთან. აღნიშნული სტრატეგიის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო მეტად ემსახურება პოზიტიური იდენტობის მიღწევას პერსონალურ/ინდივიდუალურ დონეზე, და არა ჯგუფურზე. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მას უფრო მეტად უნდა მიმართავდნენ ის ადამიანები, რომლებიც შიდა ჯგუფთან საკუთარი თავის დე-იდენტიფიკაციას ახდენენ (Branscombe & Ellemers, 1998). სწორედ ჯგუფთან დაბალი იდენტიფიკაციის პირობებში ექნება ადამიანს ზედა სოციო-ეკონომიკურ ჯგუფებში გადანაცვლების მცდელობა. კვლევის შედეგად ვლინდება, ასევე, ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის უარყოფითი კავშირი ინდივიდუალური თვითშეფასების ცვლადთან. თუმცა, ინდივიდუალური მობილობა დადებითადაა დაკავშირებული ინდივიდუალურ თვითშეფასებასთან, რაც სავსებით ლოგიკურია. ინდივიდუალური თვითშეფასება უნდა განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიის გამოყენების ხელშემწყობი ფაქტორი. ასევე, ინდივიდუალური თვითშეფასება აშუალებს სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციასა და ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიას შორის კავშირს.

დამატებით უნდა მივუთითოთ, რომ დადებითი მე-კონცეფციის შენარჩუნებისათვის ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების დადებით როლზე მიანიშნებს სტრატეგიებსა და საკუთარი თავისა და ღარიბთა ჯგუფის ვაინრაიხის იდენტობის ფორმატით გაკეთებულ შეფასებებს შორის დადებითი კორელაციური კავშირები. თუმცა, შიდა ჯგუფური შეჯიდულობის სტრატეგია, ამ შემთხვევაში, უარყოფითი კავშირით ხასიათდება საკუთარი თავის შეფასებასთან, რაც, ლოგიკურია,

თუ გავიხსენებთ მის პოზიტიურ კავშირს სტიგმის ინტერნალიზებასთან. აშკარაა, რომ აღნიშნულ სტრატეგიას დადებითი წვლილი არ შეაქვს პოზიტიური თვით-ხატის შენარჩუნებაში.

სტიგმის აღქმის განზომილებებსა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის გამოვლენილი კავშირების უკეთ გაანალიზებისათვის მნიშვნელოვანია ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების სახეების მათთან მიმართებით განხილვა.

კვლევის დასაწყისშივე ივარაუდებოდა და სავსებით ლოგიკურია შედეგები იმასთან დაკავშირებით, რომ სტიგმის აღქმა და მისი განზომილებები უარყოფით კავშირშია თვითშეფასების ორივე სახესთან. სტიგმის აღქმისას ადგილი აქვს არა მხოლოდ პერსონალურ დონეზე დაცემული თვითღირებულების განცდას, არამედ ჯგუფურ დონეზეც, შემცირებული კოლექტიური თვითშეფასების არსებობას. ვფიქრობთ, სტიგმის სხვა სახეებისაგან განსხვავებით, ჯგუფური სტიგმა ორმაგად დამაზიანებელია პიროვნებისათვის, რადგან პერსონალური და სოციალური იდენტობის შეფასებიდან მომდინარე ნეგატიურ ემოციებს აქვს ადგილი.

ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიათა უმეტესობა დადებით კავშირშია ინდივიდუალური თვითშეფასების ცვლადთან. გამონაკლისია შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგია, როდესაც ნეგატიურ კორელაციას აქვს ადგილი. გასათვალისწინებელია, რომ შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგია დადებით კავშირშია სტიგმის აღქმასთან. მისი თვითშეფასებასთან უარყოფითი კორელაცია კიდევ მეტად მიანიშნებს იმაზე, რომ ამ სტრატეგიის გამოყენების უმთავრესი მიზეზი ინტერნალიზებული სტიგმატიზაციის შიშია. ერთად შეკვრის საშუალებით, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეები თავიდან იცილებენ მასტიგმატიზებელ გამოცდილებებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოზიტიური რეინტრეპრეტაციების ან სხვა კოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით პოზიტიური თვითხატის შენარჩუნებას აღწევენ.

სოციალური კრეატულობის სტრატეგია გაცილებით უფრო ძლიერ კორელაციურ კავშირშია კოლექტიურ თვითშეფასებათან ($r$ = .52), ვიდრე ინდივიდუალურ

თვითშეფასებასთან ($r$ = .21). მიუხედავად იმისა, რომ სოციალური კრეატულობის სტრატეგიისას ადამიანმა შეიძლება მიმართოს ჯგუფშიდა დაღმავალ სოციალურ შედარებას, რა დროსაც ის თავის თავს ჯგუფის სხვა წევრებისაგან აღმატებულად წარმოაჩენს, წამყვანი მაინც ჯგუფურ დონეზე თვითდაცვითი მსჯელობების გამოყენებაა. ვფიქრობთ, სწორედ ამით აიხსნება ინდივიდუალურ თვითშეფასებასთან შედარებით, კოლექტიურ თვითშეფასებასთან უფრო ძლიერი კორელაციური კავშირი.

როგორც მსჯელობიდან ჩანს, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების გამოყენება მნიშვნელოვნად უკავშირდება ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების დონეებზე მიმდინარე თავისებურებებს. იქიდან გამომდინარე, რომ სტრატეგიებთან ერთად, თვითშეფასების სახეებიც კავშირშია სტიგმის აღქმასთან, გადაწყდა, იერარქიული რეგრესიული მოდელების შედეგების მიხედვით გაანალიზებულიყო სტიგმის აღქმის ვარიაბელობის ფაქტორები.

სტიგმის აღქმის ორივე განზომილების შემთხვევაში, სტრატეგიების როლი შემოწმდა ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ცვლადების გაკონტროლების პირობებში. სტიგმის ინტერნალიზების შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ სწორედ ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ხარჯზე მიმდინარეობს სტიგმის ინტერნალიზების ვარიაცია, რადგან მათი გაკონტროლების შემდეგ, სოციალური კრეატულობისა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიებმა სტიგმის ინტერნალიზების განზომილებისათვის პრედიქტორული ღირებულება დაკარგა. აღნიშნული შედეგი მნიშვნელოვანია, რადგან იკვეთება ორივე სახის თვითშეფასების მნიშვნელოვანი როლი სტიგმის ინტერნალიზების თავისებურების შესწავლაში.

ცოტა განსხვავებული შედეგები გვაქვს მიღებული ნეგატიური მოპყრობის აღქმის შემთხვევაში. ამ შემთხვევაშიც, ნეგატიური მოპყრობის აღქმის გაცილებით უფრო მეტი წილი იხსნება ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასებით. თუმცა, საბოლოო მოდელში, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგია, კოლექტიურ თვითშეფასებასთან ერთად, ინარჩუნებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან წილს ნეგატიური მოპყრობის აღქმის ვარიაციაში. საგულისხმოა, რომ შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიას დადებითი მიმართულებით შეაქვს წვლილი ნეგატიური მოპყრობის აღქმაში. ამ ორ ცვლადს შორის მიმართება ზემოთ უკვე გავაანალიზეთ და

აღვნიშნეთ, რომ შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიისას მაინც აქვს ადგილი აღქმულ სტიგმატიზაციას. მეტიც, ნეგატიური მოპყრობის აღქმა შეიძლება გაზრდილიც იყოს გაზიარებული კოლექტიური გამოცდილებების გათვალისწინებით. თუმცა, კოლექტიური თვითშეფასება, ნეგატიური მოპყრობის აღქმასთან მიმართებით, არსებულ იერარქიულ რეგრესიულ მოდელშიც თვითდაცვით როლს იძენს.

აშკარაა, რომ თვითშეფასების ორივე სახე მნიშვნელოვანი წვლილის მქონეა სტიგმის აღქმის განცდაში. ამასთანავე, მიღებული შედეგებიდან ირკვევა, რომ შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგია შეიძლება არ იყოს ქმედითი სტრატეგია თვითშეფასების გაუმჯობესებისა და სტიგმის აღქმის შემცირების თვალსაზრისით.

სადოქტორო კვლევის მიზანი იყო ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებთან ერთად, შესგვესწავლა თვითშეფასების როლი სტიგმის აღქმის განცდაში. კვლევის მიზანი არ ყოფილა იმის გაანალიზება, თუ რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ნეგატიური მოპყრობის აღქმასა და სტიგმის ინტერნალიზებას თვითშეფასებაზე. გასათვალისწინებელია, რომ თვითშეფასებასა და სტიგმას შორის კავშირების შესახებ ემპირიული კვლევები, ჩვეულებრივ, არ ამტკიცებს ვარაუდს იმის შესახებ, რომ სტიგმატიზებული ჯგუფის წევრებს ზოგადი თვითშეფასების დაბალი დონე უნდა ჰქონდეთ. აღნიშნული შედეგები გასაკვირი არაა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ტაჯფელისა და ტერნერის (1979) სოციალური იდენტობის თეორიას, რომლის მიხედვითაც დაბალი სტატუსის ჯგუფის წევრები თვით-ხატის გასაუმჯობესებელ სტრატეგიებს მიმართავენ. ჩვენს კვლევაში, სტიგმის აღქმაში თვითშეფასების როლის გასაანალიზებლად ვიზიარებთ კროკერისა და მეიჯორის (1989) დაშვებას იმასთან მიმართებით, რომ თვითშეფასება მარტივად შეიძლება არ იცვლებოდეს და ეცემოდეს მასტიგმატიზებელი გამოცდილებების შედეგად (Crocker & Major, 1989). პირიქით, მნიშვნელოვანია, თავად შეჰქონდეს დიდი წვლილი სტიგმის აღქმისა და სელფზე მისი ზეგავლენის მოხდენაში.

საბოლოოდ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სოციალურად დაუცველთა სტატუსის ჯგუფის წევრების მიერ ნეგატიური თვითხატის ფორმირების მიერ სხვადასხვა

სტრატეგიის გამოყენება ტაჯფელისა და ტერნერის თეორიის (1981) ძირითადი პოსტულატებს კიდევ ერთხელ ამყარებს.

ამასთანავე, სოციალურად დაუცველთა სტატუსის ჯგუფის წევრების მიერ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების გამოყენების შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ  კვლევის შედეგად, საკუთარი თავის შეფასებები სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე, ზოგადად, სოციალურად დაუცველთა ჯგუფის წევრების დახასიათება.

## 7.3. სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის ანალიზი სხვა ცვლადებთან მიმართებით

გასაკვირი არაა, რომ ვაინრაიხის ფორმატით სოციალური იდენტიფიკაციის ხარისხის შეფასების შედეგების მიხედვით, მდიდარ ჯგუფს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეები გაცილებით უფრო დადებითად აფასებენ, ვიდრე თავიანთ ჯგუფს. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ინტერ-ჯგუფური შედარებისას, სოციალურად დაუცველობა უფრო ნეგატიურ სტატუსად აღიქმება. ამასთან ერთად, საკმაოდ მაღალია მათი ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხი. შესაბამისად, გარე ჯგუფთან მიმართებით, თავიანთი ჯგუფის/სოციალური იდენტობის შინაარსები ნეგატიურადაა დატვირთული. ეს მოსალოდნელი იყო იმდენად, რამდენადაც ღარიბთა/სოციალურად დაუცველთა ჯგუფი ყოველთვის დაბალ ადგილზეა საზოგადოებაში სხვადასხვა ნიშნის მიხედვით არსებულ იერარქიულ წყობებზე. ამას თან ერთვის მასტიგმატიზებელი გამოცდილებები და სტიგმის ინტერნალიზება, რაც საბოლოოდ სოციალურად დაუცველთა ჯგუფის წევრების გაუფასურებულ, უარყოფითი კონტექსტით დატვირთული იდენტობის ტრანსფორმაციასა და ფორმაციას განაპირობებს. აშშ-ში ჩატარებული კვლევების მიხედვით, სიღარიბის განსაზღვრა დიდწილად უკავშირდება მთელ რიგ ნეგატიური სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს სიღარიბეში მცხოვრებთა მიმართ და აღნიშნული უმნიშვნელოვანეს დაუძლეველ სტიგმად რჩება იქაურ საზოგადოებაშიც (Reingold & Piña, 2014).

ლოგიკური იყო გვევარაუდა, რომ კავშირი იქნებოდა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეთა ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხსა და სტიგმის ინტერნალიზებას შორის. ვვარაუდობდით, რომ მასტიგმატიზებელ ჯგუფთან საკუთარი თავის მიკუთვნებულობისას ადგილი უნდა ჰქონოდა სტატუსიდან მომდინარე სტიგმის სელფის დონეზე განცდასა და სოციალური იდენტობის ტრანსფორმაციას. თუმცა, ამ ორ ცვლადს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა.

ვფიქრობთ, მიღებული შედეგი შეიძლება უკავშირდებოდეს სტიგმის ინტერნალიზებასა და სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის ცვლადების სხვადასხვანაირ კავშირებს ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების სახეებთან. კერძოდ, ორივე მათგანი ნეგატიურადაა დაკავშირებული ინდივიდუალურ თვითშეფასებასთან. თუმცა, სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის საზომი, სტიგმის ინტერნალიზებისაგან განსხვავებით, სტატისტიკურად მნიშვნელოვან კორელაციურ კავშირში არაა კოლექტიურ თვითშეფასებთან. სტიგმის ინტრენალიზების კოლექტიურ თვითშეფასებთან კავშირი კი საკმაოდ ძლიერი ნეგატიური კორელაციით ხასითდება ($r = -.79$, $p < .01$).

თავის მხრივ, სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხის მიმართება ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიასთან ზემოთ უკვე გავაანალიზეთ, მედიაციის მოდელის შედეგების განხილვისას.

## 7.4. ეკონომიკური სისტემის გამართლების ანალიზი კვლევის კონტექსტში

ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან მიმართებით გამოვლენილმა კავშირებმა შეცვალა კვლევის დასაწყისში გამოთქმული ჩვენი ვარაუდები მისი სხვა კონსტრუქტებთან კავშირის შესახებ.

ეკონომიკური სისტემის გამართლება სტატისტიკურად მნიშვნელოვან კორელაციურ კავშირში არ აღმოჩნდა სტიგმის აღქმის არცერთ განზომილებასთან. თუმცა, ის უკავშირდება ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სამივე სტრატეგიას.

ჩვენ ნაშრომის დასაწყისში, თეორიული მიმოხილვისას, აღვნიშნეთ, რომ ეკონომიკური სისტემის გამართლებისაკენ ტენდენცია შეიძლება სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მიერ სიღარიბის აქტიურ, პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ დაძლევას არ უკავშირდებოდეს. შედეგად, ვვარაუდობდით, რომ ეკონომიკური სისტემის გამართლება ნეგატიურ კორელაციურ კავშირში იქნებოდა ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიასთან. აღნიშნული განპირობებული იყო ეკონომიკური სისტემის გამართლების თეორიის მიხედვით, დაბალი სტატუსის ჯგუფის წევრების მიერ, თავიანთი დაქვემდაბარებული სტატუსის სოციუმში ლეგიტიმურად მიჩნევასთან დაკავშირებული პოსტულატებით. თუმცა, ჩვენი კვლევის შედეგების ერთ-ერთი საინტერესო გარემოება უკავშირდება იმას, რომ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სამი სტრატეგიიდან, სწორედ ინდივიდუალურ მობილობასთან აქვს ეკონომიკური სისტემის გამართლების ცვლადს ყველაზე ძლიერი ხარისხის დადებითი კორელაცია.

ვფიქრობთ, მიღებული შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური სისტემის გამამართლებელი რწმენების არსებობა ყოველთვის შეიძლება არ გულისხმობდეს არსებული რეალობის პასიურ მიღებას. პირიქით, ამ დროს ადამიანი მაინც შეიძლება ცდილობდეს მისი ცხოვრებისეული პირობების შეცვლას. ინდივიდუალური სოციალური მობილობის ფარგლებში სხვადასხვა მცდელობის განხორციელებისას, ის შეიძლება ამართლებდეს არსებულ ეკონომიკურ წყობას, თუმცა, არა როგორც დაბალ სტატუსს მიკუთვნებული ჯგუფის წევრი. პირიქით, სამსახურის ძიებისას, სწავლისას, შრომისას, ის ეკონომიკური სისტემის გამართლებას შეიძლება ახდენდეს სხვა კონტექსტუალური პერსპექტივიდან. კერძოდ, იმ იმედით, რომ მისი მცდელობები უშედეგოდ არ დარჩება, „ყველა იმას მიიღებს, რასაც იმსახურებს" და თავადაც გადაინაცვლებს უფრო მაღალი სტატუსის სოციო-ეკონომიკურ ჯგუფებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინდივიდუალური მობილობისას განცდილი სოციალური მობილობის შესაძლებლობა უკავშირდება ეკონომიკური სისტემის გამართლებასაც. სამომავლოდ, საინტერესოა, ამ ორ ცვლადს შორის არსებული კავშირის უკეთ გაანალიზების მიზნით, მათთან მიმართებით, აღქმული სოციალური მობილობის ცვლადის შესწავლაც.

აღნიშნული შედეგი, ასევე, ამყარებს ჩვენ მიერ ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში განხილულ ტაჯფელისა და ტერნერის თეორიაში (1981) გამოთქმულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დაქვემდებარებული სტატუსის ჯგუფის წევრები არსებული სტატუს ქვოს გამართლებულად მიიჩნევენ მანამ, სანამ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების გამოყენებას მიმართავენ.

ჩვენი კვლევის შედეგად ნათლად ჩანს, რომ საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები იყენებენ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს. ეკონომიკური სისტემის გამართლების ცვლადიც, ინდივიდუალური მობილობის გარდა, სოციალური კრეატულობისა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიებთანაცაა სტატისტიკურად მნიშვნელოვან კორელაციურ კავშირში. გავიხსენოთ, რომ ჯოსტისა და ბანაჯის (1994) მიხედვით, ადამიანებს, სისტემის გამართლების მოტივთან ერთად, შეიძლება ჰქონდეთ ეგოსა და ჯგუფის გამართლების მოტივებიც. აღნიშნული ორი მოტივი ინდივიდუალური მე-სა და სოციალური იდენტობის დაცვის მიზანს შეიძლება ასრულებდეს. ავტორები მიიჩნევდნენ, რომ საზოგადოების დაქვემდებარებული ჯგუფების შემთხვევებში, აღნიშნული მოტივები შეიძლება ერთმანეთთან უთანხმოებაში მოდიოდეს. თუმცა, ჩვენი კვლევის შედეგები ამაზე არ მიუთითებს. გამოვლენილი დადებითი კავშირები გულისხმობს, რომ ეკონომიკური სისტემის ლეგიტიმურად მიჩნევისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჯგუფის გამართლების ტენდენციასაც. ვფიქრობთ, ეკონომიკური სისტემის გამართლებასთან დაკავშირებით მიღებული შედეგები შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეები განიცდიან სხვადასხვანაირ რწმენას ერთდროულად, ისინი ცდილობენ როგორც საკუთარი ჯგუფის, ისე არსებული ეკონომიკური სისტემისა და ეგოს გამართლებას. ვფიქრობთ, აღნიშნული ტენდენცია მათში შეიძლება უფრო მეტ დისონანსს და დაძაბულობას იწვევდეს, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა, მხოლოდ არსებული ეკონომიკური სისტემა რომ მიეჩნიათ ლეგიტიმურად ჯგუფის გამართლების დათმობის ხარჯზე, ან - პირიქით. ამ მიმართულებით, სამომავლოდ, შეიძლება საინტერესო ქვაზი-ექსპერიმენტული დიზაინის კვლევის

დაგეგმვა რწმენებსა და ემოციებს შორის განსვლისა და მასთან დაკავშირებული დისტრესის კვლევის მიზნით.

მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისას, ასევე, უნდა აღინიშნოს ის, რომ მე-სა და ჯგუფის გამამართლებელი ტენდენციები შეიძლება დაპირისპირებაში მოვიდეს მხოლოდ მკვეთრად ინტერნალიზებულ ეკონომიკური სისტემის გამართლების რწმენებთან. ვფიქრობთ, საჭიროა ეკონომიკური სისტემის გამართლების ახალი სკალების შემუშავება, რომელიც ინტერნალიზების ასპექტის გაზომვაზე მეტად ორიენტირებული იქნება.

# თავი VIII

## 8.1. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

სტიგმის კვლევაში ახალი მიმართულებაა სტიგმის კვლევა თავად სამიზნის აღქმებზე დაყრდნობით, რომლებშიც სტიგმის აღქმის სხვადასხვა შემადგენელი ასპექტის გამოკვეთაზეა ხოლმე ყურადღება გამახვილებული. სიღარიბის კონტექსტში სტიგმის აღქმის შესახებ საზღვარგარეთ ჩატარებულ კვლევებში ნაჩვენები იყო, რომ შესწავლის საგანი უნდა იყოს როგორც სტიგმატიზაციის შემთხვევების აღქმა, ასევე ინტერნალიზაციასთან დაკავშირებული ემოციები. ჩვენი კვლევის შედეგად, სტიგმის აღქმის კონსტრუქტის შესწავლაში, მნიშვნელოვანია სტერეოტიპების გაზიარებასთან/მიღებასთან დაკავშირებული დებულებების სტიგმის ინტერნალიზებაში მოქცევა. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმის შესახებ, რომ სტიგმის ინტერნალიზებისას, უკვე ადგილი აქვს მე-კონცეფციაში ცვლილებების შეტანას, საზოგადოების მიერ მიწერილი ვირტუალური იდენტობის საკუთარ იდენტობად ქცევის პროცესს.

ამას გარდა, საქართველოში სიღატაკეში მცხოვრები ადამიანებისა და სიღატაკის ფენომენის კვლევის მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ ადაპტირდა სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმის სკალა.

საქართველოში ჩატარებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კვლევებში, აქამდე აქტუალური არ ყოფილა ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების შესწავლა. ამ მიმართულებით, საგულისხმო შედეგები იქნა მიღებული არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო დონეზე კვლევების მიმართულებითაც. კერძოდ, ვგულისხმობთ შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიის გამოყოფას და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების ტაქსონომიაში შეტანის მცდელობას. მართალია, აღნიშნული მოდელის ფაქტორული სტრუქტურის ემპირიული შემოწმების შედეგად საუკეთესო შედეგები არ იქნა მიღებული, მაგრამ მაჩვენებლები მისაღებია. ეს ამ მიმართულებით მომდევნო კვლევების გაგრძელებისა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობის, როგორც სტრატეგიის დამატების მიზანშეწონილობის შესწავლისათვის საფუძველს ქმნის. აღსანიშნავია,

რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის შემთხვევაში, რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, შიდა ჯგუფური შეჭიდულობა თვითდაცვით როლს ნაკლებად ასრულებს. ამ შედეგს ვუკავშირებთ კოლექტიური მასტიგმატიზებელი გამოცდილებების გაზიარებას და ნეგატიური ინტერპრეტაციებით სავსე სოციალურ ინტერაქციებს. თუმცა, ვფიქრობთ, პოზიტიური რეინტერპეტაციების შემთხვევაში, აღნიშნულ სტრატეგიას შეიძლება დადებითი წვლილი შეჰქონდეს სტიგმის ნეგატიური მოქმედების წინააღმდეგ. საჭიროა შიდა ჯგუფური შეჭიდულობის ქვე-სკალის ამ მიმართულებით მოდიფიცირება და კვლევების გაგრძელება.

აღსანიშნავია, რომ ტაჯფელისა და ტერნერის ორიგინალურ თეორიაში (1981) გამოყოფილმა სოციალურმა შეჯიბრის სტრატეგიამ საერთოდ არ იჩინა თავი საქართველოს კონტექსტში. აღნიშნული აბსოლუტურად გასაგებია, რადგან დღევანდელი სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი აღარ გულისხმობს ე.წ. „მუშათა კლასის" მოძრაობებსა და რევოლუციების მცდელობებს სოციალური ცვლილებებისათვის. შესაბამისად, თეორიაში მოცემული კლასიფიკაცია საჭიროებს გადახალისებას კონკრეტული საკვლევი ჯგუფისა და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ამ მიზნით, ჩვენს შემთხვევაში, გაამართლა კვლევის თვისებრივი მეთოდით დაწყებამ, რადგან სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ადამიანების ქცევითი სტრატეგიების ინდუქციურ-დედუქციური გზით შესწავლისა და მათი თავისებურებების სიღრმისეულად გაანალიზების შესაძლებლობა გვქონდა.

მოცემული კვლევის ფარგლებში, საქართველოში პირველი ნაბიჯი გადაიდგა ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სკალის შემუშავების მიმართულებითაც. აღნიშნული გამოცდილება გამოსადეგი იქნება არა მხოლოდ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის, არამედ სხვა მოწყვლადი ჯგუფების შესწავლის შემთხვევაშიც, მოცემული თეორიული საფუძვლების გამოყენების შედეგად.

მნიშნელოვანია, რომ სტიგმის აღქმასა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების კონსტრუქტებს შორის კავშირის შემსწავლელი კვლევები არ განხორციელებულა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო კვლევების

დონეზეც. ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სტიგმის დაძლევის მექანიზმებად განხილვა სიახლეს წარმოადგენს.

ამ მიმართულებით, საინტერესო შედეგები იქნა მიღებული სტიგმის აღქმის განზომილებებსა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებს შორის გამოვლენილი კავშირების გაანალიზების შედეგად. გამოიკვეთა იმ სტრატეგიების როლი, რომელიც სტიგმის აღქმასთან მიმართებით დამცავ როლს შეიძლება ასრულებდეს. ასევე, გაანალიზდა ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების სახეების მიმართება სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიებთან მიმართებით.

მნიშვნელოვანია, რომ ადაპტირდა კოლექტიური თვითშეფასებისა და ეკონომიკური სისტემის გამართლების სკალები. აღნიშნული ორი კონსტრუქტის რომელიმე ჯგუფთან მიმართებით შესწავლა საქართველოში აქამდე ჯერ არ იყო განხორციელებული. შესაბამისად, ამ მიმართულებითაც გაგრძელდება სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების ჩატარება და აღნიშნული ცვლადების სხვადასხვა მოდელში გაანალიზება.

ვფიქრობთ, გამოყენებითი ფსიქოლოგიის როლი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ სიღატაკეში მცხოვრები ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით უნდა იყოს. 2010-2013 წლების განმავლობაში, სიღარიბის შესახებ „გლობალური სპეციალური გამოცემის“ ფარგლებში ცხრა საერთაშორისო ფსიქოლოგიური ჟურნალი გაერთიანდა და კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის როლი სიღატაკის შემცირების მიზნით ინტერვენციების შემუშავებაში.

ჩვენი კვლევა, სოციალურ-ფსიქოლოგიურ თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით, საქართველოში სიღატაკის საფუძვლიანი შესწავლის ერთ-ერთი პირველი წინ გადადგმული ნაბიჯია. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ გარკვეული პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთა გატარება მნიშვნელოვანი იქნება სოციალური პოლიტიკის დონეზე.

- მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანებისათვის მხოლოდ ფულადი სოციალური დახმარების გაცემა შეიძლება საკმარისი არ იყოს მათი სოციალური მობილობისათვის. იმისათვის, რომ არ გახდნენ ფულად დახმარებაზე დამოკიდებული, მნიშვნელოვანია მათი დახმარება სხვა შემოსავლების ძიებაში. კვლევისას გამოიკვეთა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანებს აქვთ არასტაბილობის განცდა სამსახურის ქონის თვალსაზრისით. ეშინიათ, რომ სამსახურის დაკარგვისას, დახმარებას აღარ დაუნიშნავენ. შესაბამისად, ამ მიმართულებით შეიძლება მათთვის გარკვეული გარანტიების შეთავაზება, რათა სამსახურის ძიება არ შეწყვიტონ;
- კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სტატუსთან დაკავშირებული პოზიტიური რეინტერპრეტაციები და ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების მაღალი დონე  მნიშვნეოვან დამცავ როლს თამაშობს სტიგმის ნეგატიური ეფექტების წინააღმდეგ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მათთვის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა ტრენინგისა და აქტივობების შეთავაზება. აღნიშნული დადებით შედეგს გამოიღებს მათი თავდაჯარებულობის მომატებისა და სოციალური მობილობის მცდელობების მიმართულებით;
- შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიასთან დაკავშირებით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ აღნიშნული ქცევითი პატერნი შეიძლება სასარგებლო არ იყოს სტიგმის სელფზე მოქმედებისა და სიღატაკის პრობლემის დაძლევაზე მიმართული სტრატეგიების გამოყენების თვალსაზრისით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების გარიყვა და იზოლაცია საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანების მიმართ არსებული სტიგმის საწინააღმდეგო კამპანიების იმპლემენტაცია. ამის პარალელურად კი, სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური კლასის წარმომადგენლებს შორის კონტაქტის ხელშეწყობა ინტერ-ჯგუფური ღონისძიებების დაგეგმვის გზით;

- მნიშვნელოვანია, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებთან მომუშავე სოციალური აგენტები გადამზადნენ ოჯახის გაძლიერებაზე მიმართული ინტერვენციების დაგეგმვის მიმართულებით. დადებით შედეგს გამოიღებს, თუ ისინი ოჯახის წევრებს დაეხმარებიან სხვადასხვა პიროვნული რესურსის გაძლიერებაში და მხოლოდ სოციალური დახმარების დანიშვნით არ შემოიფარგლება ოჯახებთან მათი ურთიერთობა. მნიშვნელოვანია, თითოეული ოჯახის შემთხვევაში შემუშავდეს ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გეგმა, სადაც გაწერილი იქნება ის ყოველთვიური აქტივობები, რაც ოჯახის წევრებს გაძლიერებასა და გრძელვადიანი სამომავლო მიზნების დასახვაში დაეხმარება;
- განსაკუთრებული გაძლიერება სჭირდებათ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახების არასრულწლოვან წევრებს. მნიშვნელოვანია, სკოლის დონეზე სხვადასხვა პროგრამის არსებობა, რათა არ მოხდეს მათი სტატუსის სკოლაში გასაჯაროება და სტიგმატიზება. მნიშვნელოვანია, მათი დახმარება ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებასა და მომავლის დაგეგმვაში, რათა არ მივიღოთ თაობიდან თაობაზე გარდამავალი სოციალური დაუცველობა.
- კვლევა ცალსახად აჩვენებს, რომ ტერმინი სოციალურად დაუცველი მასტიგმატიზებელია. მნიშვნელოვანია ამ ტერმინის სტატუსის სახით გაუქმება, რათა სტრუქტურულ სტიგმას არ ჰქონდეს ადგილი. ამასთანავე, კონკრეტული სახელდება კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფის სხვებისაგან გამიჯვნას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეებთან მიმართებით არსებული სოციალური პოლიტიკის გადახედვა და გარკვეული რეფორმების განხორციელება. ფულად სოციალურ დახმარებასთან ერთად შემოღებულ უნდა იქნას ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის სერვისები. ამასთანავე, შესაძლებელია ფულადი დახმარების დანიშვნის მიმართულებით გარკვეული ცვლილებების გატარება, რათა

შემწეობის მოხსნის შიში შემცირდეს და წახალიდეს სამსახურის ძიება თუ სიღარიბის დაძლევაზე მიმართული სხვა აქტიური ქცევითი სტრატეგიები.

## 8.2. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემული სადისერტაციო ნაშრომი საქართველოში სიღარიბეში მცხოვრები ადამიანებისა და სიღატაკის პრობლემის შესწავლის მიმართულებით ერთ-ერთი პირველი სიღრმისეული კვლევაა.

სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვასთან დაკავშირებული სტრატეგიების შესწავლის შედეგები შეიძლება, მოკლედ შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- სიღატაკეში მცხოვრები ადამიანებისათვის მინიჭებული სოციალურად დაუცველობის სტატუსი სტიგმატიზაციის წყარო ხდება. ნეგატიურ მოპყრობას აღიქვამენ თავად სტიგმის სამიზნე პირებიც. ასევე, ადგილი აქვს სტიგმის ინტერნალიზაციას, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საზოგადოებაში არასასურველი სტატუსის ქონიდან მომდინარე უარყოფით ემოციებსა და დისტრესს, არამედ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მიმართ არსებული სტერეოტიპების გაზიარებას/მიღებასაც;
- საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეების მაგალითზე შესწავლილ იქნა ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სამი ძირითადი სტრატეგია: სოციალური კრეატულობა, ინდივიდუალური მობილობა და შიდა ჯგუფური შეჭიდულობა. სამივე სტრატეგია თითქმის ერთი და იმავე დონით ვლინდება. თუმცა, ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვს სოციალური კრეატულობის სტრატეგიის გამოყენებას. ამასთანავე, შიდა ჯგუფურ შეჭიდულობას აქვს უარყოფითი როლი სტიგმისაგან თვით-დაცვისათვის;
- ინდივიდუალური მობილობა კავშირში არაა სტიგმის აღქმის არცერთ განზომილებასთან. რაც შეეხება დანარჩენ ორ სტრატეგიას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური კრეატულობის სტრატეგია თვითდაცვით როლს ასრულებს

სტიგმის აღქმის მოქმედებაში; თუმცა, შიდა ჯგუფური შეჭიდულობა სტიგმის აღქმის დაძლევის მიმართულებით ადაპტურ ფუნქციას არ უნდა ასრულებდეს;

- იერარქიულ რეგრესიულ მოდელში ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეფასების ცვლადების გაკონტროლების პირობებში, სტიგმის ინტერნალიზების განზომილების ვარიაციაში პრედიქტორულ ღირებულებას ინარჩუნებს მხოლოდ თვითშეფასების ორივე სახე (უარყოფითი მიმართულებით). რაც შეეხება ნეგატიური მოპყრობის აღქმის განზომილებას, მის ვარიაბელობაში სტატისტიკურად მნიშნელოვანი წვლილი შეაქვს კოლექტიურ თვითშეფასებას და შიდა ჯგუფურ შეჭიდულობას (ამ უკანასკნელს, დადებითი მიმართულებით);
- სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის ხარისხს პრედიქტორული ღირებულება აქვს ინდივიდუალური მობილობის ცვლადისათვის, თუმცა, მათ შორის კავშირი გაშუალებულია ინდივიდუალური თვითშეფასების ცვლადით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციალურად დაუცველთა სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის დაბალი ხარისხისას, მაღალია ინდივიდუალური თვითშეფასების დონე. თავის მხრივ, მაღალი ინდივიდუალური თვითშეფასებისას კი, ასევე, მაღალია ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიის გამოყენება. შედეგად, სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან იდენტიფიკაციის დაბალი ხარისხისას მაღალია ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიის გამოყენება;
- გენდერული ნიშნით განსხვავებულები სურათები იხატება სტიგმის აღქმისა და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების გამოყენების მიმართულებით. ლოგიკურია, რომ სტიგმის აღქმა თუ უფრო მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალბატონებში, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების გამოყენებისას საპირისპირო შედეგია. კერძოდ, სოციალური კრეატულობის სტრატეგიებს, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები მეტად აქტიურად მიმართავენ;
- სტიგმის ინტერნალიზების თვალსაზრისით, განსხვავებული შედეგებია ურბანული ნიშნითაც. დედაქალაქში მცხოვრებნი, რეგიონებთან შედარებით, უფრო მტკივნეულად განიცდიან მასტიგმატიზებელი ნიშნის ქონას.

- სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონის ხანგრძლივობასთან ერთად, ადამიანები მეტად ადაპტურ უნარებს იძენენ ნეგატიურ სოციალურ იდენტობასთან გამკლავების მიზნით; შედეგად, იკლებს სტიგმის ინტერნალიზების ხარისხიც;
- ეკონომიკური სისტემის გამართლება არ უნდა განვიხილოთ, როგორც სოციო-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის არსებული უთანასწორობების პასიური აღიარება; არც ის უნდა ვიგულისხმოთ აუცილებლივ, რომ დაბალი სტატუსის ინტერნალიზაციის შედეგად სტატუსისაგან თავის დაღწევისათვის აქტიური მცდელობები აღარ ხორციელდება. ეკონომიკური სისტემის გამართლება, შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგიასთან ერთად, დადებითად უკავშირდება სოციალური კრეატულობისა და ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიებსაც. აღსანიშნავია, რომ სოციალური კრეატულობის სტრატეგია თვითდაცვით როლს ასრულებს სტიგმის აღქმის პროცესში. ინდივიდუალური მობილობა კი, თავის მხრივ, სოციალურად დაუცველის სტატუსის დაძლევაზე მიმართული აქტიური სტრატეგიაა;
- მნიშვნელოვანია კვლევების გაგრძელება სტიგმის აღქმის აღნიშნული ორ-ფაქტორიანი და ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სამ-ფაქტორიანი მოდელების ემპირიული შემოწმების მიზნით. ამასთანავე, საჭიროა, დამატებითი კვლევების ჩატარება იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევებში შეიძლება ასრულებდეს შიდა ჯგუფური შეჭიდულობის სტრატეგია სტიგმატიზებული ჯგუფის წევრებისათვის დადებით ფუნქციას.

## 8.3. კვლევის შეზღუდვები და რეკომენდაციები სამომავლო კვლევებისათვის

ნაშრომის ერთ-ერთი ნაკლოვანება უკავშირდება იმას, რომ შეიძლებოდა უფრო მეტი რაოდენობის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე შერჩევაზე კვლევის ჩატარება. ასევე, უკეთესი იქნებოდა, თუ დაცული იქნებოდა გეოგრაფიული ადგილების მიხედვით თანაბარი შერჩევითი განაწილება. აღნიშნული ვერ განხორციელდა, რადგან სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე

რესპონდენტების მოძიება და მათი კვლევაში მონაწილეობაზე დათანხმება ძალიან რთული აღმოჩნდა. გასათვალისიწენებელია, რომ მათი პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია და მათთან მომუშავე სპეციალისტებს არ შეეძლოთ გაზიარება.

ამასთანავე, საინტერესო იქნებოდა უფრო რთული სტრუქტურული განტოლების დონეზე ცვლადებს შორის მიმართებების კვლევა. კერძოდ, რამდენიმე პრედიქტორი (ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიები), მედიატორი და დამოკიდებული (სტიგმის აღქმის ორივე განზომილება) ცვლადების ერთიან მოდელში შესწავლა. თუმცა, ერთიანი მოდელის აგებისათვის საჭიროა სხვა რელევანტური ცვლადების კვლევაში ჩართვაც, რაც სამომავლოდ იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების სამ-ფაქტორიანი სკალის მორგების მაჩვენებლები საუკეთესო არაა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით, სკალის დახვეწის მიზნით სამომავლო კვლევების ჩატარება.

ვფიქრობთ, აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომით, საქართველოში სიღატაკის პრობლემის ფსიქოლოგიის მეცნიერების პერსპექტივიდან გაანალიზების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მოცემულ საფუძველზე დაყრდნობის შედეგად, შემდეგში, მნიშვნელოვანია კიდევ უფრო კომპლექსური კვლევების ჩატარების გაგრძელება.

კერძოდ, მომავალში ვგეგმავთ ექსპერიმენტული დიზაინის კვლევების დაგეგმვასა და განხორციელებას. ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვისა და სიღატაკიდან თავის დაღწევის სტრატეგიების სიღრმისეული გაანალიზებისათვის მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების შედარება იმ ჯგუფთან, რომელმაც აღნიშნულ სტატუსს თავი დააღწია და ზედა სოციო-ეკონომიკურ საფეხურზე გადაინაცვლა. მოცემული ჯგუფის წევრების მოძებნა საკმაოდ რთული და დროსთან დაკავშირებულია, თუმცა, ვფიქრობთ, შედეგები ძალიან ღირებული იქნება.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში, ექსპერიმენტული კვლევები, ფაქტობრივად, არ ტარდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ექსპერიმენტული დიზაინის კვლევების ჩატარების მიმართულებით

სათანადო პროფესიული და ტექნიკური რესურსებით აღჭურვა, რაც, სიღატაკის კვლევის სფეროში, დისერტანტის სამომავლო მიზნებს უკავშირდება.

მნიშვნელოვანია, საქართველო შეუერთდეს იმ მიდგომებს, რაც მსოფლიოში სიღატაკისა და მისი ნეგატიური სოციალურ-ფსიქოლოგიური შედეგების დაძლევის მიზნით ინტერვენციების შემუშავებისას არსებობს. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრნობით სიღატაკის შემცირების მიზნით პოლიტიკის დონეზე ინტერვენციების შემუშავების ლაბორატორია „J-PAL" (Abdul Latif Jameel Poverty Action Lab). აქ მომუშავე სპეციალისტები სწორედ ექსპერიმენტული დიზაინის ფარგლებში, საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების შედარების გზით, ცდიან ამა თუ იმ ინტერვენციის ეფექტურობას.

სამომავლოდ, ასევე, საინტერესო იქნება შემთხვევის შესწავლის მეთოდის გამოყენება. კერძოდ, სიღატაკეში მცხოვრები ერთი ან რამდენიმე ოჯახის სიღრმისეული შესწავლა ლონგიტუდური დიზაინის ფარგლებში.

ამ ეტაპზე, ფსიქოლოგიის მეცნიერებისათვის, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო დონეზეც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სტიგმის აღქმის, ნეგატიური სოციალური იდენტობის მართვის სტრატეგიების, მათთან დაკავშირებული ცვლადებისა და სიღატაკის კვლევისათვის რელევანტური სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესწავლა.

# ბიბლიოგრაფია

1. Akfirat, S., Polat, F. Ç., & Yetim, U. (2016). How the Poor Deal with Their Own Poverty: A Social Psychological Analysis from the Social Identity Perspective. *Social Indicators Research*, *127*(1), 413–433. https://doi.org/10.1007/s11205-015-0953-2

2. Ali, S. R., Liu, W. M., Mahmood, A., & Arguello, J. (2008). Social Justice and Applied Psychology: Practical Ideas for Training the Next Generation of Psychologists. *Journal for Social Action in Counseling & Psychology*, *1*(2), 1–13. https://doi.org/10.33043/JSACP.1.2.1-13

3. Allmark, P., Boote, J., Chambers, E., Clarke, A., McDonnell, A., Thompson, A., & Tod, A. M. (2009). Ethical Issues in the Use of In-Depth Interviews: Literature Review and Discussion. *Research Ethics*, *5*(2), 48–54. https://doi.org/10.1177/174701610900500203

4. Atkinson, A. B. (1999). The Contributions of Amartya Sen to Welfare Economics. *Scandinavian Journal of Economics*, *101*(2), 173–190. https://doi.org/10.1111/1467-9442.00151

5. Bai, Y., Maruskin, L. A., Chen, S., Gordon, A. M., Stellar, J. E., McNeil, G. D., Peng, K., & Keltner, D. (2017). Awe, the diminished self, and collective engagement: Universals and cultural variations in the small self. *Journal of Personality and Social Psychology*, *113*(2), 185–209. https://doi.org/10.1037/pspa0000087

6. Bobowik, M., Basabe, N., & Páez, D. (2014a). Identity Management Strategies, Perceived Discrimination, and Well-Being Among Young Immigrants in Spain. In R. Dimitrova, M. Bender, & F. van de Vijver (Eds.), *Global Perspectives on Well-Being in Immigrant Families* (pp. 213–234). Springer New York. https://doi.org/10.1007/978-1-4614-9129-3_12

7. Bobowik, M., Basabe, N., & Páez, D. (2014b). Identity Management Strategies, Perceived Discrimination, and Well-Being Among Young Immigrants in Spain. In R. Dimitrova, M. Bender, & F. van de Vijver (Eds.), *Global Perspectives on Well-Being in Immigrant Families* (pp. 213–234). Springer New York. https://doi.org/10.1007/978-1-4614-9129-3_12

8. Bond, V. (2006). Stigma When There Is No Other Option: Understanding How Poverty Fuels Discrimination toward People Living with HIV in Zambia. In *AIDS, Poverty, and Hunger: Challenges and Responses* (p. 181). International Food Policy Research Institute. https://doi.org/10.2499/0896297586CH10

9. Bos, A. E. R., Pryor, J. B., Reeder, G. D., & Stutterheim, S. E. (2013). Stigma: Advances in Theory and Research. *Basic and Applied Social Psychology*, *35*(1), 1–9. https://doi.org/10.1080/01973533.2012.746147

10. Bourgignon, F. (1999). Absolute poverty, relative deprivation and social exclusion. *Villa Borsig Workshop Series Inclusion, Justice, and Poverty Reduction*.

11. Branscombe, N. R. , & Ellemers, N. (1998). Coping with group-based discrimination: Individualistic versus group-level strategies. In J. K. Swim & C. Stangor (Eds.), Prejudice: The target's perspective (pp. 243-266). New York: Academic Press.

12. Braun, V., & Clarke, V. (2006a). Using thematic analysis in psychology. *Qualitative Research in Psychology*, *3*(2), 77–101. https://doi.org/10.1191/1478088706qp063oa

13. Brohan, E., Elgie, R., Sartorius, N., & Thornicroft, G. (2010). Self-stigma, empowerment and perceived discrimination among people with schizophrenia in 14 European countries: The GAMIAN-Europe study. *Schizophrenia Research*, *122*(1–3), 232–238. https://doi.org/10.1016/j.schres.2010.02.1065

14. Brown, B. A. (2005). The incorporation of poverty into adult identity over time: Implications for adult education. *International Journal of Lifelong Education*, *24*(5), 393–404. https://doi.org/10.1080/02601370500169731

15. Brown, L. R., & Moloney, L. (2017). Gender differences in the processes linking public stigma and self-disclosure among college students with mental illness. *Journal of Community Psychology 46* (*2* ), 202-212, DOI: 10.1002/jcop.21933

16. Bruno, A., Toczek-Capelle, M. C., & Darnon, C. (2020). Facing the risk of upward mobility: Performance-avoidance goals and social class among high-school students. *The Journal of Social Psychology*, *160*(4), 496–508. https://doi.org/10.1080/00224545.2019.1681353

17. Caliari, J. de S., Teles, S. A., Reis, R. K., & Gir, E. (2017). Factors related to the perceived stigmatization of people living with HIV. *Revista Da Escola de Enfermagem Da USP*, *51*(0). https://doi.org/10.1590/s1980-220x2016046703248

18. Cameron, J. E., Duck, J. M., Terry, D. J., & Lalonde, R. N. (2005). Perceptions of Self and Group in the Context of a Threatened National Identity: A Field Study. *Group Processes & Intergroup Relations*, *8*(1), 73–88. https://doi.org/10.1177/1368430205048618

19. Carpenter, S. (2018). Ten Steps in Scale Development and Reporting: A Guide for Researchers. *Communication Methods and Measures*, *12*(1), 25–44. https://doi.org/10.1080/19312458.2017.1396583

20. Carr, S. C., Thompson, M., Dalal, A. K., de Guzman, J. M., Gloss, A., Munns, L., & Steadman, A. (2014). Psychology and poverty reduction: A global special issue. *International Perspectives in Psychology: Research, Practice, Consultation*, *3*(4), 215–237. https://doi.org/10.1037/ipp0000021

21. Carrasco, M.A., Barrington, C., Kennedy, C., Perez, M., Donastorg, Y., & Kerrigan, D. (2016). "We talk, we do not have shame:" Addressing stigma by reconstructing identity through enhancing social cohesion among female sex workers living with HIV in the Dominican Republic. *Cult Health* Sex, *19(5),* 543–556. doi: 10.1080/13691058.2016.1242779

22. Catona, D., Greene, K., Magsamen-Conrad, K., & Carpenter, A. (2016). Perceived and experienced stigma among people living with HIV: Examining the role of prior stigmatization on reasons for and against future disclosures. *Journal of Applied Communication Research*, *44*(2), 136–155. https://doi.org/10.1080/00909882.2016.1155726

23. Catona, D., Greene, K., Magsamen-Conrad, K., & Carpenter, A. (2016). Perceived and experienced stigma among people living with HIV: Examining the role of prior stigmatization on reasons for and against future disclosures. *Journal of Applied Communication Research*, *44*(2), 136–155. https://doi.org/10.1080/00909882.2016.1155726

24. Cianelli, R., Ferrer, L., Norr, K. F., McCreary, L., IrarrÃ¡zabal, L., Bernales, M., & Miner, S. (2011a). Stigma Related To HIV Among Community Health Workers In Chile. *Stigma Research and Action*, *1*(1), 3–10. https://doi.org/10.5463/sra.v1i1.11

25. Cianelli, R., Ferrer, L., Norr, K. F., McCreary, L., IrarrÃ¡zabal, L., Bernales, M., & Miner, S. (2011b). Stigma Related To HIV Among Community Health Workers In Chile. *Stigma Research and Action*, *1*(1), 3–10. https://doi.org/10.5463/sra.v1i1.11

26. Cichocka, A., & Jost, J. T. (2014). Stripped of illusions? Exploring system justification processes in capitalist and post-Communist societies: STRIPPED OF ILLUSIONS? *International Journal of Psychology*, *49*(1), 6–29. https://doi.org/10.1002/ijop.12011

27. Cichocka, A., Winiewski, M., Bilewicz, M., Bukowski, M., & Jost, J. T. (2015). Complementary stereotyping of ethnic minorities predicts system justification in Poland. *Group Processes & Intergroup Relations*, *18*(6), 788–800. https://doi.org/10.1177/1368430214566891

28. Cohen, G. L., & Garcia, J. (2005). "I Am Us": Negative Stereotypes as Collective Threats. *Journal of Personality and Social Psychology*, *89*(4), 566–582. https://doi.org/10.1037/0022-3514.89.4.566

29. Corrigan, P. (2004). How stigma interferes with mental health care. *American Psychologist*, *59*(7), 614–625. https://doi.org/10.1037/0003-066X.59.7.614

30. Corrigan, P. W., Larson, J. E., & Rüsch, N. (2009). Self-stigma and the "why try" effect: Impact on life goals and evidence-based practices. *World Psychiatry*, *8*(2), 75–81. https://doi.org/10.1002/j.2051-5545.2009.tb00218.x

31. Dalton, A. N., & Huang, L. (2014). Motivated Forgetting in Response to Social Identity Threat. *Journal of Consumer Research*, *40*(6), 1017–1038. https://doi.org/10.1086/674198

32. De Cremer, D., & Oosterwegel, A. (1999). Collective self-esteem, personal self-esteem, and collective efficacy in in-group and outgroup evaluations. *Current Psychology*, *18*(4), 326–339. https://doi.org/10.1007/s12144-999-1007-1

33. Dinos, S., Stevens, S., Serfaty, M., Weich, S., & King, M. (2004). Stigma: The feelings and experiences of 46 people with mental illness: Qualitative study. *British Journal of Psychiatry*, *184*(2), 176–181. https://doi.org/10.1192/bjp.184.2.176

34. Dirilen-Gumus, O. (2011). Differences in System Justification with respect to Gender, Political Conservatism, Socio-Economic Status and Religious Fundamentalism. *Procedia - Social and Behavioral Sciences*, *30*, 2607–2611. https://doi.org/10.1016/j.sbspro.2011.10.510

35. Dudwick, N., Gomart, E., & Marc, A. (Eds.). (2003). *When things fall apart: Qualitative studies of poverty in the former Soviet Union*. World Bank.

36. Eliezer, D., Townsend, S. S. M., Sawyer, P. J., Major, B., & Mendes, W. B. (2011). System-Justifying Beliefs Moderate the Relationship Between Perceived Discrimination and Resting Blood Pressure. *Social Cognition*, *29*(3), 303–321. https://doi.org/10.1521/soco.2011.29.3.303

37. Ellemers, N., & Rijswijk, W. V. (1997). Identity Needs Versus Social Opportunities: The Use of Group-Level and Individual-Level Identity Management Strategies. *Social Psychology Quarterly*, *60*(1), 52. https://doi.org/10.2307/2787011

38. Foster, J. E. (1998). Absolute versus Relative Poverty. *The American Economic Review*, *88*(2,), 335–341.

39. Frost, D. M. (2011). Social Stigma and its Consequences for the Socially Stigmatized: Social Stigma. *Social and Personality Psychology Compass*, *5*(11), 824–839. https://doi.org/10.1111/j.1751-9004.2011.00394.x

40. Frost, D. M. (2011). Social stigma and its consequences for the socially stigmatized. *Social and Personality Psychology Compass*, 5(11), 824-839. DOI: 10.1111/j.1751-9004.2011.00394.x

41. Gimpelson, V., & Monusova, G. (2014a). Perception of Inequality and Social Mobility. *SSRN Electronic Journal*. https://doi.org/10.2139/ssrn.2538527

42. Gimpelson, V., & Monusova, G. (2014b). Perception of Inequality and Social Mobility. *SSRN Electronic Journal*. https://doi.org/10.2139/ssrn.2538527

43. Green, M. (2006). Representing poverty and attacking representations: Perspectives on poverty from social anthropology. *Journal of Development Studies*, *42*(7), 1108–1129. https://doi.org/10.1080/00220380600884068

44. Hardesty, D. M., & Bearden, W. O. (2004). The use of expert judges in scale development. *Journal of Business Research*, *57*(2), 98–107. https://doi.org/10.1016/S0148-2963(01)00295-8

45. Herek, G.M., Gillis, J.R & Cogan, J.C (2009), Internalized Stigma Among Sexual Minority Adults: Insights From a Social Psychological Perspective. *Journal of Counseling Psychology,* 56(1):32-43. DOI: 10.1037/a0014672

46. Hinkin, T. R., Tracey, J. B., & Enz, C. A. (1997). Scale Construction: Developing Reliable and Valid Measurement Instruments. *Journal of Hospitality & Tourism Research*, *21*(1), 100–120. https://doi.org/10.1177/109634809702100108

47. Howard, J. A. (2000). Social Psychology of Identities. *Annual Review of Sociology*, *26*(1), 367–393. https://doi.org/10.1146/annurev.soc.26.1.367

48. Howard, J. A. (2000). Social Psychology of Identities. *Annual Review of Sociology*, *26*(1), 367–393. https://doi.org/10.1146/annurev.soc.26.1.367

49. Huggett, C., Birtel, M. D., Awenat, Y. F., Fleming, P., Wilkes, S., Williams, S., & Haddock, G. (2018). A qualitative study: Experiences of stigma by people with mental health problems. *Psychology and Psychotherapy: Theory, Research and Practice*, *91*(3), 380–397. https://doi.org/10.1111/papt.12167

50. Isaksson, A., Corker, E., Cotney, J., Hamilton, S., Pinfold, V., Rose, D., Rüsch, N., Henderson, C., Thornicroft, G., & Evans-Lacko, S. (2018). Coping with stigma and discrimination: Evidence from mental health service users in England. *Epidemiology and Psychiatric Sciences*, *27*(6), 577–588. https://doi.org/10.1017/S204579601700021X

51. Jackson, L. A., Sullivan, L. A., Harnish, R., & Hodge, C. N. (1996). Achieving positive social identity: Social mobility, social creativity, and permeability of group boundaries. *Journal of Personality and Social Psychology, 70(2)*, 241–254. https://doi.org/10.1037/0022-3514.70.2.241

52. Jacoby A. (1994). Felt versus enacted stigma: A concept revisited: Evidence from a study of people with epilepsy in remission. *Social Sci Med.*, 38, 269–74.

53. Janse van Rensburg, J. (2013). The psychology of poverty. *Verbum et Ecclesia*, *34*(1), 10 pages. https://doi.org/10.4102/ve.v34i1.825

54. Johanson, G. A., & Brooks, G. P. (2010). Initial Scale Development: Sample Size for Pilot Studies. *Educational and Psychological Measurement*, *70*(3), 394–400. https://doi.org/10.1177/0013164409355692

55. Jost, J. (2001). Outgroup favoritism and the theory of system justification: An experimental paradigm for investigating the effects of socio-economic success on stereotype content. In G. Moskowitz (Ed.), Cognitive social psychology: The Princeton Symposium on the legacy and future of social cognition (pp. 89-102). Erlbaum Press.

56. Jost, J. T., & Banaji, M. R. (1994). The role of stereotyping in system-justification and the production. *British Journal of Social Psychology*, 33(1), 1–27. https://doi.org/10.1111/j.2044-8309.1994.tb01008.x

57. Jost, J. T., & Burgess, D. (2000). Attitudinal Ambivalence and the Conflict between Group and System Justification Motives in Low Status Groups. *Personality and Social Psychology Bulletin*, *26*(3), 293–305. https://doi.org/10.1177/0146167200265003

58. Jost, J. T., & Hunyady, O. (2003.). The psychology of system justification and the palliative function of ideology. *European Review of Social Psychology 13 (1),* 111.153.

59. Jost, J. T., & van der Toorn, J. (2012). System Justification Theory. In P. Van Lange, A. Kruglanski, & E. Higgins, *Handbook of Theories of Social Psychology* (pp. 313–343). SAGE Publications Ltd. https://doi.org/10.4135/9781446249222.n42

60. Jost, J. T., Banaji, M. R., & Nosek, B. A. (2004.). A Decade of System Justification Theory: Accumulated Evidence of Conscious and Unconscious Bolstering of the Status Quo. *Political Psychology ISPP 25 (6),* 881-919.

61. Jost, J. T., Liviatan, I., Ledgerwood, A., Mandisodza, A., & Nosek, B. A. *RUNNING HEAD: SYSTEM JUSTIFICATION IS MOTIVATED.* 26. This chapter was prepared for A. C. Kay et al. (Eds.), The psychology of justice and legitimacy: The Ontario symposium (Vol. 11). Hillsdale, NJ: Erlbaum.

62. Jost, J. T., Pelham, B. W., Sheldon, O., & Ni Sullivan, B. (2003). Social inequality and the reduction of ideological dissonance on behalf of the system: Evidence of enhanced system justification among the disadvantaged. *European Journal of Social Psychology*, *33*(1), 13–36. https://doi.org/10.1002/ejsp.127

63. Karasawa, M. (1988). Effects of cohesiveness and inferiority upon ingroup favoritism. *Japanese Psychological Research, 30 (2)*, 49-59.Kervyn, N., Yzerbyt, V. Y., Demoulin, S., & Judd, C. M. (2008). Competence and warmth in context: The compensatory nature of stereotypic views of national groups. *European Journal of Social Psychology*, *38*(7), 1175–1183. https://doi.org/10.1002/ejsp.526

64. Khan, N., Kausar, R., Khalid, A., & Farooq, A. (2015). Gender differences among discrimination & stigma experienced by depressive patients in Pakistan. *Pakistan Journal of Medical Sciences, 31(6),* 1432–1436. doi: 10.12669/pjms.316.8454

65. Kristjansson, E. A., Desrochers, A., & Zumbo, B. (2003). *Translating and Adapting Measurement Instruments for Cross-Linguistic and Cross-Cultural Research:A Guide for Practitioners*. *35*(2), 16.

66. Kuo, A., & Margalit, Y. (2012). Measuring Individual Identity: Experimental Evidence. *Comparative Politics*, *44*(4), 459–479. https://doi.org/10.5129/001041512801283013

67. Lalonde, R. N. (2002). Testing the social identity-intergroup differentiation hypothesis: 'We're not American eh!' *British Journal of Social Psychology*, *41*(4), 611–630. https://doi.org/10.1348/014466602321149902

68. Leach, C. W., van Zomeren, M., Zebel, S., Vliek, M. L. W., Pennekamp, S. F., Doosje, B., Ouwerkerk, J. W., & Spears, R. (2008). Group-level self-definition and self-investment: A hierarchical (multicomponent) model of in-group identification. *Journal of Personality and Social Psychology*, *95*(1), 144–165. https://doi.org/10.1037/0022-3514.95.1.144

69. Levitas, R., Pantazis, C., Fahmy, E., Gordon, D., Lloyd, E., & Patsios, D. (n.d.). *The Multidimensional Analysis of Social Exclusion*. 246.

70. Lewis ,O. (1966). The Culture of Poverty. *Scientific American, Vol. 215, No. 4,* 19-25.

71. Link, B. G., Yang, L. H., Phelan, J. C., & Collins, P. Y. (2004). Measuring Mental Illness Stigma. *Schizophrenia Bulletin*, *30*(3), 511–541. https://doi.org/10.1093/oxfordjournals.schbul.a007098

72. Link, Bruce G., Mirotznik, J., & Cullen, F. T. (1991). The Effectiveness of Stigma Coping Orientations: Can Negative Consequences of Mental Illness Labeling be Avoided? *Journal of Health and Social Behavior*, *32*(3), 302. https://doi.org/10.2307/2136810

73. Lorenzi, G., Miscioscia, M., Ronconi, L., Pasquali, C., & Simonelli, A. (2015). Internalized Stigma and Psychological Well-Being in Gay Men and Lesbians in Italy and Belgium. *Social Sciences*, *4*(4), 1229–1242. https://doi.org/10.3390/socsci4041229

74. Luhtanen, R., & Crocker, J. (1992). A Collective Self-Esteem Scale: Self-Evaluation of One's Social Identity. *Personality and Social Psychology Bulletin*, *18*(3), 302–318. https://doi.org/10.1177/0146167292183006

75. Mathews, A. (2015). NEGOTIATING MULTIPLE STIGMATIZED IDENTITIES: EXAMINING THE STRATEGIES BLACK GAY MEN USE TO REDUCE IDENTITY CONFLICT. Chapel Hill, NC: University of North Carolina at Chapel Hill Graduate School. https://doi.org/10.17615/fney-8176

76. Mickelson, K. D. (2001). Perceived stigma, social support, and depression. *Personality and Social Psychology Bulletin, 27(8)*, 1046–1056. https://doi.org/10.1177/0146167201278011

77. Mickelson, K. D., & Williams, S. L. (2008). Perceived Stigma of Poverty and Depression: Examination of Interpersonal and Intrapersonal Mediators. *Journal of Social and Clinical Psychology*, *27*(9), 903–930. https://doi.org/10.1521/jscp.2008.27.9.903

78. Mittal, D., Sullivan, G., Chekuri, L., Allee, E., & Corrigan, P. W. (2012). Empirical Studies of Self-Stigma Reduction Strategies: A Critical Review of the Literature. *Psychiatric Services*, *63*(10), 974–981. https://doi.org/10.1176/appi.ps.201100459

79. Morton, S. (2014). The Stigmatization Of Poverty In America: A Look At International Public Perceptions Of The Poor. Undergraduate. Indiana University - Bloomington, School of Public and Environmental Affairs.

80. Mummendey, A. L., Klink, A., Mielke, R., Wenzel, M., & Blanz, M. (1999). Socio-structural characteristics of intergroup relations and identity management strategies: Results from a field study in East Germany. *Eur. J. Soc. Psychol.*, 28.

81. Mummendey, A., Kessler, T., Klink, A., & Mielke, R. (1999). Strategies to Cope With Negative Social Identity: Predictions by Social Identity Theory and Relative Deprivation Theory. *Journal of Personality and Social Psychology 76 (2)*, 229-245.

82. Napier, J. L., Mandisodza, A. N., Andersen, S. M., & Jost, J. T. (2006). System Justification in Responding to the Poor and Displaced in the Aftermath of Hurricane Katrina. *Analyses of Social Issues and Public Policy*, *6*(1), 57–73. https://doi.org/10.1111/j.1530-2415.2006.00102.x

83. Obst, P. L., White, K. M., Mavor, K. I., & Baker, R. M. (2011). Social Identification Dimensions as Mediators of the Effect of Prototypicality on Intergroup Behaviours. *Psychology*, *02*(05), 426–432. https://doi.org/10.4236/psych.2011.25066

84. Obst, P., & White, K. (2005). Three-Dimensional Strength of Identification Across Group Memberships: A Confirmatory Factor Analysis. *Self and Identity*, *4*(1), 69–80. https://doi.org/10.1080/13576500444000182

85. Owuamalam, C. K., Rubin, M., & Issmer, C. (2016). Reactions to group devaluation and social inequality: A comparison of social identity and system justification predictions. *Cogent Psychology*, *3*(1). https://doi.org/10.1080/23311908.2016.1188442

86. Pallant, J. (2020). *SPSS Survival Manual* (0 ed.). Routledge. https://doi.org/10.4324/9781003117407

87. Pérez-Garín, D., Molero, F., & Bos, A. E. R. (2015). Perceived Discrimination, Internalized Stigma and Psychological Well-Being of People with Mental Illness. *The Spanish Journal of Psychology*, *18*, E75. https://doi.org/10.1017/sjp.2015.74

88. Prowse, M. (2009). The Chronic Poverty Report 2008–2009. *The European Journal of Development Research*, *21*(2), 160–168. https://doi.org/10.1057/ejdr.2009.4

89. Rodkjaer, L., Sodemann, M., Ostergaard, L., & Lomborg, K. (2011). Disclosure Decisions: HIV-Positive Persons Coping With Disease-Related Stressors. *Qualitative Health Research*, *21*(9), 1249–1259. https://doi.org/10.1177/1049732311405803

90. Roth, B., Hahn, E., & Spinath, F. M. (2017). Income Inequality, Life Satisfaction, and Economic Worries. *Social Psychological and Personality Science*, *8*(2), 133–141. https://doi.org/10.1177/1948550616664955

91. Roth, J., & Mazziotta, A. (2015). Adaptation and Validation of a German Multidimensional and Multicomponent Measure of Social Identification. *Social Psychology*, *46*(5), 277–290. https://doi.org/10.1027/1864-9335/a000243

